ეხლა, რომ ნამო:

ამოლოდ საფასდრო ორგანიზაციაა;

აგრესორია და სურს ომის დაწყება;

ეფექტება ქვეყნის ტერიტორიულობას, ასევე ეთნიკურ
და კულტურულ დასეულობას;

მიმდევს გაფაფყვანილებას, რომელიც მიუღებელია
შენი ქვეყნისთვის;

შენი ქვეყნის გეოგრაფიაზე განალაგებს სხვა
ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს;

ნაბის ტერიტორიზანი რუსეთისა დაარღვევა;

არ შეასდენს გავლენას შენს კეთილდღეობაზე.



ეს ნატო

ხათუნა ბურკაძე
ანატოლი კორეპანოვი

საინფორმაციო ცენტრი ნატოს შესახებ თბილისი 2008



ჩრდილოატლანტიკური ალიანსი
საქართველოსა და ნატოს ურთიერთობა

ავტორები:

ანატოლი კორეპანოვი

"საინფორმაციო ცენტრის ნატოს შესახებ" მთავარი სპეციალისტი,
საერთაშორისო ურთიერთობების/დიპლომატიის მაგისტრი

ხათუნა ბურკაძე

"საინფორმაციო ცენტრის ნატოს შესახებ" მთავარი სპეციალისტი,
საერთაშორისო სამართლის დოქტორანტი

წიგნზე მუშაობდნენ:

ნანუკა ჟორჟოლიანი
ნინი ბაქრაძე
ნოდარ ნადარაია
შორენა ზაქარიაძე
ქეთი არსენიძე
თამარ ბუხრაშვილი
შოთა შველიძე
ირინა შამილაძე
მარგო ინასარიძე

დიზაინი:

ნინო კუნჭულია
თეა გოშხოთელიანი

„საინფორმაციო ცენტრის ნატოს შესახებ" მისია

საქართველოს ნატოში ინტეგრაცია საზოგადოების ნება და არჩევანია. საზოგადოება კი ხელისუფლების ის წყაროა, რომელიც ქვეყნის პოლიტიკურ მიმართულებებს და კურსს ქმნის.

"საინფორმაციო ცენტრი ნატოს შესახებ" სწორედ ამ საზოგადოებას უსსნის, თუ რას მოუტანს ნატო მათ ქვეყანას, რა გამოწვევებია ამ გზაზე, რა პასუხისმგებლობა გვაკისრია ალიანსის წინაშე და რა უნდა გავაკეთოთ იმისთვის რომ დასახულ მიზნებს მივაღწიოთ.

საინფორმაციო ცენტრის ძირითადი ამოცანები:

- ნატოს შესახებ მართებული საზოგადოებრივი აზრის ფორმირება საქართველოში;
- საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა;
- ნატოს შესახებ ფართო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი საინფორმაციო მასალით უზრუნველყოფა;
- თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებთან დაკავშირებული პროცესების შესახებ ფართო საზოგადოებისათვის უახლესი ინფორმაციის მინოდება;
- საქართველოს მოსახლეობის გათვითცნობიერება ქვეყნის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ამოცანებისა და პრიორიტეტების შესახებ.

წიგნი გამოსცა „საინფორმაციო ცენტრმა ნატოს შესახებ"

სსიპ "საინფორმაციო ცენტრი ნატოს შესახებ"
საქართველო, თბილისი, 0179, ნაფარეულის 9ა
ტელ./ფაქსი: (+995 32) 28-70-69
ელ.ფოსტა: natoinfo@natoinfo.ge
ვებ-გვერდი: www.natoinfo.ge

დაფინანსებულია საქართველოში ბრიტანეთის საელჩოს მიერ

წიგნში გამოყენებული ფოტოსურათები:

NATO Photos; SHAPE Photos; ISAF Photos; NATO Training Implementation Mission in Iraq Photos; NATO HQ Skopje Photos; Georgian Mission to NATO Photos; Jose Emilio Regodon's Photos.

წიგნი ვრცელდება უსასყიდლოდ მხოლოდ საგანმანათლებლო მიზნით.

FOREWORD

JAMES APPATHURAI
NATO Spokesman

At the Bucharest Summit in April 2008, NATO's Heads of State and Government agreed that Georgia, along with Ukraine, would one day become NATO member states. The Georgian population, in a referendum, has indicated a strong interest in reaching that goal. Taken together, these steps make it clear that the relationship between NATO and Georgia will only deepen in the coming period, including the current period of Intensive Engagement.

Georgia's Partnership with NATO has proven to be mutually beneficial. Georgia benefits from focused, sustained support for her national reform priorities. NATO experts work closely with Georgian officials to help create the kind of modern, affordable, deployable and interoperable military forces any country needs to face 21st Century threats and challenges effectively. NATO is also helping Georgia to create the right kind of defence institutions to oversee those forces in a sustainable and democratic way. NATO has also made its voice heard clearly in support of Georgia's sovereignty and territorial integrity, during a period when these are under threat.

For its part, NATO has benefited greatly from Georgia's contribution to Alliance operations. There is no stronger demonstration of Euro-Atlantic solidarity than to place one's sons and daughters in uniform in harm's way, to defend common values, shoulder to shoulder with one's Partners. Georgia continues to make that sacrifice, which is recognised and valued by the Allies.

Georgia is moving closer to a rapidly evolving NATO. From a Cold War, defensive Alliance, NATO has transformed in the 21st century, to project stability in places like Kosovo and Afghanistan; to build partnerships with countries as far away as Japan and Australia, but also – and importantly – with Russia; and to take on new missions, such as cyber-defence, or supporting the UN after the earthquake in Pakistan.

The NATO-Georgia partnership is an important part of the new NATO's engagement with the broader Euro-Atlantic community. It is a relationship that looks, inevitably, to deepen – to the benefit of all concerned.

წინასიტყვაობა

ჯეიმს აპატურაი
ნატოს პრეს-სპიკერი

2008 წლის აპრილში ბუქარესტის სამიტზე ნატოს წევრი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურები შეთანხმდნენ, რომ საქართველო და უკრაინა ალიანსის წევრები გახდებიან. რეფერენდუმზე, საქართველოს მოსახლეობამ გამოხატა თავისი მხარდაჭერა ალიანსში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. საქართველოს ნატოსთან ინტეგრაციის ეტაპები ნათლად მიანიშნებს იმაზე, რომ ეს ურთიერთობა ალიანსსა და საქართველოს შორის კიდევ უფრო გაღრმავდება როგორც "ინტენსიური ჩართულობის" ფარგლებში, ასევე მომავალშიც.

საქართველოს პარტნიორობა ნატოსთან ადასტურებს იმას, რომ ეს ურთიერთობა ორმხრივად სასარგებლოა. საქართველოს აქვს მტკიცე მხარდაჭერა რეფორმების განხორციელების თვალსაზრისით. ნატოს ექსპერტები მჭიდროდ თანამშრომლობენ საქართველოს ოფიციალურ პირებთან იმისათვის, რომ შეიქმნას თანამედროვე, ოპტიმალური და შესაბამის სტანდარტებთან თავსებადი სამხედრო ძალები, რომლებსაც ექნებათ შესაძლებლობა XXI საუკუნის საფრთხეები და გამოწვევები დაძლიონ. ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ეხმარება საქართველოს ისეთი ინსტიტუტების ჩამოყალიბებაში, რომლებიც უწყვეტად განახორციელებენ დემოკრატიულ კონტროლს შეიარაღებულ ძალებზე. ნატომ, ასევე, ნათლად გამოხატა თავისი მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი სწორედ იმ პერიოდში, როცა მათი ხელყოფის საფრთხე არსებობდა.

თავის მხრივ, საქართველომაც შეიტანა საკუთარი წვლილი ალიანსის სამშვიდობო ოპერაციებში. ევროატლანტიკური სოლიდარობის ყველაზე საუკეთესო მაჩვენებელია ის, რომ უნიფორმაში ჩაცმული ახალგაზრდები სახიფათო ადგილას ერთმანეთის მხარდამხარ იცავენ საერთო ღირებულებებს თავიანთ პარტნიორებთან ერთად. საქართველო განაგრძობს ამ პროცესში მონაწილეობას, რაც აღიარებული და დაფასებულია ალიანსის წევრების მიერ.

საქართველო სულ უფრო უახლოვდება ნატოს, რომელიც სწრაფად ვითარდება. "ცივი ომის" შემდგომ თავდაცვითმა ალიანსმა XXI საუკუნეში ტრანსფორმაცია განიცადა. დღეს ნატო უზრუნველყოფს სტაბილურობას კოსოვოსა და ავღანეთში; თანამშრომლობს ისეთ შორეულ ქვეყნებთან როგორებიცაა: იაპონია და ავსტრალია. ამასთანავე, ალიანსისთვის მნიშვნელოვანია ურთიერთობა რუსეთთან; ახალი მისიების განხორციელება, მათ შორის კიბერთავდაცვის სფეროში და ასევე გაეროს მხარდაჭერა პაკისტანში მომხდარი მიწისძვრის შემდეგ.

ნატო-საქართველოს თანამშრომლობა არის მნიშვნელოვანი ნაწილი ევროატლანტიკური გაერთიანების გაფართოებისათვის. ეს არის ურთიერთობა, რომელიც ორმხრივად სასარგებლოა ყველა დაინტერესებული მხარისათვის.

ნანუკა ჟორჟოლიანი
"საინფორმაციო ცენტრის ნატოს შესახებ" ხელმძღვანელი

ყველას თბილი სალამი, ვინც გადაწყვიტა ზუსტი და დამატებითი ინფორმაცია მიიღოს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შესახებ. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს წიგნი ყველა თქვენგანს დაეხმარება იმ აზრის განმტკიცებაში, რომ საქართველოს სვლა ნატოსკენ ქვეყნის სწორი არჩევანია. ჩვენი, ნატოს საინფორმაციო ცენტრის მიზანი კი ისაა, რომ უფრო მეტი და დეტალური ინფორმაცია მიიღოთ საითკენ მიდის ჩვენი ქვეყანა, რა გზა გაიარა და რა დაგვრჩა გასაკეთებელი, რომ დიდი დემოკრატიული ოჯახის წევრები გავხდეთ. ამ წიგნის გამოცემის იდეა მას შემდეგ გამიჩნდა, რაც 2008 წელს ჩატარებულმა რეფერენდუმის შედეგებმა აჩვენა რომ საქართველოს მოსახლეობის 77% სურს ჩვენი ქვეყანა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი გახდეს. ვფიქრობ, რომ ერის სწორედ ამ ნაწილმა კარგად უნდა იცოდეს "რატომ?", რომ მათი არჩევანი მტკიცე და ურყევი იყოს. სწორედ მყარი არჩევანი მიგვიყვანს მიზნამდე. მათ, რომლებსაც ჯერ არ გადაუწყვეტიათ, თუ როგორი უნდა იყოს საქართველოს საგარეო კურსი, ან სხვა ხედვა აქვთ, უფრო მეტად ვურჩევთ ამ წიგნის წაკითხვას, სწორედ ამ ფურცლებიდან გაიგებთ რატომ უნდა მისცეთ ხმა საქართველოს უსაფრთხო მომავალს.

კეთილი სურვილებით და პატივისცემით,

ნანუკა ჟორჟოლიანი

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია

ნატო

კოლექტიური თავდაცვის უზრუნველყოფის მიზნით გაერო‌ს წესდების 51-ე მუხლის შესაბამისად, 1949 წელს, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების საფუძველზე შეიქმნა ჩრდილოატლანტიკური ხელმშეკრულების ორგანიზაცია (ნატო).

ხელშეკრულება დადებულია განუსაზღვრელი ვადით.



ნატ‌ოს ემბლემა შემოღებულია ჩრდილოატლანტიკური საბჭოს მიერ 1953 წელს, როგორც ალიანსის სიმბოლო.

წრე ასახავს ერთიანობასა და თანამშრომლობას, ხოლო კომპასის ისრები – მშვიდობისაკენ მიმავალ საერთო გზას, რომელიც არჩეულია ნატ‌ოს წევრი ქვეყნების მიერ.

სარჩევი

ნაწილი I

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია

რა არის **ნატო**? (*ანატოლი კორეპანოვი*) 8

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შექმნის სათავეები (*ანატოლი კორეპანოვი*) 10

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ძირითადი პრინციპები (*ხათუნა ბურკაძე*) 15

ნატო დღეს (*ხათუნა ბურკაძე*) 16

ალიანსის თანამშრომლობა პარტნიორ სახელმწიფოებსა და „საკონტაქტო ქვეყნებთან" (*ხათუნა ბურკაძე*) 24

ნატოს საპარლამენტო ასამბლეა (*ხათუნა ბურკაძე*) 27

ატლანტიკური ხელშეკრულების ასოციაცია (*ხათუნა ბურკაძე*) 28

ნატოს გაფართოების პროცესი (*ხათუნა ბურკაძე*) 29

ნატოს მთავარი პოლიტიკური და მმართველობითი ორგანოები (*ანატოლი კორეპანოვი*) 34

- *ჩრდილოატლანტიკური საბჭო*
- *თავდაცვის დაგეგმვის კომიტეტი*
- *ბირთვული დაგეგმვის ჯგუფი*

ნატოს სამოქალაქო სტრუქტურა (*ანატოლი კორეპანოვი*) 39

- *სახელმწიფოთა წარმომადგენლობა* **ნატოში**
- **ნატოს** *გენერალური მდივანი*
- *საერთაშორისო სამსახური*

ნატოს სამხედრო სტრუქტურა (*ანატოლი კორეპანოვი*) 42

- *სამხედრო კომიტეტი*
- **ნატოს** *სტრატეგიული სარდლობები*

ნატოს შეიარაღებული ძალები და თავდაცვა (*ანატოლი კორეპანოვი*) 45

- **ნატოს** *სწრაფი რეაგირების ძალები*
- *ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაქტიური და ბირთვული თავდაცვის ბატალიონი*
- *ქსაპაერო შეტყობინებებისა და კონტროლის სისტემა*

ნატოს ბიუჯეტი (*ანატოლი კორეპანოვი*) 50

ნატოს სამშვიდობო და მშვიდობის მხარდამჭერი ოპერაციები (*ანატოლი კორეპანოვი*) 52

- **ნატო** *ბოსნია-ჰერცეგოვინაში* 53

◢ *კოსოვოს კონფლიქტი და ნატო* 55
◢ *ნატო მაკედონიის რესპუბლიკაში* 57
◢ *ნატოს როლი ავღანეთში* 58
◢ *ნატოს როლი ერაყში* 60
◢ *ნატოს როლი დარფურში* 61
◢ *ოპერაცია „აქტიური ძალისხმევა"* 62
ნატო და სამოქალაქო უსაფრთხოება (*ანატოლი კორეპანოვი*) 63

ნაწილი II

საქართველო და ნატო

ახალი ევროატლანტიკური სტრატეგია შავი ზღვის რეგიონისათვის (*ხათუნა ბურკაძე*) 64
საქართველოს ევროატლანტიკური არჩევანი (*ხათუნა ბურკაძე*) 66
საქართველო-ნატოს ურთიერთობა 1992 წლიდან 2004 წლამდე (*ხათუნა ბურკაძე*) 68
საქართველო-ნატოს თანამშრომლობა 2004 წლიდან დღემდე (*ხათუნა ბურკაძე*) 72

ბოლოთქმა

რას მოუტანს საქართველო ნატოს და ნატო საქართველოს?

ბათუ ქუთელია 76
გიორგი ბარამიძე 77
თემურ იაკობაშვილი 78
ალექსანდრე რონდელი 79
კობა ლიკლიკაძე 80
დავით უსუფაშვილი 81

დანართი

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ტექსტი 82
ტერმინთა განმარტება 85
აკრონიმები 94



ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია

რა არის ნატო?

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო) არის სამთავრობათაშორისო, სამხედრო-პოლიტიკური კავშირი, რომელიც აერთიანებს დამოუკიდებელ სახელმწიფოებს. ნატოს წევრებს ამოძრავებს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების (ხელი მოეწერა 1949 წლის 4 აპრილს, ვაშინგტონში) ამოცანების შესრულება.

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების თანახმად ნატოს უმთავრეს ამოცანას წევრი ქვეყნების დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობის და უსაფრთხოების პოლიტიკური/სამხედრო საშუალებებით დაცვა წარმოადგენს. ნატო უზრუნველყოფს წევრი-სახელმწიფოების საერთო ფასეულობების: *დემოკრატიის, პიროვნების თავისუფლების, მოქალაქეების უფლებების, კანონის უზენაესობისა* და *პოლიტიკური კრიზისების მშვიდობიანი მოგვარების* დაცვას. ნატო არის ჩრდილოეთ ამერიკისა და ევროპის ქვეყნების გაერთიანება, სადაც მიმდინარეობს კონსულტაციები უსაფრთხოების საკითხებსა და იმ ერთობლივ მოქმედებებზე, რომლებიც მიმართულია საერთო მიზნების მისაღწევად.

ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა აიღო ვალდებულება, დაიცვას წევრი სახელმწიფოები გარე აგრესიისაგან ან მათზე ძალის გამოყენების მუქარისაგან. ნატოს ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია კოლექტიური თავდაცვა, რაც იმას ნიშნავს, რომ შეიარაღებული თავდასხმა ალიანსის ერთ ან რამდენიმე წევრ სახელმწიფოზე განიხილება, როგორც შეიარაღებული თავდასხმა ორგანიზაციის ყველა წევრზე (*ერთი ყველასათვის* და *ყველა ერთისათვის*).



ნატო არის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელშიც ყველა წევრი სახელმწიფო ინარჩუნებს თავის *სუვერენიტეტს*. ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ყველა გადაწყვეტილება მიიღება *კონსენსუსის* საფუძველზე, თითოეული წევრი ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით. ნატოს ყველა წევრი სახელმწიფო, განურჩევლად მისი ტერიტორიული სიდიდისა, მოსახლეობის რაოდენობისა, ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლებისა, პოლიტიკური და სამხედრო ძლიერებისა, თანაბარ დონეზე მონაწილეობს ორგანიზაციაში გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ასე, მაგალითად, თანაბარ დონეზე თანამშრომლობს მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი და ძლიერი სახელმწიფოები – კანადა და ამერიკის შეერთებული შტატები მსოფლიო რუკაზე პატარა და მოსახლეობით მცირერიცხოვან ლუქსემბურგთან, რომელსაც ზუსტად ისეთივე უფლებები აქვს გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც ოტავასა (კანადის დედაქალაქი) და ვაშინგტონს (აშშ-ის დედაქალაქი). კონსენსუსით მიღებული გადაწყვეტილებები ხელს უწყობს ალიანსის წევრებს, გამოიჩინონ პოლიტიკური ერთსულოვნება მიღებული გადაწყვეტილების განხორციელებაში. ამის ნათელი მაგალითია 2001 წლის 11 სექტემბერს აშშ-ის წინააღმდეგ განხორციელებული ტერორისტული აქტების

საპასუხოდ ნატოს ყველა წევრი-სახელმწიფოს მზადყოფნა მონაწილეობა მიიღოს ტერორიზმის წინააღმდეგ წამოწყებულ კამპანიაში. 11 სექტემბრის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ ნატოს ისტორიის განმავლობაში პირველად ამოქმედდა ჩრდილოატლანტიკური (ვაშინგტონის) ხელშეკრულების მე-5 მუხლი, რომლის თანახმადაც შეიარაღებული თავდასხმა ალიანსის ერთ-ერთ ან რამდენიმე სახელმწიფოზე განიხილება, როგორც თავდასხმა ნატოს ყველა წევრ სახელმწიფოზე.

ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს არ გააჩნია შეიარაღებული სამხედრო ძალები *მუდმივ საწყისებზე*. ყოველი წევრი სახელმწიფო, რომელიც მონაწილეობს ნატოს გაერთიანებულ სამხედრო სტრუქტურაში, ვალდებულია გამოყოს განსაზღვრული რაოდენობისა და სახეობის შეიარაღებული ძალები შეთანხმებული ამოცანებისა და ოპერაციების განსახორციელებლად (მაგ. კონფლიქტური ვითარება, მშვიდობის უზრუნველყოფა, საგანგებო სიტუაცია და სხვ.).

ნატოს დაფუძნებიდან მოყოლებული, ორგანიზაციის შეიარაღებული ძალების მთავარი ამოცანა წევრ-სახელმწიფოთა უსაფრთხოებისა და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა იყო. თუმცა, "ცივი ომის" დასრულების შემდეგ ალიანსის შეიარაღებული ძალების როლი ახლად ჩამოყალიბებული უსაფრთხოების გარემოს შესაბამისად მნიშვნელოვნად შეიცვალა.

ალიანსის წევრ-სახელმწიფოთა ხელმძღვანელების შეხვედრაზე, რომელიც 2002 წელს, პრაღაში გაიმართა, სათავე დაედო გადამწყვეტი მნიშვნელობის რამდენიმე ინიციატივას, რომლებიც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ ნატოს სამხედრო შესაძლებლობებში. ერთ-ერთი ასეთი ინიციატივა ნატოს "სწრაფი რეაგირების ძალების" შექმნაა (იხ. გვ. 46. „ნატოს სწრაფი რეაგირების ძალები").

2006 წლიდან ნატოს სრულ ოპერატიულ მზადყოფნაში ჰყავს ტექნოლოგიურად მაღალგანვითარებული, კარგად გაწვრთნილი "სწრაფი რეაგირების ძალები" (NATO Response Force), რომლებიც მოიცავენ სახმელეთო, საჰაერო, საზღვაო და სპეციალური დანიშნულების ძალების კომპონენტებს. აღნიშნული ძალების რაოდენობა დაახლოებით 25.000 კაცს შეადგენს. ისინი მუდმივ მზადყოფნაში არიან მიღებული ბრძანების შესაბამისად დედამიწის ნებისმიერ წერტილში განთავსდნენ 5 დღის ვადაში და ერთი თვის განმავლობაში თავიანთი რესურსებით უზრუნველყონ შესაბამისი ოპერაციებისა და დავალებების შესრულება.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსი აღრმავებს და აფართოებს თანამშრომლობის სფეროებს არანევრ სახელმწიფოებთან და მუდმივი დიალოგის ფორმატში ურთიერთობს *პარტნიორ ქვეყნებთან*. თანამშრომლობა ამ ქვეყნებთან ხელს უწყობს ალიანსს, გააფართოოს უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ზონები. ნატო მჭიდროდ თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, როგორებიცაა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო), ევროკავშირი, ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო). ნატოს საორგანიზაციო სტრუქტურა და მექანიზმი უზრუნველყოფს სხვადასხვა ფორმის თანამშრომლობის უწყვეტ რეჟიმს.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შექმნის სათავეები

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, დასავლეთ ევროპელი და მათი ჩრდილოატლანტიკური მოკავშირეები განგაშით ადევნებდნენ თვალყურს საბჭოთა კავშირის *ექსპანსიურ* პოლიტიკას. დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა შეასრულეს ომის შემდგომი ნაკისრი ვალდებულებები სამხედრო ძალების შემცირებასა და სამხედრო მოსამსახურეების დემობილიზაციასთან დაკავშირებით. თავის მხრივ, საბჭოთა ხელმძღვანელობა არ ჩქარობდა ამ ვალდებულებების შესრულებას და ინარჩუნებდა ევროპის კონტინენტზე სამხედრო ძალების სრულ შემადგენლობას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკურ-იდეოლოგიური მიზნების გათვალისწინებით აშკარა ხდებოდა, რომ გაეროს წესდებისა და საერთაშორისო შეთანხმებების დაცვის მოწოდება არ იყო დამოუკიდებელი სახელმწიფოებისათვის ეროვნული სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების გარანტი. გახშირდა ამ ქვეყნებზე გარე აგრესიის მუქარები და ქვეყნის შიგნით სახელმწიფო გადატრიალების მცდელობებიც. საბჭოთა კავშირის ხელისუფლება თავს ახვევდა როგორც ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის, ასევე სხვა ქვეყნებში არადემოკრატიული მმართველობის შემოღებას, სხვადასხვა მეთოდით ახშობდა ოპოზიციურ ძალებს, ავიწროებდა ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.



ნატოს წევრი ქვეყნები

ნატოს წევრი ქვეყნები

ბელგია
კანადა
დანია
საფრანგეთი
ისლანდია
იტალია
ლუქსემბურგი
ნორვეგია
პორტუგალია
ჰოლანდია
დიდი ბრიტანეთი
ამერიკის შეერთებული შტატები

საბერძნეთი
თურქეთი

გერმანია

ესპანეთი

ჩეხეთი
უნგრეთი
პოლონეთი

ესტონეთი
ბულგარეთი
ლატვია
ლიტვა
რუმინეთი
სლოვაკეთი
სლოვენია

მონვევა მიიღეს
ალბანეთი
ხორვატია

4 აპრილს, ბუქარესტის სამიტზე ნატოს წევრმა სახელმწიფოებმა ალბანეთისა და ხორვატიის ალიანსში მიღება გადაწყვიტეს. გაწევრიანებასთან დაკავშირებული იურიდიული პროცედურების შემდეგ ბალკანეთის ეს ორი ქვეყანა ნატოს სრულუფლებიანი წევრი 2009 წელს გახდება.

1947-1949 წლებში დრამატული პოლიტიკური მოვლენების შემდეგ საერთაშორისო პოლიტიკური ვითარება მკვეთრად დაიძაბა. კომუნისტური რეჟიმის პირდაპირი აგრესიის წინაშე აღმოჩნდა საბერძნეთი, ნორვეგია და თურქეთი. მოგვიანებით, 1948 წლის ივნისში, განხორციელდა სახელმწიფო გადატრიალება ჩეხოსლოვაკიაში, ამას დაემატა საერთაშორისო ხელშეკრულებების დარღვევით ბერლინის უკანონო ბლოკადა. ცხადი იყო, რომ იმ დროისათვის ევროპის შედარებით დასუსტებული სახელმწიფოები დამოუკიდებლად ვერ შეძლებდნენ საბჭოთა კავშირის აგრესიისაგან თავის დაცვას. სწორედ ამ ფაქტის გათვალისწინებით, 1948 წლის მარტში დასავლეთ ევროპის ხუთმა ქვეყანამ – ბელგიამ, დიდმა ბრიტანეთმა, ლუქსემბურგმა, ნიდერლანდებმა და საფრანგეთმა ხელი მოაწერეს "ბრიუსელის პაქტს". ეს კავშირი მიზნად ისახავდა თავდაცვის საერთო სისტემის შექმნას და ერთმანეთთან მჭიდრო თანამშრომლობას, რომელიც წინ აღუდგებოდა საბჭოთა კავშირის იდეოლოგიურ, პოლიტიკურ და სამხედრო ექსპანსიას. "ბრიუსელის პაქტი" დასავლეთ ევროპის საერთო უსაფრთხოების სისტემის შექმნის წინაპირობად იქცა და მან 1949 წელს საფუძველი ჩაუყარა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (ნატო) შექმნას.

"ბრიუსელის პაქტის" ქვეყნები მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ აშშ-სა და კანადასთან, დანიასთან, ისლანდიასთან, იტალიასთან, ნორვეგიასა და პორტუგალიასთან ერთიანი თავდაცვის სისტემაში მიერთების თაობაზე. მოლაპარაკებები 1949 წლის 4 აპრილს, ვაშინგტონის ხელშეკრულების (ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულება) ხელმოწერით დასრულდა. ხელშეკრულების თანახმად, შეიქმნა უსაფრთხოების საერთო სისტემა, რომელიც დაეფუძნა ამ თორმეტი ქვეყნის მჭიდრო თანამშრომლობასა და საერთო ფასეულობებზე.

1949 წლის 4 აპრილი, ვაშინგტონი, აშშ. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ხელმოწერის ცერემონია.
კარლ სფორზა - იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი



მოგვიანებით, 1952 წელს, ამ ხელშეკრულებას თურქეთი და საბერძნეთი მიუერთდა. 1955 წელს, ვაშინგტონის ხელშეკრულებას გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ მოაწერა ხელი, ხოლო 1982 წელს ესპანეთმა. 1990 წელს, გერმანიის გაერთიანების შედეგად გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, როგორც გერმანიის განუყოფელი ნაწილი, ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს შეუერთდა. 1999 წელს, უნგრეთი, პოლონეთი და ჩეხეთის რესპუბლიკა ნატოს წევრები გახდნენ. 2004 წელს ნატოში გაწევრიანდა ევროპის შვიდი ქვეყანა: ბულგარეთი, ლატვია, ლიტვა, რუმინეთი, სლოვაკეთი, სლოვენია და ესტონეთი. 2008 წელს, ბუქარესტის სამიტზე (2-4 აპრილი), ნატოს ყველა წევრმა თანხმობა განაცხადა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის რიგებში *ალბანეთისა* და *ხორვატიის* მოწვევაზე.

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია შეიქმნა წევრ-სახელმწიფოებს შორის შეთანხმების საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებდა ამ ქვეყნების თავისუფალ არჩევანს, გაწევრიანების საკითხის საჯარო განხილვასა და შესაბამისს საპარლამენტო პროცედურებს. ვაშინგტონის ხელშეკრულების თანახმად ალიანსის წევრები იღებენ ვალდებულებას და პასუხისმგებლობას ერთობლივად გაიზიარონ კოლექტიური უსაფრთხოების წინაშე მდგარი საფრთხეები.

ნატო შეიქმნა ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინ და იმ დროიდან მოყოლებული ალიანსის მთავარი ამოცანაა წევრი სახელმწიფოების თავდაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ნატოს დაარსებიდან დღემდე ორგანიზაციამ განიცადა არაერთი ცვლილება ახალ გამოწვევებსა და საფრთხეებზე ადეკვატური რეაგირების მიზნით.





1953 წელი.
ბელგია, ბრიუსელი.
ნატოს დროშის აღმართვა

1954 წლის 23 ოქტომბერი, საფრანგეთი.
პარიზის ხელშეკრულებების ხელმოწერა

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ძირითადი პრინციპები

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ძირითადი პრინციპები ასახულია ჩრდილოატ-ლანტიკურ ხელშეკრულებაში (მიღებული ვაშინგტონში, 1949 წლის 4 აპრილს). ხელშეკრულების მხარეები თანხმდებიან, რომ უზრუნველყოფენ საერთაშორისო მშვიდობის, უსაფრთხოებისა და სამართლიანობის დაცვას.

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის უმთავრესი მიზანია მისი წევრების თავისუფლებისა და უსაფრთხოების დაცვა პოლიტიკური და სამხედრო საშუალებებით გაეროს წესდების პრინციპების შესაბამისად.

ნატოს საქმიანობის ძირითადი პრინციპია მისი თითოეული წევრი სახელმწიფოს უსაფრთხოების დაცვა. ალიანსის შიგნით სოლიდარობა და ერთიანობა ყოველდღიური თანამშრომლობის მეშვეობით პოლიტიკურ და სამხედრო სფეროებში უზრუნველყოფს ერთობლივი ძალებით უსაფრთხოების ძირითადი გამოწვევების დაძლევას.

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მე-5 მუხლის თანახმად, ალიანსის ყოველი წევრი სახელმწიფოს უსაფრთხოება განუყოფელია: შეიარაღებული თავ-დასხმა ერთ-ერთ ან რამდენიმე მათგანზე ევროპაში ან ჩრდილოეთ ამერიკაში განხილული იქნება თავდასხმად ყველა მათგანზე, ანუ თუ ასეთ შეიარაღებულ თავდასხმას ექნება ადგილი, ყოველი მათგანი, გაეროს წესდების 51-ე მუხლით აღიარებული ინდივიდუალური ან კოლექტიური თავდაცვის უფლების თანახმად, დაუყოვნებლივ დახმარებას გაუწევს წევრ ქვეყანას, რომელზედაც განხორციელდება თავდასხმა და აუცილებლობის შემთხვევაში შეიარაღებულ ძალასაც გამოიყენებს, რათა მოხდეს უსაფრთხოების აღდგენა და შენარჩუნება ევროატლანტიკურ სივრცეში.

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის მიზნების ეფექტურად განხორციელებისათვის, ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-3 მუხლის შესაბამისად, მხარეები ცალ-ცალკე და ერთობლივად ურთიერთთანადგომის გზით განავითარებენ თავიანთ ინდივიდუალურ და კოლექტიურ შესაძლებლობებს, რათა ნინ აღუდგნენ შეიარაღებულ თავდასხმას.

ერთობლივი მოქმედების გარანტიები, რომლებიც ჩრდილოატლანტიკური ხელშეკ-რულების მე-3 და მე-5 მუხლებითაა უზრუნველყოფილი, მე-4 მუხლმა განამტკიცა, რომლის მიხედვითაც წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ გამართონ კონსულტაციები ერთმანეთთან, თუ რომელიმე მათგანის ტერიტორიულ მთლიანობას, პოლიტიკურ დამოუკიდებლობას და უსაფრთხოებას საფრთხე დაემუქრა.

ალიანსი გადაწყვეტილებებს იღებს კონსენსუსის პრინციპის საფუძველზე, რაც ნიშნავს იმას, რომ გადაწყვეტილება ყველა წევრი ქვეყნის თანხმობით მიიღება. ნატოს გადაწყვეტილებების მიმღები უმაღლესი ორგანოა ჩრდილოატლანტიკური საბჭო (North Atlantic Council), რომელიც შეიქმნა უშუალოდ ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მე-9 მუხლის საფუძველზე და საბჭოს დაევალა დაუყოვნებლივ თავდაცვის კომიტეტის ჩამოყალიბება. ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-9 მუხლის თანახმად, თავდაცვის კომიტეტის მთავარი ამოცანაა, შეიმუშაოს რეკომენდაციები მე-3 და მე-5 მუხლების განსახორციელებლად.

"ღია კარის" პოლიტიკა წარმოადგენს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს, რომლის თანახმად ნებისმიერ ევროპულ ქვეყანას, რომელიც დაიცავს ალიანსის პრინციპებს და შეიტანს თავის წვლილს ევროატლანტიკურ უსაფრთხოებაში, შეუძლია გახდეს ნატოს წევრი ქვეყანა.





ნატო დღეს

დღეს მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ რა მიზნები და ამოცანები აქვს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს, სად მთავრდება ნატოს მისიების საზღვრები და როგორ პასუხობს ალიანსი XXI საუკუნის გამოწვევებს.

ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა "ცივი ომის" პერიოდში შეძლო თავისი წევრების დაცვა და თავიდან აიცილა ომი ევროპაში. დიალოგის პოლიტიკის მეშვეობით ნატომ გადამწყვეტი როლი შეასრულა აღმოსავლეთ-დასავლეთის დაპირისპირების მშვიდობიან დასასრულამდე მიყვანის საქმეში. "ცივი ომის" დასრულების შემდეგ პოლიტიკისა და უსაფრთხოების სფეროში ბევრი რამ შეიცვალა, რაც აისახა ალიანსის სტრატეგიულ კონცეფციაში, რომელიც დამტკიცებულია ვაშინგტონში 1999 წელს ჩრდილოატლანტიკური საბჭოს შეხვედრაში მონაწილე სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების მიერ.

სტრატეგიული კონცეფციის თანახმად, ალიანსი განასახიერებს ტრანსატლანტიკურ კავშირს, რომლითაც ჩრდილოეთ ამერიკის უსაფრთხოება მუდმივად არის გადაჯაჭვული ევროპის უსაფრთხოებასთან. იგი წარმოადგენს მის წევრებში ქმედითი კოლექტიური ძალისხმევის პრაქტიკულ გამოხატულებას მათი საერთო ინტერესების მხარდასაჭერად. ნატო ეყრდნობა დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის საერთო ფასეულობებს. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის გრძელვადიანი დანიშნულებაა მისი წევრების თავისუფლებისა და უსაფრთხოების პოლიტიკური და სამხედრო საშუალებებით დაცვა. ამასთანავე, ალიანსი იღვწის სამართლიანი და ხანგრძლივი მშვიდობიანი წესრიგის დასაცავად ევროპაში, რასაც შეიძლება ხელი შეუშალოს კრიზისმა და კონფლიქტმა, რომელიც აისახება ევროატლანტიკური სივრცის უსაფრთხოებაზე. ამდენად, ალიანსი არა მარტო უზრუნველყოფს მისი წევრების თავდაცვას, არამედ თავისი წვლილი შეაქვს მთლიანად რეგიონის მშვიდობასა და სტაბილურობაში.



ჩრდილოატლანტიკური ალიანსის

"კოსოვოს ძალების" გადაადგილება



ნატოს "აქტიური ძალისხმევა" ხმელთაშუა ზღვაში

ძირითადი მიზნის მისაღწევად ნატო ახორციელებს შემდეგ ამოცანებს:

- ევროატლანტიკურ სივრცეში სტაბილურობის შენარჩუნება, დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება, ისეთი სისტემის შექმნა, რომელშიც არც ერთ ქვეყანას არ შეეძლება სხვისი დაშინება ან იძულება მუქარით თუ ძალის გამოყენებით;
- ნატოს ნებისმიერი წევრი სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ნებისმიერი საშიშროების და აგრესიის შეკავება და, საჭიროებისამებრ, ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-5 მუხლის გამოყენება;
- პარტნიორობისა და თანამშრომლობის გაღრმავება ევროატლანტიკური სივრცის სხვა ქვეყნებთან და ერთობლივი მოქმედებების განხორციელება ურთიერთნდობის, გამჭვირვალობის საფუძველზე;
- მოკავშირეთა შორის კონსულტაციების გამართვა ნებისმიერ საკითხზე, რომელიც შეეხება მათ სასიცოცხლო ინტერესებს, შესაძლო ცვლილებების ჩათვლით;
- კრიზისების მართვა და მათზე ადეკვატური რეაგირება.

საქართველოს [illegible]
[illegible]

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გარდაქმნა დააჩქარა 2001 წლის 11 სექტემბერს განხორციელებულმა ტერორისტულმა აქტმა. ნატოს ნევრმა ქვეყნებმა, პირველად ალიანსის ისტორიაში, გამოიყენეს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მე-5 მუხლი, რომელიც წარმოადგენს თითოეული მათგანის უსაფრთხოების დაცვის გარანტს. 11 სექტემბრის შემდეგ იწყება ფიქრი უსაფრთხოების ახალი გარემოს შექმნაზე, რომელშიც ალიანსმა უნდა შეასრულოს მნიშვნელოვანი და, ხშირ შემთხვევაში, გადამწყვეტი როლიც.

ნატოს გარდაქმნას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი 2002 წლის 21-22 ნოემბრის პრაღის სამიტმა. სამიტზე მიღებულ იქნა თანამშრომლობის ახალი მექანიზმი - ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა (IPAP). გეგმა ღიაა იმ ქვეყნებისათვის, რომლებსაც აქვთ პოლიტიკური ნება და უნარი, გააღრმავონ ურთიერთობა ნატოსთან. ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმამ მკაფიოდ უნდა განსაზღვროს კონკრეტულ პარტნიორთან თანამშრომლობის მიზნები და პრიორიტეტები.

ამასთანავე, ლიდერებმა შეიმუშავეს ტერორიზმის წინააღმდეგ პარტნიორობის სამოქმედო გეგმა (PAP-T), რაც მიზნად ისახავდა ძალების გაერთიანებას ტერორიზმის საფრთხის წინააღმდეგ და მის დაძლევას პოლიტიკური კონსულტაციებისა და პრაქტიკული ღონისძიებების გზით. სამოქმედო გეგმა ხელს უწყობს თანამშრომლობის გაუმჯობესებას ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: საზღვრების უსაფრთხოება, ტერორიზმის აღსაკვეთად საპასუხო მზადება და წვრთნა, ტერორისტული აქტებისაგან თავდაცვის პოტენციალის ამაღლება ან ამგვარი აქტების შედეგების ლიკვიდაცია.



გარდა ამისა, 2002 წლის პრაღის სამიტზე სათავე დაედო გადამწყვეტი მნიშვნელობის სამ ინიციატივას:

- **ნატოს სწრაფი რეაგირების ძალების (NRF) შექმნა** - აღნიშნული ძალები, დაახლოებით 25 000-იანი კონტინგენტით, შედგება სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო კომპონენტებისაგან, რომლებიც მზად არიან დედამიწის ნებისმიერ წერტილში განთავსდნენ 5 დღის ვადაში, მიღებული ბრძანების შესაბამისად. ალიანსის სწრაფი რეაგირების ძალების შექმნის საინაუგურაციო ცერემონია გაიმართა 2003 წლის 15 ოქტომბერს ბრუნზუმში (ნიდერლანდები).
- ე.წ. პოტენციალის შესახებ პრაღის ვალდებულების ფარგლებში მოკავშირეებმა აიღეს ვალდებულება გააუმჯობესონ და განავითარონ მათი ეროვნული თავდაცვითი შესაძლებლობები სხვადასხვა მიმართულებით.
- ალიანსის სარდლობის სტრუქტურის რაციონალიზაცია. სტრატეგიული სარდლობები ევროპისა და ატლანტიკისათვის გარდაიქმნა ოპერაციების სტრატეგიულ სარდლობად და ტრანსფორმაციის დარგში სტრატეგიულ სარდლობად. რეგიონული და დაქვემდებარებული სარდლობების რიცხვი შემცირდა (20-დან 11-მდე) და ოპტიმიზაცია განიცადა.

პრაღის სამიტზე მიღწეული პროგრესი გააღრმავა 2004 წლის ივნისის სტამბოლის სამიტმა, რომელიც იყო უმნიშვნელოვანესი მოვლენა ალიანსის ისტორიაში. სტამბოლის სამიტზე მიღწეული გადაწყვეტილებები მიზნად ისახავდა ევროატლანტიკური თანამშრომლობის გაძლიერებას და თემატური საკითხების გადაჭრას ცალკეული პარტნიორების პოტენციალის შესაბამისად, რაც აუცილებელია 2002 წელს ნატოს პრაღის სამიტზე დაწყებული გარდაქმნის პროცესის შემდგომი სრულყოფისათვის. სამიტზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ უმნიშვნელოვანესია ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის თანამშრომლობა უსაფრთხოების სფეროში და ალიანსის შენარჩუნება, როგორც ტრანსატლანტიკური კავშირის, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება კოლექტიური თავდაცვის ღონისძიებები, იმართება კონსულტაციები მნიშვნელოვან საკითხებზე და მიიღება ზომები კრიზისების დასაძლევად.



2003 წლიდან ალიანსი ახორციელებს საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციას ავღანეთში, რომელიც ცნობილია ISAF-ის (საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდამჭერი ძალები) სახელით. ეს პირველი მისიაა ნატოს ისტორიაში, რომელიც ევროატლანტიკური სივრცის გარეთ წარმოებს და მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ქვეყანაში სტაბილურობის შენარჩუნებას, უსაფრთხოების განმტკიცებას. სტამბოლის სამიტზე გადაწყდა, რომ ნატო თავისი საქმიანობის სფეროს ავღანეთში კიდევ უფრო მეტად გააფართოებს პროვინციების სარეკონსტრუქციო ჯგუფების (Provincial Reconstruction Teams) მეშვეობით, რომლებიც შედგება საერთაშორისო სამოქალაქო და სამხედრო პერსონალისგან და მათი მიზანია ხელი შეუწყოს ავღანეთის პროვინციებში ცენტრალური მთავრობის ძალაუფლების გაფართოებას, განვითარებას და აღდგენითი სამუშაოების გაადვილებას.

ნატოს სტამბოლის კომუნიკეში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პარტნიორ ქვეყნებთან ურთიერთობას ორ სტრატეგიულად მნიშვნელოვან რეგიონში – კავკასიაში (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი) და ცენტრალურ აზიაში (თურქმენეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, ყაზახეთი და ყირგიზეთი). ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა ორივე რეგიონში დანიშნა სპეციალური წარმომადგენელი და ორი მეკავშირე ოფიცერი. მათი ფუნქციაა, კონსულტაციები გაუწიონ და დაეხმარონ პარტნიორ ქვეყნებს ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის განხორციელებაში და თავდაცვის სისტემის რეფორმის გატარებაში.



2006 წლის 29 ნოემბერი, რიგის სამიტი. ნატოს წევრ სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურები

რიგის სამიტზე, რომელიც 2006 წლის 28-29 ნოემბერს გაიმართა, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის ლიდერებმა მხარი დაუჭირეს პარტნიორებთან ურთიერთობების გაღრმავებას და ალიანსის გაფართოებას. კერძოდ, ისინი მიესალმნენ საქართველოს ნატოში გაწევრიანების თაობაზე ინტენსიური დიალოგის დაწყებას. მათ განიხილეს უკრაინასთან ინტენსიური დიალოგის ფარგლებში მიღწეული წარმატებები. სამიტზე ასევე აღინიშნა, რომ აუცილებელია ევროკავშირთან ინტენსიური და მჭიდრო თანამშრომლობა. გენერალური მდივნის განცხადებით, ავღანეთი და კოსოვო არის ის ორი სფერო, სადაც ამ თანამშრომლობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

სამიტზე მიიღეს გადაწყვეტილება ნატოს სამხედრო პოტენციალის ამაღლების უზრუნველსაყოფად. ამასთანავე, ალიანსის ლიდერები შეთანხმდნენ, რომ ნატო ავღანეთში მისიის შესრულებას გააგრძელებს და საერთაშორისო საზოგადოებას მოუწოდეს მისიაში ფართო მონაწილეობისაკენ. სამიტზე მიღებულ დეკლარაციაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო გრძელვადიანი სტაბილურობის დამყარების პრობლემას ავღანეთში. "განვითარების გარეშე ავღანეთში უსაფრთხოების დამყარება შეუძლებელია, ხოლო განვითარება უსაფრთხოების გარეშე წარმოუდგენელია", - ნათქვამია დეკლარაციაში*.

2008 წლის 4 აპრილი, ბუქარესტის სამიტი. ნატოს წევრ სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურები

* Riga Summit Declaration, http://www.nato.int/docu/pr/2006/p06-150e.htm

ბუქარესტის სამიტზე გადაწყდა, რომ პარტნიორი სახელმწიფოებისა და პრეზიდენტ კარზაის აქტიური მონაწილეობის შედეგად გამოიცემა დადგენილება ავღანეთის შესახებ, რომელიც 4 პუნქტს მოიცავს:

- მტკიცე და გრძელვადიან ვალდებულებებს
- ავღანეთის მმართველი წრეების მხარდაჭერას
- საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან ყოვლისმომცველი მიდგომის შემუშავებას სამხედრო და სამოქალაქო სექტორების ერთობლივი თანამშრომლობის თაობაზე
- ურთიერთობების გაღრმავებას მეზობლებთან.

2008 წლის ბუქარესტის სამიტი წარმოადგენს მნიშვნელოვან მოვლენას ნატოს გაფართოების ისტორიაში. ალიანსმა მხარი დაუჭირა საქართველოსა და უკრაინის ევროატლანტიკურ მისწრაფებას, დადებითად შეაფასა ამ ქვეყნების მიერ შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილი ნატოს საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში და აღიარა ისინი ევროატლანტიკური ოჯახის სასურველ კანდიდატებად. ბუქარესტის სამიტზე ნატომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ უკრაინა და საქართველო გახდებიან ალიანსის წევრი სახელმწიფოები, რაც არის "ნათელი სიგნალი" იმისა, რომ ეს ქვეყნები აუცილებლად შევლენ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში.

ალიანსმა ალბანეთი და ხორვატია მიიწვია გასაწევრიანებლად. ეს ნატოს ისტორიაში გაფართოების მეექვსე ეტაპი იქნება, რაც კიდევ უფრო გაზრდის ევროატლანტიკური სივრცის სტაბილურობასა და უსაფრთხოებას.

ნატოს ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს კვლავ წარმოადგენს გაეროს მანდატით მოქმედი საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდამჭერი ძალები (ISAF) ავღანეთში. ამჟამად ოპერაციაში მონაწილეობს 40 სახელმწიფო. მიუხედავად არსებული წარმატებებისა, ალიანსის წევრები აცნობიერებენ, რომ უფრო მეტი ძალების მობილიზებაა საჭირო ოპერაციის ეფექტურად წარმართვისათვის.





ალიანსმა გაუგრძელა მოქმედების ვადა თავის ძალებს კოსოვოში და კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციით მოქმედი კოსოვოს ძალების მნიშვნელობას ბალკანეთში. KFOR-მა აქტიურად უნდა ითანამშრომლოს გაეროსთან, ევროკავშირთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან მშვიდობისა და სტაბილურობის შესანარჩუნებლად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, კოსოვოს ძალების როლი კანონის უზენაესობის უზრუნველყოფის, კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში.

სამიტზე ლიდერებმა აღნიშნეს, რომ კიდევ უფრო გააღრმავებენ თანამშრომლობას სტრატეგიულ რეგიონებთან, კერძოდ, სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებთან, გააგრძელებენ დიალოგს ცენტრალური აზიის პარტნიორებთან ავღანეთის საკითხზე.

ალიანსის მოქმედების გეოგრაფიული არეალი იმის მაჩვენებელია, თუ რამდენად მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა ნატომ ბუქარესტის სამიტამდე. დღეს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია უმნიშვნელოვანეს ოპერაციებს ახორციელებს ავღანეთში, ხმელთაშუა ზღვის აუზში ("Active Endeavour"), დარფურში (აფრიკა). შეიძლება ითქვას, რომ ნატო წარმოადგენს XXI საუკუნის საფრთხეების თავიდან აცილების ეფექტურ მექანიზმს.



ალიანსის თანამშრომლობა პარტნიორ სახელმწიფოებსა და „საკონტაქტო ქვეყნებთან"

დღეს ნატოს პარტნიორობის პოლიტიკა შეიძლება ჩაითვალოს ალიანსის ერთ-ერთ უდიდეს მიღწევად, ვინაიდან "ცივი ომის" შემდგომ პერიოდში ალიანსმა შეძლო თანმიმდევრულად მჭიდრო ურთიერთობების დამყარება სხვადასხვა ქვეყანასა და საერთაშორისო ორგანიზაციასთან. მათ შორის არიან ევროატლანტიკური არეალის პარტნიორები, ხმელთაშუა ზღვის რეგიონის ქვეყნები, უკრაინა, რუსეთი, ასევე გაერო, ევროკავშირი და ეუთო.

ალიანსის ლიდერებმა წამოაყენეს "სტამბოლის თანამშრომლობის ინიციატივა", რომელიც ხელს უწყობს პრაქტიკული თანამშრომლობის დამყარებას დაინტერესებულ, მათ შორის, სპარსეთის ყურის თანამშრომლობის საბჭოს ქვეყნებთან და სთავაზობს მათ კონკრეტულ რჩევებს თავდაცვის ბიუჯეტის, თავდაცვის სისტემის დაგეგმვის, სამხედროებს შორის თანამშრომლობის საკითხებში, რაც მნიშვნელოვანია რეგიონში სტაბილურობის უზრუნველსაყოფად.

"ხმელთაშუა ზღვის დიალოგში" (Mediterranean Dialogue) შედის 7 სახელმწიფო - ალჟირი, ეგვიპტე, იორდანია, ისრაელი, მავრიტანია, მაროკო და ტუნისი. "ხმელთაშუა ზღვის დიალოგმა" თავისი წვლილი შეიტანა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსსა და შვიდ მონაწილე ქვეყანას შორის ნდობის განმტკიცებისა და თანამშრომლობის საქმეში.



ალიანსი განსაკუთრებული ფორმატით თანამშრომლობს უკრაინასთან. 1994 წელს უკრაინა შეუერთდა პროგრამა "პარტნიორობა მშვიდობისათვის", 1997 წელს კი ის გახდა ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს ერთ-ერთი დამფუძნებელი და იმავე წელს ქვეყანამ ხელი მოაწერა ქარტიას ნატოსთან განსაკუთრებული პარტნიორობის შესახებ, რომლის საფუძველზეც შეიქმნა ნატო-უკრაინის კომისია (NATO – Ukraine Commission, NUC). 2002 წელს სამოქმედო გეგმის (NATO – Ukraine Action Plan) მიღების შემდეგ ეს თანამშრომლობა უფრო გაღრმავდა. ამ გეგმით განისაზღვრა უკრაინის ძირითადი მიზნები და პრიორიტეტები. 2005 წლის აპრილში ნატო-უკრაინის კომისიის არაფორმალურ შეხვედრაზე საგარეო საქმეთა მინისტრებმა მიიღეს გადაწყვეტილება "ინტენსიური დიალოგის" დაწყების შესახებ, რაც ნიშნავს თანამშრომლობის ახალ ეტაპზე გადასვლას და ინტენსიური კონსულტაციების დაწყებას პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო სფეროებში.

2008 წლის 19 აგვისტოს ალიანსმა ნატო-საქართველოს კომისიის დაფუძნება გადაწყვიტა, რომელიც ნატო-უკრაინის კომისიის მსგავსი საკონსულტაციო მექანიზმი იქნება. აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ჩრდილოატლანტიკური საბჭოს საგარეო საქმეთა მინისტერიალის საგანგებო სხდომაზე, სადაც 2008 წლის აგვისტოში რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო აგრესია და ომის შედეგები განიხილეს. ალიანსმა კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობისადმი მხარდაჭერა. ნატოს წევრი ქვეყნების შეფასებით რუსეთის სამხედრო ქმედება მშვიდობისმყოფელთა როლთან არათანაზომიერი და წინააღმდეგობრივი იყო, ხოლო შეუსაბამო – ჰელსინკის დასკვნით აქტში მოცემულ კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოწესრიგების პრინციპებთან, ასევე ნატო-რუსეთის დამფუძნებელ აქტსა და რომის დეკლარაციასთან.

2002 წელს ნატო-რუსეთის საბჭო რუსეთთან დიალოგისათვის დაფუძნდა. ჩრდილოატალნტიკური ალიანსის გადაწყვეტილებით რუსეთთან ურთიერთობა არ წარიმართება მანამ, სანამ კრემლი არ შეასრულებს სარკოზი-მედვედევი-სააკაშვილის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით ნაკისრ ვალდებულებებს და არ დაიცავს იმ პრინციპებს, რომლებსაც ნატო-რუსეთის ურთიერთობა ეფუძნებოდა.

რაც შეეხება ნატო-საქართველოს კომისიას, ის ზედამხედველობას გაუწევს ბუქარესტის სამიტზე მიღებულ გადაწყვეტილებებს, მათ შორის 2008 წლის აგვისტოს შეხვედრაზე შეთანხმებულ მხარდამჭერ ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავენ საქართველოს, როგორც ნატოს ღირებული და გრძელვადიანი პარტნიორის, დახმარებას, აგრეთვე, სამხედრო მოქმედებებით გამოწვეული ზიანის შეფასებას. საქართველოს უსაფრთხოება და სტაბილურობა ალიანსისთვის მნიშვნელოვანია. ნატო "პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამის, ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმისა და ინტენსიური დიალოგის ფარგლებში საქართველოსთან თანამშრომლობას აგრძელებს და გადახედავს საქართველოს ნებისმიერ დამატებით თხოვნას შემდგომი დახმარების თაობაზე.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის პარტნიორობის პოლიტიკამ საფუძველი ჩაუყარა პრაქტიკულ თანამშრომლობას ცალკეულ ქვეყნებთან და ორგანიზაციებთან. ამ პოლიტიკამ განსაკუთრებით ნატოში შესვლის მსურველ ქვეყნებს მისცა შესაძლებლობა, როგორც პარტნიორებმა, მონაწილეობა მიიღონ ალიანსის მიერ განხორციელებულ სამშვიდობო ოპერაციებში და თავიანთი წვლილი შეიტანონ ევროატლანტიკური სივრცის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. ამასთანავე, ალიანსი მზადაა დაეხმაროს როგორც წევრ, ისე პარტნიორ ქვეყანას დაძლიოს კრიზისები, გაუმკლავდეს ტერორისტულ აქტებს, მათ შედეგებს და შეეჭიდოს ახალ ამოცანებს.



2008 წლის 16 სექტემბერი, თბილისი.
ნატოს გენერალური მდივანი იაპ დე ჰოოპ სხეფერი
და საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი

რაც შეეხება "საკონტაქტო ქვეყნებს", ისინი არ არიან ჩართულნი თანამშრომლობის ისეთ ფორმატებში როგორებიცაა: პროგრამა "პარტნიორობა მშვიდობისათვის", ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭო, "ხმელთაშუა ზღვის დიალოგი", "სტამბოლის თანამშრომლობის ინიციატივა", მაგრამ მათთან ურთიერთობა ხელს უწყობს უსაფრთხოების სისტემის განმტკიცებას მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში. ამ მხრივ ნატო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ევროატლანტიკური სივრცის გარეთ მყოფ ისეთ სახელმწიფოებთან ურთიერთობას როგორებიცაა: იაპონია, ავსტრალია, ახალი ზელანდია, სამხრეთ კორეა. მაგალითად, იაპონიას ალიანსთან პოლიტიკური დიალოგი აქვს 1990 წლიდან, ის მხარს უჭერს უსაფრთხოების უზრუნველყოფას ავღანეთში; ამ მიზნით, იაპონიის მთავრობამ გამოყო რამდენიმე მილიონი იენი (იაპონური ფულის ერთეული) პროექტების განხორციელებისათვის ავღანეთის სხვადასხვა რეგიონში. გარდა ამისა, იაპონიამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ბალკანეთის რეგიონში სტაბილურობის შესანარჩუნებლად. ავსტრალია, ახალი ზელანდია, სამხრეთ კორეა მონაწილეობენ ავღანეთის სამშვიდობო ოპერაციაში. კერძოდ, რამდენიმე ასეული ავსტრალიელი ჩართულია პროვინციების სარეკონსტრუქციო ჯგუფის მუშაობაში ურუზგანის პროვინციაში, ახალი ზელანდია ხელმძღვანელობს ერთ-ერთ პროვინციების სარეკონსტრუქციო ჯგუფს ბამიანში, ხოლო სამხრეთ კორეა – პარვანის პროვინციაში.

ამდენად, ნატოს წინაშე არსებული გლობალური ხასიათის გამოწვევებმა განაპირობა ის, რომ ალიანსმა დაიწყო მის ფარგლებს გარეთ მყოფ ქვეყნებთან განსაკუთრებული ურთიერთობების დამყარება.

2006 წლის 4 მაისი, ნატოს შტაბ-ბინა,
ჩრდილოატლანტიკური საბჭოს სხდომა. იაპონიის საგარეო
საქმეთა მინისტრი და ნატოს გენერალური მდივანი

ნატოს საპარლამენტო ასამბლეა

1955 წელს ალიანსის წევრი სახელმწიფოების პარლამენტებმა შექმნეს ნატოს საპარლამენტო ასამბლეა, რომელიც წარმოადგენს საპარლამენტთაშორისო ორგანიზაციას. ამ ფორუმზე თავს იყრიან ალიანსის წევრი ქვეყნების კანონმდებლები და განიხილავენ უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებს. ბოლო 15 წლის განმავლობაში ნატოს საპარლამენტო ასამბლეამ მნიშვნელოვნად გააფართოვა მისი შემადგენლობა და სამოქმედო არეალი.

ასამბლეა ალიანსისგან სრულიად დამოუკიდებელი ორგანოა. იგი წარმოადგენს დამაკავშირებელ რგოლს ნატოსა და ეროვნულ პარლამენტებს შორის და ხელს უწყობს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ინტერესების გათვალისწინებას წევრი ქვეყნების პარლამენტების მიერ მათი კანონმდებლობის შემუშავებისას. ამასთანავე, ასამბლეას აქვს არაპირდაპირი, მაგრამ მაინც ანგარიშგასაწევი როლი ნატოს პოლიტიკის ჩამოყალიბებაში.

ალიანსის პარტნიორი ქვეყნები ნატოს საპარლამენტო ასამბლეაში მონაწილეობენ კოლეგიალური სტატუსით, რაც ამ სახელმწიფოების პარლამენტარებს აძლევს საშუალებას მონაწილეობა მიიღონ ასამბლეის დებატებში. ისინი ძირითადად განიხილავენ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ნატოს საპარლამენტო ასამბლეაში დელეგატები ეროვნული პროცედურების მიხედვით ინიშნებიან წევრი და პარტნიორი ქვეყნების პარლამენტების მიერ.

ასამბლეა იკრიბება წელიწადში ორჯერ პლენარულ სხდომაზე. შეხვედრები იმართება წევრი ან პარტნიორი წევრი ქვეყნების ეროვნული პარლამენტების შესაბამისი კომიტეტების მოწვევის საფუძველზე მონაცვლეობით. ასამბლეაში ფუნქციონირებს პოლიტიკური, თავდაცვისა და უსაფრთხოების, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების, უსაფრთხოების სამოქალაქო ასპექტების განსაზღვრის კომიტეტები და სპეციალური ხმელთაშუა ზღვის ჯგუფი.

"ცივი ომის" დასრულების პერიოდში საფუძველი ჩაეყარა ჩარლ როუზისა და ბილ როტის ინიციატივას, რომლის მიზანია ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების (მათ შორის ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების) პარლამენტარების აქტიური ჩართვა ნატოს საპარლამენტო ასამბლეის საქმიანობაში; საკანონმდებლო დონეზე თანამშრომლობის გაღრმავება; კანონმდებელთა მეშვეობით ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობების გაუმჯობესება; უსაფრთხოების სფეროში სამხედრო და სამოქალაქო პირების კვალიფიკაციის ამაღლება.



2004 წლის 16 თებერვალი, ჩრდილოატლანტიკური საბჭოსა და ნატოს საპარლამენტო ასამბლეის ერთობლივი სხდომა



ატლანტიკური ხელშეკრულების ასოციაცია

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის დემოკრატიული ხასიათი უზრუნველყოფილია არა მხოლოდ პარლამენტართა მონაწილეობით, არამედ უფრო ფართო სამოქალაქო ინიციატივით. 1954 წელს ნატოს წევრი ქვეყნების წარმომადგენლებმა დააფუძნეს ატლანტიკური ხელშეკრულების ასოციაცია, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციას. ის აერთიანებს ალიანსის წევრი სახელმწიფოების არასამთავრობო ორგანიზაციებს. "ცივი ომის" პერიოდში მისი მთავარი მიზანი იყო ნატოს შესახებ პოზიტიური საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება. "ცივი ომის" დასრულების შემდეგ ატლანტიკური ხელშეკრულების ასოციაცია გადაიქცა ევროატლანტიკური ფასეულობების გავრცელების ხელშემწყობ ორგანიზაციად როგორც ნატოში, ასევე მის ფარგლებს მიღმა. ასოციაციამ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა საკუთარ წესდებაში, რამაც არანევრ ქვეყნებს, რომლებიც ისწრაფვიან ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ, მისცა შესაძლებლობა შეერთებოდნენ მას.

2006 წლის დასაწყისიდან ატლანტიკური ხელშეკრულების ასოციაციამ სათაო ოფისი პარიზიდან ბრიუსელში გადაიტანა და 2006 წლის 1 მარტს რეგისტრაცია გაიარა ბელგიური კანონმდებლობის შესაბამისად.

ATA

ატლანტიკური ხელშეკრულების ასოციაციის მიზნებია:

- დემოკრატიის ხელშეწყობა
- თანამშრომლობის გაღრმავება როგორც წევრ, ისე პარტნიორ ქვეყნებთან
- საზოგადოების ინფორმირება ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის მიზნების შესახებ
- კვლევითი სამუშაოების ჩატარება
- სხვა ქვეყნების საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა
- დიალოგის წარმართვა ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებთან.

2006 წელი, სოფია, ბულგარეთი.
ატლანტიკური ხელშეკრულების ასოციაციის შეხვედრა

ნატოს გაფართოების პროცესი



ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ახალი წევრების მიღების სამართლებრივი საფუძველია ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მე-10 მუხლი, რომლის თანახმადაც "მხარეებს შეუძლიათ ერთსულოვანი თანხმობით ამ ხელშეკრულებასთან მისაერთებლად მოიწვიონ ნებისმიერი სხვა ევროპული სახელმწიფო, რომელიც ხელს უწყობს ამ ხელშეკრულების პრინციპების განხორციელებას და წვლილი შეაქვს ჩრდილოატლანტიკური სივრცის უსაფრთხოებაში"*.

"ღია კარის პოლიტიკას" ევროატლანტიკური სივრცის ქვეყნების სტაბილურობა და უსაფრთხოება უნდა განმტკიცებინა, რაც დემოკრატიული რეფორმების მხარდაჭერას გულისხმობდა, მათ შორის, სამოქალაქო კონტროლის დაწესებას სამხედრო ძალებზე, სახელმწიფოთა შორის ნდობის ამაღლებას, თანამშრომლობის გაღრმავებას.

ამდენად, გაფართოების პროცესი ნატოს აძლევს შესაძლებლობას, განსაკუთრებული წვლილი შეიტანოს ევროპის და, ზოგადად, საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცების პროცესში.

ნატო რჩება ალიანსად, რომლის ფუნდამენტურ მიზანს ევროატლანტიკურ სივრცეში მშვიდობის დაცვა და წევრი ქვეყნების უსაფრთხოების განმტკიცება წარმოადგენს.

ახალი წევრები ისარგებლებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა უფლებით და ამავდროულად განახორციელებენ ნაკისრ ვალდებულებებს; ისინი აღიარებენ იმ პრინციპებსა და პროცედურებს, რომლებიც მათი გაწევრიანების დროს მიღებულია წევრი ქვეყნების მიერ.

გაფართოება უნდა მოხდეს გაეროს წესდების მიზნებისა და პრინციპების გათვალისწინებით, ასევე დაცული უნდა იყოს ალიანსის წევრი ქვეყნების და მათი მოსახლეობის თავისუფლება, საერთო კეთილდღეობა და ცივილიზაცია, რომელიც ეფუძნება დემოკრატიის, პირადი თავისუფლებისა და კანონის უზენაესობის პრინციპებს.

---

* ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულება, ბიულეტენი №1, თბილისი („საინფორმაციო ცენტრი ნატოს შესახებ"), იანვარი-მარტი 2006 წელი, გვ.12

გაფართოება ბუნებრივი და გამჭვირვალე პროცესია, რომლის მრავალმხრივ დიალოგში ყველა დაინტერესებული მხარე მონაწილეობს. საბოლოოდ, ალიანსის წევრი ქვეყნები ერთობლივად იღებენ გადაწყვეტილებას ახალი წევრის მიღების თაობაზე და, ამასთანავე, მიღების პროცესში ნატო აფასებს იმას, თუ რამდენად შეძლებს ქვეყანა თავისი წვლილი შეიტანოს უსაფრთხოების სფეროში და ალიანსის სამშვიდობო ოპერაციებში.

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მე-10 მუხლი თავდაპირველად გამოყენებულ იქნა 1952 წელს, როდესაც ალიანსს შეუერთდნენ საბერძნეთი და თურქეთი. 1955 წელს კი ალიანსის წევრი ქვეყანა გახდა გერმანია, 1982 წელს ნატოში შევიდა ესპანეთი.

ალიანსის წევრ ქვეყნებსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის მიზნით, 1991 წლის 20 დეკემბერს შეიქმნა ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო – NACC (North Atlantic Cooperation Council). საბჭოს ძირითად დანიშნულებას წარმოადგენდა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების, აგრეთვე ყოფილი სსრ კავშირის ტერიტორიაზე ახლად შექმნილი დამოუკიდებელი ქვეყნების ჩართვა პოლიტიკური კონსულტაციების პროცესში.

1994 წელს ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა შეიმუშავა პროგრამა "პარტნიორობა მშვიდობისათვის" (PfP), რომელიც მიზნად ისახავს პარტნიორ ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობას. პარტნიორი ქვეყნები ინდივიდუალურად ირჩევენ მოქმედების გეგმას თავიანთი მისწრაფებისა და შესაძლებლობების შესაბამისად. თანამშრომლობა მოიცავს ნატოს საქმიანობის ყველა სფეროს, მათ შორის, თავდაცვის პოლიტიკასა და დაგეგმვას, განათლებასა და წვრთნას, საჰაერო თავდაცვას, საკომუნიკაციო და საინფორმაციო სისტემებს, კრიზისების მართვასა და სამოქალაქო საგანგებო დაგეგმვას.



1955 წლის 6 მაისი, პარიზი, საფრანგეთი. გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა გახდა ნატოს წევრი. გფრ-ის კანცლერი კონრად ადენაუერი

1997 წელს პორტუგალიაში ქ. სინტრაში ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო შეცვალა ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭომ (Euro-Atlantic Partnership Council – EAPC), რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ფართომასშტაბიან პოლიტიკურ ფორუმს ნატოსა და პარტნიორ სახელმწიფოებს შორის, რაც გულისხმობს ფართო კონსულტაციების გამართვას პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებზე.

ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭო მართავს შეხვედრებს როგორც ყველა მოკავშირესა და პარტნიორს შორის, ასევე სამუშაო ჯგუფების დონეზეც – უფრო მცირე შემადგენლობით, ორივე ფორმატი ხელს უწყობს საბჭოს ეფექტურ ფუნქციონირებას. პარტნიორების უმრავლესობას გახსნილი აქვს დიპლომატიური მისიები ნატოს შტაბ-ბინაში ბრიუსელში, რაც აადვილებს რეგულარულ ურთიერთობებს და საშუალებას იძლევა ჩატარდეს კონსულტაციები სისტემატურად. ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს სხდომები ელჩების დონეზე ყოველთვიურად ტარდება, ხოლო საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრების, აგრეთვე თავდაცვის სფეროს ხელმძღვანელობის დონეზე – ყოველწლიურად. ამასთანავე, პერიოდულად იმართება შეხვედრები უმაღლეს დონეზე.

1999 წელს ვაშინგტონის სამიტზე მიღებულ იქნა ალიანსის ახალი სტრატეგიული კონცეფცია და სამი ქვეყანა: პოლონეთი, უნგრეთი და ჩეხეთი გახდა ნატოს წევრი. გარდა ამისა, აღნიშნული სამიტი მნიშვნელოვანი იყო იმითაც, რომ ვაშინგტონის სამიტზე დამტკიცდა "გაწევრიანების სამოქმედო გეგმა" (MAP), რომელშიც ჩამოყალიბდა რეკომენდაციები ნატოში გაწევრიანების მსურველი ქვეყნისთვის. როგორც წესი, გაწევრიანების სამოქმედო გეგმა 5 თავისგან შედგება: პირველი თავი პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებს მოიცავს; მეორე თავი თავდაცვისა და სამხედრო საკითხებისგან შედგება; მესამე თავში რესურსებია განხილული; მეოთხე თავი უსაფრთხოების საკითხებს შეიცავს; მეხუთე თავი კი სამართლებრივ საკითხებს ეხება.

დოკუმენტში მითითებულია, რომ გაწევრიანების მსურველი ქვეყნისათვის აუცილებელია ყოველწლიური ეროვნული პროგრამების შემუშავება, რომლებშიც მოცემული იქნება მოსამზადებელი პერიოდის მიზნები, ამოცანები, ასევე მათი შესრულების ეტაპები და პასუხისმგებელი სტრუქტურები. ხოლო მიღწეულ პროგრესზე ალიანსი იმსჯელებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიხედვით.



1995 წლის 28 სექტემბერი, ბრიუსელი, ბელგია. ნატოს გაფართოების შესახებ კვლევის პრეზენტაცია

ბრიუსელი, ბელგია.
ნატოს შტაბ-ბინა

ვაშინგტონის სამიტის დეკლარაციის შესაბამისად, სამოქმედო გეგმაში მონაწილეობა არ არის ლიმიტირებული რაიმე პერიოდით. გაწევრიანების სამოქმედო გეგმა არ წარმოადგენს ნატოში გაწევრიანების გარანტს, მაგრამ ეს არის ინტეგრაციის ბოლო ეტაპი, რომლის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში ქვეყანა ალიანსის პოლიტიკური გადაწყვეტილების შემდეგ ხდება ნატოს სრულუფლებიანი წევრი.

2002 წლის პრაღის სამიტმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ნატოს გაფართოების პროცესზე. სწორედ ამ სამიტზე საქართველომ ოფიციალურად განაცხადა ნატოში გაწევრიანების სურვილის შესახებ.

პრაღის სამიტის დეკლარაციის პირველ პუნქტშივე ვკითხულობთ:

"ჩვენ, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სახელმწიფოებისა და მთავრობათა მეთაურები, შევიკრიბეთ, რათა გავაფართოვოთ ჩვენი ალიანსი და გავაძლიეროთ ნატო, ვინაიდან ალიანსმა უნდა შეძლოს უპასუხოს XXI საუკუნის ახალ საფრთხეებსა და გამოწვევებს. ჩვენ, გაერთიანებულნი საერთო ხედვით, რომელსაც საფუძვლად უდევს ვაშინგტონის ხელშეკრულება, ვიღებთ ნატოს ტრანსფორმაციის ვალდებულებას ახალი წევრებით, შესაძლებლობებით, ჩვენს პარტნიორებთან ურთიერთობებით და მტკიცენი ვართ ტრანსატლანტიკური კავშირის, ალიანსის უსაფრთხოების საკითხების, ასევე კოლექტიური თავდაცვის, საერთო დემოკრატიული ფასეულობებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინაშე"*.

2004 წელს ნატოში შევიდა 7 ქვეყანა: ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, სლოვაკეთი და სლოვენია. ეს იყო ყველაზე ფართომასშტაბიანი პროცესი ალიანსის გაფართოების ისტორიაში.

2004 წლის 29 ოქტომბერს ნატოს ჩრდილოატლანტიკურმა საბჭომ დაამტკიცა საქართველოს "ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა" (Individual Partnership Action Plan), რომელშიც ასახულია ის სფეროები (უსაფრთხოების, სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ადმინისტრაციული სფეროები), რომელთა რეფორმირება აუცილებელია ნატოში ინტეგრაციისათვის. 2006 წლის 21 სექტემბერს საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა, რომ ალიანსმა დაიწყო საქართველოსთან "ინტენსიური დიალოგი გაწევრიანების საკითხებზე". ID (Intensified Dialogue) – ინტენსიური დიალოგი მიზნად ისახავს საშინაო, საგარეო პოლიტიკის, თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმირებას და ინტენსიურ კონსულტაციებს ალიანსის ოფიციალურ წარმომადგენლებთან.

---

* Prague Summit Declaration. Prague, 21 November, 2002. www.nato.int.

ნატოში გაწევრიანების კრიტერიუმებია:

- პოლიტიკური
- ეკონომიკური
- სამხედრო

პოლიტიკური კრიტერიუმი გულისხმობს: დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის არსებობას, უმცირესობათა უფლებების დაცვას, დემოკრატიული ტიპის ურთიერთობების ჩამოყალიბებას, როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო სფეროში. ეკონომიკური კრიტერიუმი ძირითადად მოიცავს საბაზრო ეკონომიკის განვითარებას; რაც შეეხება სამხედრო კრიტერიუმს, ქვეყანას ძლიერი, მობილური ჯარი უნდა ჰყავდეს და სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობა განმტკიცებული უნდა იყოს. ასევე, ფასდება ქვეყნის წვლილი საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცების პროცესში.

ამდენად, საქართველოს ნატოში გაწევრიანება ნიშნავს დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცებას და უსაფრთხო, სტაბილური გარემოს არსებობას. ამასთანავე, ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების ინტეგრაცია მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ამ რეგიონის, როგორც ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვრის უსაფრთხოების დაცვას.

ნატოს მთავარი პოლიტიკური და მმართველობითი ორგანოები



ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გადაწყვეტილების მიღების მთავარ პრინციპს წარმოადგენს კონსენსუსი. ეს პრინციპი ვრცელდება ორგანიზაციაში შემავალ ყველა სტრუქტურულ ერთეულზე, იქნება ეს რომელიმე საბჭო, კომიტეტი, თუ სამუშაო ჯგუფი.

ნატოს მთავარ პოლიტიკურ და მმართველ ინსტიტუტებს, რომლებიც აყალიბებენ ალიანსის პოლიტიკას და სტრატეგიას, წარმოადგენს:

- ჩრდილოატლანტიკური საბჭო
  (The North Atlantic Council)
- თავდაცვის დაგეგმვის კომიტეტი
  (The Defence Planning Committee)
- ბირთვული დაგეგმვის ჯგუფი
  (The Nuclear Planning Group)

უნდა აღინიშნოს, რომ ამ სამი ორგანოდან ჩრდილოატლანატიკური საბჭო არის ნატოში გადაწყვეტილებების მიმღები უმაღლესი ორგანო.

ძირითადი სამი ინსტიტუტის (ჩრდილოატლანტიკური საბჭო, თავდაცვის დაგეგმვის კომიტეტი, ბირთვული დაგეგმვის ჯგუფი) დაქვემდებარებაშია სპეციალური კომიტეტები, რომლებიც კომპლექტდება ალიანსის წევრი ქვეყნების წარმომადგენლებისაგან. ნატოს საორგანიზაციო სტრუქტურა არის ის ძირითადი მექანიზმი, რომლის საშუალებითაც ალიანსი იღებს გადაწყვეტილებებს და აყალიბებს ორგანიზაციის პოლიტიკას. სხდომებზე მიმოიხილება ალიანსის საკვანძო საკითხები და სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობა სხვადასხვა რეგიონში. აღსანიშნავია, რომ ნებისმიერ დონეზე მიღებულ გადაწყვეტილებებს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

NATO

გადაწყვეტილების მიღება კონსენსუსის გზით

ნატოს წევრ-სახელმწიფოებს შორის კონსულტაციისა და დისკუსიის შემდეგ, კონსენსუსის საფუძველზე, ალიანსი იღებს კონკრეტულ გადაწყვეტილებებს. კონსენსუსის პრინციპი საშუალებას იძლევა გათვალისწინებულ იქნას ყველა წევრი-სახელმწიფოს ინტერესი, ასევე გამოხატავს უკლებლივ ყველა წევრი-სახელმწიფოს თანხმობას. გადაწყვეტილების მიღების აღნიშნული პრინციპი არის იმის გარანტი, რომ ნატოს ნებისმიერი მოქმედება მხარდაჭერილი იქნება ყველა წევრის მიერ, რომლებიც თავიანთი თანხმობით გადაწყვეტილების განხორციელების ვალდებულებასაც იღებენ.

როდესაც ნატოს წევრი ქვეყნები ვერ თანხმდებიან ამა თუ იმ საკითხზე, მოლაპარაკებები გრძელდება მანამ, სანამ გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული. ზოგჯერ არის შემთხვევები, როდესაც ალიანსის წევრები თანხმდებიან, რომ კონკრეტულ საკითხზე შეთანხმების მიღწევა დროებით შეუძლებელია (ეს წარმოადგენს იშვიათობას).

გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოლაპარაკებებს ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ორგანიზაციის შიგნით წევრ-სახელმწიფოებს შორის მუდმივი კონსულტაციები ხელს უწყობს გადაწყვეტილების მიღების პროცესის დაჩქარებას. ყოველდღიური კონტაქტების და ურთიერთობის საშუალებით მხარეები წინასწარ იგებენ ერთმანეთის მოსაზრებებს და პოზიციებს, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს ურთიერთმისაღები პოზიციის დროულად შეჯერებას.



ჩრდილოატლანტიკური საბჭო

ჩრდილოატლანტიკური საბჭო (The North Atlantic Council, NAC) არის პოლიტიკური ორგანო და წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღების უმაღლეს ინსტიტუტს, რომელშიც თითოეულ წევრ-სახელმწიფოს გააჩნია ერთი ხმა. საბჭო შედგება წევრი სახელმწიფოების მუდმივი წარმომადგენლებისაგან (ელჩები). საბჭოს ფორმატში შეხვედრები, სულ მცირე, კვირაში ერთხელ იმართება.

ჩრდილოატლანტიკური საბჭო არის ნატოში ერთადერთი ორგანო, რომლის უფლებამოსილებას ვაშინგტონის ხელშეკრულება (ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულება, 1949 წლის 4 აპრილი) განსაზღვრავს. ხელშეკრულება საბჭოს მის დაქვემდებარებაში მყოფი კომიტეტებისა და სხვა დამხმარე ორგანოების შექმნის უფლებას ანიჭებს. ალიანსის ისტორიის განმავლობაში საბჭომ არაერთი კომიტეტი და სამუშაო ჯგუფი შექმნა, რამაც ხელი შეუწყო ალიანსის ეფექტურ ფუნქციონირებას. ამ ორგანოებს ეკისრება პასუხისმგებლობა კონკრეტულ სფეროზე, მაგალითად: თავდაცვის დაგეგმვა, ბირთვული პოლიტიკის დაგეგმვა, სამხედრო საკითხები, კრიზისების მართვა, სამოქალაქო პროგრამები, მეცნიერება და სხვ.

წელიწადში ორჯერ და, საჭიროებისას, უფრო მეტჯერ, საბჭოს ფორმატით იმართება მაღალი დონის შეხვედრები. ეს შეიძლება იყოს ოფიციალური და არაოფიციალური სესია - მინისტერიალი, რომლის მონაწილეები წევრი-ქვეყნების საგარეო საქმეთა ან თავდაცვის მინისტრები არიან.

განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე საკითხების განსახილველად და გადასაჭრელად ჩრდილოატლანტიკური საბჭო შეხვედრებს სამიტის ფორმატში მართავს, აქ ნატოს წევრ-სახელმწიფოებს პრემიერ-მინისტრები და პრეზიდენტები წარმოადგენენ. აღსანიშნავია, რომ ყველა დონეზე (მუდმივი წარმომადგენლები (ელჩები), მინისტერიალი, სამიტი) მიღებულ გადაწყვეტილებებს აქვს თანაბარი სტატუსი და იურიდიული ძალა.

საბჭოს თავმჯდომარეობს ალიანსის გენერალური მდივანი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – მისი მოადგილე.

ჩრდილოატლანტიკური საბჭო განიხილავს როგორც ნატოს საქმიანობასთან დაკავშირებულ საერთო, ასევე კონკრეტული ქვეყნის ინტერესებში შემავალ საკითხებს. ალიანსის ნებისმიერი ქვეყნის წარმომადგენელს შეუძლია საბჭოს დღის წესრიგში განსახილველი საკითხის დაყენება. ეს უფლება ნატოს გენერალურ მდივანსაც გააჩნია.

ჩრდილოატლანტიკური საბჭოს მუშაობაში დიდ როლს მის დაქვემდებარებაში მყოფი კომიტეტები ასრულებენ. მაგალითად, მთავარ პოლიტიკურ კომიტეტს (Senior Political Committee), რომელიც საბჭოში მუდმივი წარმომადგენლების მოადგილეებისაგან შედგება, ბრძანებების, დოკუმენტებისა და კომუნიკეების შემუშავება/გამოქვეყნება ევალებათ.

წევრები

ნატოს ყველა წევრი

თავმჯდომარე

ნატოს გენერალური მდივანი

ორგანოს მნიშვნელობა, როლი

ნატოში გადაწყვეტილების მიღების უმაღლესი ორგანო. ერთადერთი ორგანო, რომლის დაარსება გათვალისწინებულია ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მე-9 მუხლით. ხელშეკრულება ჩრდილოატლანტიკურ საბჭოს ქვეუწყებების შექმნის უფლებას ანიჭებს

შეხვედრების დონეები, მონაწილეები

- მუდმივი წარმომადგენლები (ელჩები)
- მინისტერიალი (წევრი-სახელმწიფოების საგარეო საქმეთა ან თავდაცვის მინისტრები)
- სამიტი (სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურები)

დაქვემდებარებაში მყოფი კომიტეტები

ალიანსის ყველა კომიტეტი და უწყება

თავდაცვის დაგეგმვის კომიტეტი

თავდაცვის დაგეგმვის კომიტეტი (Defence Planning Committee, DPC) ალიანსის წევრი-სახელმწიფოების ეროვნული დელეგაციების წარმომადგენლებისაგან (ელჩები) შედგება. წელიწადში ორჯერ კომიტეტის ფარგლებში წევრი-ქვეყნების თავდაცვის მინისტრების შეხვედრები იმართება. კომიტეტი ნატოს სამხედრო სტრუქტურასთან დაკავშირებულ საკითხებში უმაღლეს გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს წარმოადგენს. თავდაცვის დაგეგმვის კომიტეტი ალიანსის თავდაცვასა და კოლექტიურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებს და ამოცანებს განიხილავს. გარდა საფრანგეთისა*, აღნიშნულ კომიტეტში ნატოს ყველა წევრ-ქვეყანას ჰყავს თავისი წარმომადგენლები. თავდაცვის დაგეგმვის კომიტეტი თავის კომპეტენციის ფარგლებში შეიძლება შევადაროთ ჩრდილოატლანტიკურ საბჭოს, მას აკისრია იგივე ფუნქციები და ძალაუფლება. კომიტეტს ნატოს გენერალური მდივანი თავმჯდომარეობს. თავდაცვის დაგეგმვის კომიტეტს ექვემდებარება რამდენიმე ქვეკომიტეტი, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ამა თუ იმ კონკრეტულ სფეროზე. ქვეკომიტეტების მიზანია, ხელი შეუწყოს თავდაცვის დაგეგმვის კომიტეტს, იყოს უფრო ეფექტური და ქმედითი. მაგალითად, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქვეკომიტეტი – თავდაცვის მიმოხილვის კომიტეტი (Defence Review Committee) იკვლევს საკითხებს, რომლებიც ნატოს გაერთიანებულ სამხედრო სტრუქტურას უკავშირდება, ასევე აკონტროლებს ალიანსის შეიარაღებული ძალების დაგეგმვის პროცესს.

წევრები

ალიანსის წევრი ქვეყნები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ **ნატოს** გაერთიანებულ სამხედრო სტრუქტურაში (**ნატოს** ყველა წევრი-სახელმწიფო, გარდა საფრანგეთისა)

თავმჯდომარე

ნატოს გენერალური მდივანი

ორგანოს მნიშვნელობა, როლი

კოლექტიური თავდაცვის, დაგეგმვასა და **ნატოს** გაერთიანებულ სამხედრო სტრუქტურასთან დაკავშირებულ საკითხებში გადაწყვეტილების შემუშავება-მიღების ძალაუფლება

შეხვედრების დონეები, მონაწილეები

- მუდმივი წარმომადგენლები (ელჩები)
- მინისტერიალი (წევრი-სახელმწიფოების საგარეო საქმეთა ან თავდაცვის მინისტრები)

დაქვემდებარებაში მყოფი მთავარი კომიტეტები

თავდაცვის მიმოხილვის კომიტეტი (Defence Review Committee)

---

* 1966 წელს საფრანგეთმა ნატოს გაერთიანებული სამხედრო სტრუქტურა დატოვა, აქედან გამომდინარე, საფრანგეთის წარმომადგენლები არ ესწრებიან თავდაცვის დაგეგმვის კომიტეტისა და ბირთვული დაგეგმვის ჯგუფის შეხვედრებს.

ბირთვული დაგეგმვის ჯგუფი

ნატოს წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრები, რომლებიც მონაწილეობენ თავდაცვის დაგეგმვის კომიტეტის მუშაობაში, რეგულარულად ბირთვული დაგეგმვის ჯგუფის (Nuclear Planning Group, NPG) ფორმატშიც აწარმოებენ მოლაპარაკებებს და კონსულტაციებს. შეხვედრებზე განიხილება ალიანსის ბირთვულ პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხები, როგორიცაა: ბირთვული იარაღის დაცვა, საინფორმაციო სისტემების და კომუნიკაციების განვითარება ბირთვული პოლიტიკის სფეროში, ბირთვული იარაღის კონტროლი და გაუვრცელებლობა.

ბირთვული დაგეგმვის ჯგუფის მუშაობაში, გარდა მუდმივი წარმომადგენლებისა (ელჩები), აქტიურად არის ჩართული ბირთვული დაგეგმვის თანამშრომელთა ჯგუფი (NPG Staff Group), რომელიც ნატოს წევრი ქვეყნების (გარდა საფრანგეთისა) ეროვნული დელეგაციების წარმომადგენლების, საერთაშორისო სამხედრო სამსახურის (International Military Staff) და ალიანსის სტრატეგიული სარდლობების (Strategic Commanders) წევრებისაგან არის დაკომპლექტებული. ჩვეულებრივ, ბირთვული დაგეგმვის თანამშრომელთა ჯგუფი მართავს სესიებს კვირაში ერთხელ.

წევრები

ალიანსის ყველა წევრი-სახელმწიფო, გარდა საფრანგეთისა

თავმჯდომარე

ნატოს გენერალური მდივანი

ორგანოს მნიშვნელობა, როლი

ნატოს ბირთვულ პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებში გადაწყვეტილების შემუშავება-მიღების ძალაუფლება

შეხვედრების დონეები, მონაწილეები

- მუდმივი წარმომადგენლები (ელჩები)
- მინისტერიალი (წევრი-სახელმწიფოების თავდაცვის მინისტრები)

დაქვემდებარებაში მყოფი მთავარი კომიტეტები

მაღალი რანგის ჯგუფი (High-Level Group)
ბირთვული დაგეგმვის თანამშრომელთა ჯგუფი (NGP Staff Group)

ნატოს სამოქალაქო სტრუქტურა

ნატოს შტაბ-ბინა განთავსებულია ქალაქ ბრიუსელში (ბელგიის დედაქალაქი). აქ წარმოდგენილია წევრ-სახელმწიფოთა ეროვნული დელეგაციები, ალიანსის გადაწყვეტილების მიმღები უმაღლესი ორგანო, ორგანიზაციის პოლიტიკური და სამხედრო ინსტიტუტები, გენერალური მდივანი, საერთაშორისო სამსახური, ნატოს სხვადასხვა უწყება და პარტნიორი ქვეყნების დიპლომატიური მისიები.

ნატოს შტაბ-ბინაში მუშაობს დაახლოებით 4.200 თანამშრომელი. აქედან 2.100 ადამიანი არის ალიანსის წევრი-სახელმწიფოების ეროვნული სამოქალაქო და სამხედრო დელეგაციის წარმომადგენელი. ბრიუსელში ნატოს საერთაშორისო სამსახურს ემსახურება დაახლოებით 1.200 სამოქალაქო პირი, ხო ლო ალიანსის საერთაშორისო სამხედრო შტაბს - 500. ნატოს შტაბ-ბინაში ალიანსის პარტნიორი ქვეყნების დიპლომატიური მისიები წარმოდგენილია 400 ადამიანით.



სახელმწიფოთა წარმომადგენლობა ნატოში

ალიანსის ყველა წევრ-სახელმწიფოს ჰყავს ეროვნული წარმომადგენლობა ბრიუსელში, ნატოს შტაბ-ბინაში. ამ წარმომადგენლობებს აქვთ საელჩოს მსგავსი სტატუსი. ხშირად მათ დელეგაციას, მისიას ან მუდმივ წარმომადგენლობებს უწოდებენ.

დელეგაციებს ელჩი ხელმძღვანელობს, რომელიც თავისი სახელმწიფოს ინსტრუქციების შესაბამისად მოქმედებს და მისი ქვეყნის ეროვნულ ორგანოებს ექვემდებარება. დელეგაციის ამოცანაა თავისი ქვეყნის წარმოდგენა ნატოში; მისიას ასევე ევალება ეროვნული მთავრობისათვის ანგარიშების ჩაბარება ალიანსის გადაწყვეტილებებისა და პროექტების შესახებ, სახელმწიფოსა და ნატოს შორის უწყვეტი კავშირის უზრუნველყოფა.

დელეგაცია, ძირითადად, სახელმწიფოს საგარეო საქმეთა და თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებისაგან კომპლექტდება. მისიის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება მისი ქვეყნის კანონმდებლობით. ზოგადად, ეს ვადა წარმოადგენს 1-დან 8 წლამდე პერიოდს. ნატოში საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელის ვადა 4 წლით განისაზღვრება, ხოლო დელეგაციის სხვა წევრებისა – 3-ით (საქართველოს კანონი დიპლომატიური სამსახურის შესახებ).

ის ფაქტი, რომ ალიანსის ეროვნული დელეგაციები და ნატოს პარტნიორი ქვეყნების წარმომადგენლები მუშაობენ ერთ შენობაში, ხელს უწყობს მათ შორის ოფიციალური და არაფორმალური ურთიერთობების გაღრმავებას.

იაკობ გიისბერტ (იაპ) დე ჰოოპ სხეფერი
2004 წლიდან ნატოს გენერალური მდივანი

ნატოს გენერალური მდივანი

ნატოს გენერალური მდივანი (NATO Secretary General) არის მაღალი რანგის, დიპლომატიური გამოცდილების მქონე საერთაშორისო თანამდებობის პირი, რომელიც წევრი სახელმწიფოების მიერ ინიშნება. გენერალურ მდივანს სამი ძირითადი ფუნქცია აკისრია: პირველი, ის არის ჩრდილოატლანტიკური საბჭოს, თავდაცვის დაგეგმვის კომიტეტის და ბირთვული დაგეგმვის ჯგუფის, ნატო-რუსეთის საბჭოს, ნატო-უკრაინის კომისიისა და "ხმელთაშუა ზღვის დიალოგის" თავმჯდომარე; მეორე, ის მოქმედებს ორგანიზაციის სახელით და გამოხატავს წევრი-ქვეყნების საერთო პოზიციებს პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით; გენერალური მდივანი არ არის უფლებამოსილი, მიიღოს ერთპიროვნული პოლიტიკური გადაწყვეტილებები; მესამე, გენერალური მდივანი არის ალიანსის უმაღლესი წარმომადგენელი, ალიანსის კომიტეტების თავმჯდომარე და ორგანიზაციის მთავარი აღმასრულებელი თანამდებობის პირი.

ნატოს გენერალური მდივანი ინიშნება წევრი სახელმწიფოების მიერ 4 წლის ვადით. როგორც წესი, იგი საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე, ცნობილი სახელმწიფო მოღვაწეა, რომელსაც წევრი-ქვეყნების მთავრობები ერთსულოვნად უჭერენ მხარს. იგი პასუხისმგებელია კონსულტაციებსა და საერთო გადაწყვეტილებათა მიღების პროცესზე. აღსანიშნავია, რომ გენერალური მდივნის თანამდებობაზე, ჩვეულებრივ, ინიშნება რომელიმე ევროპული ქვეყნის მოქალაქე.

გენერალურ მდივანს ჰყავს მოადგილე, რომელიც ბრიუსელში ნატოს მთავარი პირის არყოფნის დროს ასრულებს მის მოვალეობებს. გარდა ამისა, გენერალური მდივნის მოადგილე რამდენიმე მნიშვნელოვანი კომიტეტისა და სამუშაო ჯგუფის (ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის კომიტეტი, შეიარაღებაზე კონტროლის მიზნობრივი ჯგუფი და სხვ.) ხელმძღვანელია.

საერთაშორისო სამსახური

საერთაშორისო სამსახურის ერთ-ერთი მთავარი მიზანია კონსულტაციების, რეკომენდაციების და ადმინისტრაციული მხარდაჭერის გაწევა ნატოს შიდა უწყებებს, ასევე სხვადასხვა რეგიონში პოლიტიკურ ვითარებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება წევრი-ქვეყნების ეროვნული დელეგაციებისა და ნატოს გენერალურ მდივნისათვის. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო სამსახური არის ჩართული ალიანსის გაფართოების პროცესშიც. საერთაშორისო სამსახურის თანამშრომლები რეკომენდაციების და კონსულტაციების მეშვეობით აქტიურად ეხმარებიან ჩრდილოატლანტიკურ ორგანიზაციაში გაწევრიანების მსურველ სახელმწიფოებს, შეასრულონ ალიანსთან ურთიერთობების გარკვეული ვალდებულებები (ნატოში გაწევრიანების მსურველ სახელმწიფოში სხვადასხვა სფეროში რეფორმების გატარება, პოლიტიკური ინსტიტუტების რეორგანიზაცია, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება, ქვეყნის თავდაცვითი პოტენციალის ამაღლება და სხვ.). ასევე, საერთაშორისო სამსახური ადგენს ყოველწლიურ მოხსენებებს ინდივიდუალური პარტნიორობის და გაწევრიანების სამოქმედო გეგმის მონაწილე პარტნიორი-ქვეყნების მიერ შესრულებული ვალდებულებების შესახებ. შემდგომში ეს მოხსენებები წარედგინება ჩრდილოატლანტიკურ საბჭოს დასამტკიცებლად. საერთაშორისო სამსახური აქტიურად არის ჩართული ნატოს პარტნიორ-სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან (გაერო, ევროკავშირი, ეუთო, ევროპის საბჭო და სხვ.) თანამშრომლობის პროცესში.



ნატოს სამხედრო სტრუქტურა

სამხედრო კომიტეტი

სამხედრო კომიტეტი (Military Committee) არის ნატოს უმაღლესი სამხედრო ორგანო. კომიტეტის ამოცანაა ნატოს პოლიტიკური სტრუქტურების და სტრატეგიული სარდლობებისათვის სამხედრო პოლიტიკასთან დაკავშირებული კონსულტაციების გაწევა, მითითებების და რეკომენდაციების შემუშავება. სამხედრო კომიტეტი პასუხისმგებელია ალიანსის სამხედრო ღონისძიებების განხორციელებაზე, ასევე, მას ევალება ნატოს ინტერესებისათვის შესაძლო საფრთხის შემცველი ქვეყნების სამხედრო ძლიერების და პოტენციალის შეფასება. კრიზისული სიტუაციის, ომის ან ალიანსის მიერ წარმოებულ სამხედრო/სამშვიდობო ოპერაციის (მაგ: კოსოვო, ავღანეთი და სხვ.) დროს უმაღლეს სამხედრო ორგანოს შექმნილ მდგომარეობასა და შესაძლო შედეგებთან დაკავშირებით ჩრდილოატლანტიკური საბჭოსათვის ინფორმაციის, რეკომენდაციებისა და რჩევების მიწოდება ევალება.



2006 წლის 11 ნოემბერი, ნატოს შტაბ-ბინა. სამხედრო კომიტეტის სხდომა

ნატოს პარტნიორ ქვეყნებთან უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის საკითხების განსახილველად სამხედრო კომიტეტი რეგულარულად მართავს შეხვედრებს ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს* (Euro-Atlantic Partnership Council), პარტნიორობა მშვიდობისათვის* (Partnership for Peace) და ხმელთაშუა ზღვის დიალოგის** (Mediterranean Dialogue) ფორმატში. ასევე, სამხედრო კომიტეტი აქტიურად თანამშრომლობს ნატო-რუსეთის საბჭოსა და ნატო-უკრაინის კომისიის ფარგლებში. 2001 წლიდან ნატოს სამხედრო კომიტეტი საერთო უსაფრთხოებასთან, თავდაცვასა და კრიზისების მართვის საკითხების განსახილველად აწარმოებს მოლაპარაკებებს ევროკავშირის სამხედრო კომიტეტის წარმომადგენლებთან.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სამხედრო კომიტეტი კოპლექტდება ნატოს წევრი-სახელმწიფოების მაღალი სამხედრო რანგის პირებისაგან,*** რომლებიც ჩართულნი არიან კომიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში. წელიწადში სამჯერ კომიტეტი შეხვედრებს ალიანსის წევრი-ქვეყნების გენერალური (გაერთიანებული) სამხედრო შტაბების ხელმძღვანელების დონეზე მართავს.

---

* ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოსა და პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ წევრები: ნატოს 26 წევრი ქვეყანა, ალბანეთი, სომხეთი, ავსტრია, აზერბაიჯანი, ბელორუსია, ბოსნია-ჰერცეგოვინა, ხორვატია, ფინეთი, საქართველო, ირლანდია, ყაზახეთი, ყირგიზეთი, მოლდოვეთი, ჩერნოგორია, რუსეთი, სერბეთი, შვედეთი, შვეიცარია, მაკედონია, მალტა, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, უკრაინა, უზბეკეთი.

** ხმელთაშუაზღვის დიალოგის ქვეყნები: ალჟირი, ეგვიპტე, ისრაელი, იორდანია, მავრიტანია, მაროკო, ტუნისი.

*** სამხედრო კომიტეტის სხდომებზე ისლანდიის რესპუბლიკას წარმოადგენს სამოქალაქო პირი, ვინაიდან აღნიშნულ სახელმწიფოს არ შეაქვს საკუთარი შეიარაღებული ძალები მუდმივ საწყისებზე.

**** თურქეთი აღიარებს მაკედონიის რესპუბლიკას მისი კონსტიტუციური სახელით.

ნატოს სამხედრო სარდლობები

ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს ჰყავს სტრატეგიული მნიშვნელობის ორი სარდლობა. პირველი – **მოკავშირეთა სარდლობა ოპერაციებისთვის** (Allied Command Operations, ACO), რომლის შტაბ-ბინაც მონსშია (ბელგია) განთავსებული. მეორე – **მოკავშირეთა სარდლობა ტრანსფორმაციის დარგში** (Allied Command Transformation, ACT), შტაბ-ბინით ნორფოლკში (ვირჯინია, აშშ). ეს ორი სტრატეგიული სარდლობა ვალდებულია თავისი უფლებამოსილების ფარგლებში შეასრულოს როგორც სამხედრო კომიტეტის ყველა დირექტივა, ასევე ალიანსის მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება.

მოკავშირეთა სარდლობის მეთაური ოპერაციებზე (Supreme Allied Commander Europe, SACEUR) ნატოს წევრი-სახელმწიფოების მიერ გადაცემულ სამხედრო ძალებს ხელმძღვანელობს. ის პასუხისმგებელია ნატოს ყველა სამხედრო ოპერაციაზე, განურჩევლად მათი გეოგრაფიული ადგილმდებარეობისა. ოპერაციებისთვის მოკავშირეთა სარდლობას ევალება სამხედრო საშუალებებით ალიანსის წევრი-სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობის, უსაფრთხოების, მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა.

მოკავშირეთა სარდლობის მეთაურს ტრანსფორმაციის დარგში (Supreme Allied Commander Transformation SACT), უაღრესად მნიშვნელოვანი როლი აკისრია. ის ალიანსის სამხედრო ძლიერებისა და პოტენციალის ამაღლებაზე, უახლესი სამხედრო ტექნოლოგიების, სამხედრო კონცეფციების და დოქტრინების შემუშავებაზეა პასუხისმგებელი.

ტრადიციისამებრ, ნატოს სტრატეგიული სარდლობების მეთაურები ინიშნებიან აშშ-ის გენერალიტეტის უმაღლესი რიგებიდან.

გენერალი ჯონ ქრედოლი
ნატოს მოკავშირეთა მოქმედი სარდალი ოპერაციებზე

გენერალი ჯეიმს ნ. მეტისი
ნატოს მოკავშირეთა სარდლობის მოქმედი მეთაური ტრანსფორმაციის დარგში

ნატოს სამოქალაქო და სამხედრო სტრუქტურა

ნევრი სახელმწიფოების ეროვნული მთავრობები

მუდმივი წარმომადგენლები (ელჩები ნატოში)

სამხედრო წარმომადგენლები

ჩრდილოატლანტიკური საბჭო

თავდაცვის დაგეგმვის კომიტეტი

ბირთვული დაგეგმვის ჯგუფი

კომიტეტები, რომლებიც ეკვემდებარებიან ჩრდილოატლანტიკურ საბჭოს, თავდაცვის დაგეგმვის კომიტეტს და ბირთვული დაგეგმვის ჯგუფს

გენერალური მდივანი
საერთაშორისო სამსახური

სამხედრო კომიტეტი
საერთაშორისო სამხედრო სამსახური

მოკავშირეთა სარდლობა ოპერაციებისთვის

მოკავშირეთა სარდლობა ტრანსფორმაციის დარგში

ნატოს შეიარაღებული ძალები და თავდაცვა

ტერმინმა "ნატოს შეიარაღებული ძალები" შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს ის, ვინც საკმარის ინფორმაციას არ ფლობს ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის შესახებ. სინამდვილეში, ალიანსს არ ჰყავს სამხედრო ძალები *მუდმივ საწყისებზე*, რაც იმას გულისხმობს, რომ ყოველი წევრი-სახელმწიფო, რომელიც მონაწილეობს ნატოს გაერთიანებულ სამხედრო სტრუქტურაში, ვალდებულია გამოყოს განსაზღვრული რაოდენობის და სახეობის შეიარაღებული ძალები შეთანხმებული ამოცანებისა და ოპერაციების განსახორციელებლად.

როგორც წესი, ალიანსის ძალების დიდი ნაწილი რჩება წევრი-სახელმწიფოების ეროვნული სარდლობების დაქვემდებარებაში მათი ნატოსთვის გადაცემამდე კონკრეტულ ოპერაციაში მონაწილეობისთვის. გამონაკლისს ამ მხრივ წარმოადგენს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გაერთიანებული შტაბების პერსონალი, ისევე როგორც ოპერატიული ძალები: ადრეული შეტყობინების ძალები, საჰაერო სივრცის კონტროლისა და მუდმივმოქმედი საზღვაო ძალები.

ნატოს დაფუძნებიდან მოყოლებული, შეიარაღებული ძალების მთავარი ამოცანა ყოველთვის იყო წევრ-სახელმწიფოთა უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის უზრუნველყოფა. თუმცა, "ცივი ომის" დასრულების შემდეგ შეიარაღებული ძალების როლი ჩრდილოატლანტიკურ სივრცეში ახლადჩამოყალიბებული უსაფრთხოების გარემოს შესაბამისად მნიშვნელოვნად შეიცვალა.

"ცივი ომის" დასრულების შემდეგ შეიარაღებულ ძალთა საერთო რიცხვი არსებითად შერმცირდა. კერძოდ, 90-იანი წლების დასაწყისიდან წევრი-ქვეყნების მიერ ნატოს განკარგულებაში გადაცემული სახმელეთო ძალების პერსონალი შემცირდა 35%-ით; გემების რაოდენობა საზღვაო ძალებში 30%-ით; საჰაერო ძალების საბრძოლო ესკადრილიები დაახლოებით 4%-ით. შეიარაღებული ძალების უმეტესობა აღარაა მაღალი საბრძოლო მზადყოფნის მდგომარეობაში და გადაყვანილია მათი მოქნილობის, მობილურობისა და თავსებადობის ასამაღლებლად.

პრაღის სამიტზე, რომელიც 2002 წლის 21-22 ნოემბერს გაიმართა, საფუძველი ჩაეყარა გადამწყვეტი მნიშვნელობის სამ ინიციატივას, რომელიც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ნატოს სამხედრო შესაძლებლობებში:

ნატოს სწრაფი რეაგირების ძალების (NATO RESPONSE FORCE, NRF) შექმნა. ეს ძალები, დაახლოებით 25.000-კაციანია, შედგება სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო კომპონენტებისგან, რომლებიც მუდმივ მზადყოფნაშია მიღებული ბრძანების შესაბამისად 5 დღის განმავლობაში განთავსდნენ მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში

მოკავშირეებმა აიღეს ვალდებულება სხვადასხვა სფეროში გააუმჯობესონ და განავითარონ მათი ეროვნული თავდაცვითი და სამხედრო შესაძლებლობები

ალიანსის სარდლობის სტრუქტურის რაციონალიზაცია. სტრატეგიული სარდლობები ევროპისა და ატლანტიკისათვის გარდაიქმნა ოპერაციების სტრატეგიულ სარდლობად და ტრანსფორმაციის დარგში სტრატეგიულ სარდლობად. რეგიონალური და დაქვემდებარებული სარდლობის რიცხვი 20-დან 11-მდე შემცირდა

ნატოს „სწრაფი რეაგირების ძალები"

"სწრაფი რეაგირების ძალები" (NATO RESPONSE FORCE, NRF) აერთიანებს სახმელეთო, სამხედრო-საჰაერო, სამხედრო-საზღვაო და სპეციალური ოპერაციების ძალთა კომპონენტებს, რომლებიც გამოირჩევიან მაღალ-ტექნოლოგიური აღჭურვილობით და დამოუკიდებელი მოქმედების (30 დღის განმავლობაში) შესაძლებლობებით. ნატოს შეუძლია ოპერატიულად განალაგოს ეს ძალები იქ, სადაც იქნება ამის საჭიროება.

ნატოს "სწრაფი რეაგირების ძალები"

2006 წლის 15-28 ივნისი, ნატოს "სწრაფი რეაგირების ძალების" წვრთნები "Steadfast Jaguar"

"სწრაფი რეაგირების ძალები" აერთიანებს 25.000 სამხედრო მოსამსახურეს, ძალების საბრძოლო განლაგება ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ბრძანების გამოცემიდან 5 დღის განმავლობაში ხორციელდება. "სწრაფი რეაგირების ძალებს" შეუძლია მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში განახორციელოს მთელი რიგი ამოცანებისა, კერძოდ:

- ქვედანაყოფების განლაგება ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მე-5 მუხლის (კოლექტიური თავდაცვა) ოპერაციების განსახორციელებლად ავტონომიური გაერთიანების სახით
- რეაგირების მოხდენა კრიზისებზე
- დახმარების გაწევა კატასტროფის ლიკვიდაციის პროცესში (ქიმიური, ბიოლოგიური და ბირთვული საშუალებით გამოწვეული ინციდენტები)
- ჰუმანიტარული კრიზისის აღმოფხვრა
- კონტრტერორისტული ოპერაციების განხორციელება
- პირველი დამრტყმელი ძალის ამოცანების შესრულება, რომლის მიზანია ნიადაგის მომზადება უფრო მძლავრი და მრავალრიცხოვანი სამხედრო კონტინგენტის განლაგებისათვის

"სწრაფი რეაგირების ძალების" დაკომპლექტების დროს ნატო როტაციის (ჩანაცვლების) პრინციპს იყენებს. ნატოს წევრი სახელმწიფოები 6 თვის ვადით გამოყოფენ თავიანთ სახმელეთო, სამხედრო-საჰაერო, სამხედრო-საზღვაო და სპეციალური დანიშნულების ძალების ქვედანაყოფებს.

"სწრაფი რეაგირების ძალების" შემადგენლობაში მოსახვედრად საჭიროა, ალიანსის წევრი-სახელმწიფოების ეროვნული სამხედო მოსამსახურეები აკმაყოფილებდნენ ნატოს მიერ დაწესებულ მომზადების გარკვეულ სტანდარტებს. ამიტომ, "ძალებში" მსახურებას წინ უძღვის სამხედრო მოსამსახურეების 6-თვიანი მოსამზადებელი პროგრამა.

წევრი-სახელმწიფოების მიერ აღნიშნული სტანდარტების დაკმაყოფილება ხელს უწყობს ნატოს სამხედრო პოტენციალის განვითარებას და გაძლიერებას.

„სწრაფი რეაგირების ძალების“ მიერ შესრულებული ამოცანები:

- 2004 წელს, ათენში (საბერძნეთი) საზაფხულო ოლიმპიური თამაშების დროს, "სწრაფი რეაგირების ძალების" ქვედანაყოფები ეხმარებოდნენ ადგილობრივ მთავრობას უსაფთხოების დაცვაში.
- 2004 წლის სექტემბერში ხელს უწყობდნენ ავღანეთში საპრეზიდენტო არჩევნების უსაფრთხო ჩატარებას.
- 2005 წელს, სექტემბერ-ოქტომბერში, "სწრაფი რეაგირების ძალების" საჰაერო ხომალდებმა განახორციელეს აშშ-თვის ნატოს წევრი ქვეყნების მიერ გამოყოფილი მატერიალური დახმარების მიწოდება, რომელიც ქარიშხალ "კატერინას" შედეგების ლიკვიდაციისათვის იყო გამიზნული.
- 2005-2006 წლებში, "სწრაფი რეაგირების ძალებმა" დახმარება აღმოუჩინეს პაკისტანის მთავრობას მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციის პროცესში.

ნატოს „სწრაფი რეაგირების ძალები“ ექვემდებარებიან ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მოკავშირეთა სარდლობას ოპერაციებისათვის.



2006 წლის 15-28 ივნისი, ნატოს "სწრაფი რეაგირების ძალების" წვრთნები "Steadfast Jaguar"



"სწრაფი რეაგირების ძალების" საზღვაო კომპონენტი

ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაქტიური და ბირთვული თავდაცვის ბატალიონი

ნატოს თავდაცვითი პოტენციალის ამაღლების პროცესში, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიღწევაა "ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაქტიური და ბირთვული თავდაცვის ბატალიონის" (CBRN Battalion) ჩამოყალიბება. ეს ბატალიონი 2003 წლის პირველი დეკემბრიდან სრულ მზადყოფნაში იმყოფება.

ბატალიონის ამოცანას მასობრივი განადგურების იარაღის საფრთხეებისაგან ალიანსის დაცვა და ორგანიზაციის სტრატეგიული სარდლობებისათვის სამხედრო მოქმედებებთან დაკავშირებით დროული შეფასებებისა და რეკომენდაციების მოწოდება წარმოადგენს. ასევე, ამ ბატალიონს ევალება მასობრივი განადგურების იარაღზე მონიტორინგის, სადაზვერვო და სადეზინფექციო ოპერაციების ჩატარება. ეს ბატალიონი შეიქმნა ნატოს "სწრაფი რეაგირების ძალების" კონცეფციის თანახმად და იგი ქმნის ალიანსისათვის დამატებით შესაძლებლობებს, მომზადებული შეხვდეს უსაფრთხოების თანამედროვე საფრთხეებს.

ბატალიონი ნატოს ცამეტი ნევრი-სახელმწიფოს (ბელგია, კანადა, ჩეხეთი, უნგრეთი, იტალია, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, ესპანეთი, დიდი ბრიტანეთი და აშშ) სპეციალისტებისაგან კომპლექტდება. ამ ბატალიონში 160-მდე პროფესიონალი სპეციალისტია გაერთიანებული.

"ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაქტიური და ბირთვული თავდაცვის ბატალიონის" შტაბ-ბინა ჩეხეთში, ქალაქ ლიბერეცშია განლაგებული.

CBRN-ის ბატალიონის ნევრონები, ქიმიური საფრთხისგან დაცვა



საჰაერო შეტყობინებისა და კონტროლის სისტემა

საჰაერო შეტყობინებისა და კონტროლის სისტემა (Airbone Warning and Control System, AWACS) წარმოადგენს უაღრესად მობილურ საჰაერო დაზვერვის მექანიზმს და არის ნატოს საჰაერო თავდაცვის ქვაკუთხედი.

ნატოს **AWACS**-ის საჰაერო ფლოტი შედგება 17 თვითმფრინავისაგან (E-3A ტიპის მოდიფიცირებული საჰაერო ხომალდები), რომლებიც აღჭურვილია დიდი მანძილის სიშორეზე ობიექტების აღმოჩენის ხელსაწყოებით. ობიექტის აღმოჩენის ან რომელიმე კონკრეტული ტერიტორიის დათვალიერების შემდეგ თვითმფრინავი აწვდის სადაზვერვო მონაცემებს ნატოს სამხედრო ძალებს ხმელეთზე, ზღვასა და ჰაერში. **AWACS**-ის საჰაერო ფლოტში შემავალი E-3A ტიპის თვითმფრინავები ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის საკუთრებაა.

1990-1991 წლებში, კუვეიტში ერაყის სამხედრო შეჭრის საპასუხოდ, ნატოს თვითმფრინავები მიმართული იქნა კონფლიქტის ზონაში. ეს თვითმფრინავები აწარმოებდნენ ნატოს წევრი-სახელმწიფოს - თურქეთისა და კონფლიქტში ჩაბმული ერაყის საზღვრის მუდმივ კონტროლს; ასევე, ისინი ახორციელებდნენ, ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში საჰაერო და საზღვაო მიმოსვლის ზედამხედველობას. ნატოს ეს აქცია მიზნად ისახავდა ალიანსის წევრი-სახელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნველყოფას და კრიზისის შემთხვევაში მის დროულ აღმოფხვრას.

2001 წელს, აშშ-ის წინააღმდეგ განხორციელებული ტერორისტული აქტების შემდეგ, უსაფრთხოების ამაღლების მიზნით, ნატოს **AWACS**-ის თვითმფრინავები აწარმოებენ აშშ-ის საჰაერო სივრცის პატრულირებას.

AWACS-ს ევალება როგორც ალიანსის სამხედრო და სამშვიდობო ოპერაციების, ასევე მნიშვნელოვანი სამოქალაქო ღონისძიებების დროს ციდან რეგიონის საჰაერო სივრცის პატრულირება. ასე, მაგალითად, 2004 წელს ათენში ოლიმპიური თამაშების დროს ნატოს თვითმფრინავები აკონტროლებდნენ საბერძნეთის ცას.

AWACS-ის E-3A ტიპის საჰაერო ხომალდი





ნატოს ბიუჯეტი

პრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის ბიუჯეტი შედგება წევრი-სახელმწიფოების ყოველწლიური შენატანებისაგან, რომელთა მოცულობაც ნატოს წევრი ქვეყნების მიერ დამტკიცებული ხარჯების განაწილების ფორმულის მახედვით განისაზღვრება. პრაქტიკაში, საწევრო შენატანები ითითოეული ქვეყნის თავდაცვისა და საგარეო ურთიერთობათა სამინისტროს ბიუჯეტის ნაწილია.

ერთობლივად დაფინანსებული ბიუჯეტი გაყოფილია სამხედრო, სამოქალაქო და უსაფრთხოებაში ინვესტირების ნატოს პროგრამის ბიუჯეტებად.

სამოქალაქო ბიუჯეტი (NATO Civil Budget) ფარავს საერთაშორისო სამსახურის, ალიანსის თანამშრომლების, სამოქალაქო პროგრამებისა და საქმიანობისათვის ისეთი აღჭურვილობის შეძენის, ექსპლუატაციისა და ტექნიკური უზრუნველყოფისთვის აუცილებელ ხარჯებს, რომელიც საჭიროა საკომიტეტო და სამუშაო ჯგუფების შეხვედრებისას. სამოქალაქო ბიუჯეტში განერილი ხარჯები ფინანსდება ნატოს წევრი სახელმწიფოების საგარეო ურთიერთობათა სამინისტროების მიერ.

სამხედრო ბიუჯეტი (NATO Military Budget) ფარავს საერთაშორისო სამხედრო სტრუქტურის ექსპლუატაციასა და ტექნიკურ მომსახურებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, კერძოდ, გაერთიანებული სამხედრო სტრუქტურის უზრუნველყოფის, სამხედრო კომიტეტის, საერთაშორისო სამხედრო შტაბის, ორი სტრატეგიული სარდლობის (მოკავშირეთა მთავარსარდლობა ევროპაში და მოკავშირეთა მთავარსარდლობა ტრანსფორმაციის დარგში), საინფორმაციო სისტემების, სამეცნიერო კვლევისა და განვითარების უწყებების, ადრეული საჰაერო შეტყობინებისა და კონტროლის სისტემის (AWACS) ხარჯებს. ნატოს სამხედრო ბიუჯეტი ფინანსდება ალიანსის წევრი ქვეყნების თავდაცვის სამინისტროების მიერ.

უსაფრთხოებაში ინვესტირების ნატოს პროგრამა (NATO Security Investment Program) უზრუნველყოფს ნატოს წევრი სახელმწიფოების სამხედრო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული პროექტების დაფინანსებას. პროექტების მიზანია მოიცავს ნატოს წევრ-ქვეყნებში სამხედრო ნაგებობებს (საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემა; სამხედრო-საჰაერო მართვის სისტემები; ფიქური კავშირი; აეროდრომები; მილსადენები; საწყობები და პორტები; ნავიგაციის საშუალებები) აშენება/შეკეთებისა და თანამედროვე აღჭურვილობით უზრუნველყოფა. ალიანსის ყველა წევრი-ქვეყანა მონაწილეობს უსაფრთხოებაში ინვესტირების ნატოს პროგრამაში. ერთადერთი გამონაკლისი საფრანგეთია, რომელიც არ არის ნატოს გაერთიანებული სამხედრო სტრუქტურის წევრი. უსაფრთხოებაში ინვესტირების ნატოს პროგრამის ბიუჯეტი ფინანსდება ალიანსის წევრი-სახელმწიფოების თავდაცვის სამინისტროების მიერ.

ხარჯების განაწილების ფორმულა

როგორც უკვე აღინიშნა, ნატოს ბიუჯეტი შედგება წევრი სახელმწიფოების ყოველწლიური შენატანებისაგან, რომელთა მოცულობაც ნატოს წევრი ქვეყნების მიერ დამტკიცებული ხარჯების განაწილების ფორმულით განისაზღვრება. ფორმულა პირდაპირპროპორციულია სახელმწიფოების გადახდისუნარიანობასთან და ითვალისწინებს წევრი-სახელმწიფოს ეკონომიკის პოტენციალს, შიდა ეროვნულ პროდუქტს, შიდა ეროვნულ პროდუქტს ერთ სულ მოსახლეზე, ეკონომიკის ზრდის პროცენტს, ქვეყნის საგარეო და საშინაო ვალებს და სხვა ფაქტორებს.

კონკრეტული ქვეყნისათვის შენატანის რაოდენობის განსაზღვრის დროს, გარდა ეკონომიკური მაჩვენებლებისა, დიდი როლი ენიჭება მოლაპარაკებებს. თუ ნატოს რომელიმე წევრი ქვეყანა არ ეთანხმება მისთვის დაწესებულ საპროცენტო განაკვეთს, მას შეუძლია მოლაპარაკებებისა და დანარჩენი წევრების კონსენსუსის საფუძველზე შეცვალოს ეს პროცენტი. ასევე, ალიანსში ორმხრივი მოლაპარაკებებით შესაძლებელია ერთმა ქვეყანამ თავის თავზე აიღოს მეორე ქვეყნის შენატანის გარკვეული ნაწილის დაფარვა.

ნატოს 2004 წლის ბიუჯეტში (დაახლოებით 1,1 მლრდ. აშშ დოლარი) შეტანილი თანხის მიხედვით ყველაზე მსხვილი გადამხდელებია:

- **ამერიკის შეერთებული შტატები**
  ალიანსის ბიუჯეტის **27,2%**
  (607,3 მლნ. აშშ დოლარი)
- **გერმანია**
  ალიანსის ბიუჯეტის **20,8 %**
  (464 მლნ. აშშ დოლარი)
- **იტალია**
  ალიანსის ბიუჯეტის **7,3%**
  (163,4 მლნ. აშშ დოლარი)
- **საფრანგეთი**
  ალიანსის ბიუჯეტის **5,5%**
  (122,7 მლნ. აშშ დოლარი)
- **კანადა**
  ალიანსის ბიუჯეტის **5,1%**
  (114,6 მლნ. აშშ დოლარი)

რაც შეეხება ესტონეთს, ისლანდიას, ლატვიასა და ლიტვას, თითოეული ამ ქვეყნის შენატანი ნატოს ბიუჯეტის 0,1% წარმოადგენს.

- **ესტონეთი** (1,3 მლნ. აშშ დოლარი)
- **ლიტვა** (3,6 მლნ. აშშ დოლარი)
- **ისლანდია** (0,5 მლნ. აშშ დოლარი)

აღსანიშნავია, რომ წლიდან წლამდე წევრი ქვეყნებისათვის დამტკიცებული საპროცენტო შენატანი არ განიცდის რადიკალურ ცვლილებებს.



ნატოს სამშვიდობო და მშვიდობის მხარდამჭერი ოპერაციები

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ისტორიის განმავლობაში ორგანიზაციამ არაერთი ცვლილება განიცადა, რათა ახალი გამოწვევების წინაშე სრულ მზადყოფნაში ყოფილიყო. ერთ-ერთი ასეთი უმნიშვნელოვანესი ცვლილება არის სამშვიდობო ოპერაციების განხორციელების და კრიზისების რეგულირების პროცესში ჩართვის გადაწყვეტილება. განურჩევლად კონფლიქტის გეოგრაფიული ადგილმდებარეობისა, ალიანსი აღიარებს, რომ საფრთხეები აღარაა შეზღუდული რომელიმე კონკრეტული ადგილმდებარეობით და მზად არის გამოეხმაუროს მათ, რა დროს და საიდანაც არ უნდა მოდიოდნენ ისინი. ამ შემთხვევაში ალიანსის მიდგომა გამოწვევებისადმი ასეთია: "ზოგჯერ საჭიროა გაუმკლავდეთ პრობლემას მანამ, სანამ ის თავს გადაგვხდება"

1990-იანი წლების განმავლობაში, ნატომ პირველად განახორციელა სამშვიდობო ოპერაციები. კერძოდ, ბალკანეთში (ბოსნია-ჰერცეგოვინა (1995წ.), კოსოვო (1999წ.), მაკედონია (2001წ.)), სადაც იუგოსლავიის სოციალისტურ-ფედერალური რესპუბლიკის დაშლის სისხლიანმა კონფლიქტმა სერიოზული საშიშროება წარმოშვა არა მხოლოდ რეგიონული, არამედ საერთო-ევროპული უსაფრთხოებისათვის. 2003 წელს ავღანეთში ნატოს მისიით ალიანსმა დაამტკიცა, რომ მას აქვს უნარი გაუმკლავდეს პრობლემებს არა მხოლოდ მისი ტრადიციული პასუხისმგებლობის – ევროატლანტიკურ სივრცეში, არამედ მის მიღმაც.

1992 წლის ივნისში, ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში, ნატოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე სამშვიდობო ოპერაციებში ალიანსის მონაწილეობას პოლიტიკური და იურიდიული საფუძველი ჩაეყარა.

1999 წლიდან საქართველოს შეიარაღებული ძალები აქტიურად მონაწილეობს სამშვიდობო მისიებში (კოსოვო, ავღანეთი, ერაყი). საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობით სამხედრო მოსამსახურეები იძენენ პრაქტიკულ გამოცდილებას და გამოხატავენ მზადყოფნას, ითანამშრომლონ ნატოსა და სხვა პარტნიორი ქვეყნების ჯარებთან.

ნატო ბოსნია-ჰერცეგოვინაში

როგორც უკვე აღინიშნა, ყოფილი იუგოსლავიის სოციალურ-ფედერალური რესპუბლიკის დაშლის შემდეგ ნატო გადამწყვეტ როლს ასრულებს ბალკანეთში მიმდინარე პოზიტიური ცვლილებათა პროცესში.

1992-1995 წლების განმავლობაში ნატო აქტიურად უჭერდა მხარს გაეროს ძალისხმევას რეზოლუციებისა და დიპლომატიური მოლაპარაკებების მეშვეობით ბოსნია-ჰერცეგოვინაში მიმდინარე საომარი მოქმედებების შესაჩერებლად. გაეროს მხრიდან ყველა მცდელობა, რეგიონში მშვიდობიანი გზით შეეჩერებინა ძალადობა, ამაო აღმოჩნდა.

1995 წლის 30 აგვისტოს ნატოს თვითმფრინავებმა საჰაერო იერიში მიიტანეს ბოსნია-ჰერცეგოვინაში სერბთა სამხედრო ფორმირებების მიერ დაკავებულ პოზიციებზე. წერტილოვანმა დარტყმებმა ბოსნიელ სერბთა ფორმირებების საკომუნიკაციო საშუალებები გაანადგურა. საჰაერო ოპერაცია იმავე წლის 15 სექტემბრამდე გაგრძელდა. დიპლომატიურმა ძალისხმევამ და საჰაერო ოპერაციის წარმატებამ ხელი შეუწყო ბოსნია-ჰერცეგოვინაში საომარი მოქმედებების შეწყვეტას და ნიადაგი მოამზადა ქალაქ დეიტონში (აშშ) დაპირისპირებული მხარეების წარმატებული მოლაპარაკებისათვის, რომელიც დეიტონის სამშვიდობო შეთანხმებით (Dayton Peace Accord) დასრულდა.



1995 წლის 16 დეკემბერს ალიანსმა ბოსნია-ჰერცეგოვინაში მიღწეული სამშვიდობო შეთანხმების განხორციელების პროცესზე დაკვირვების მიზნით, ერთი წლით გაეროს მანდატის მქონე საერთაშორისო ძალები (საიმპლემენტაციო ძალები, Implementation Force – IFOR) განათავსა. მათ ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის უზრუნველყოფა, ახლადშექმნილი ადმინისტრაციული ერთეულების (ბოსნიის ფედერაციისა და სერბთა რესპუბლიკის) შეიარაღებული ძალების დაშორიშორება და სამხედრო საწყობებზე კონტროლი დაევალა. სამოქალაქო სფეროში "საიმპლემენტაციო ძალების" საინჟინრო ქვედანაყოფები აწარმოებდნენ გზების, ხიდების, რკინიგზის, საგანმანათლებლო დაწესებულებების, საავადმყოფოების და კავშირგაბმულობის ობიექტების სარემონტო და აღდგენით სამუშაოებს. "საიმპლემენტაციო ძალებმა" დიდი წვლილი შეიტანეს ბოსნია-ჰერცეგოვინაში სამოქალაქო აეროპორტების გახსნაში, მოსახლეობისათვის წყლის, გაზისა და ელექტროენერგიის მიწოდების განახლებაში. დასახული ამოცანების შესრულების შემდეგ, 1996 წლის დეკემბერში, გაეროს №1088 რეზოლუციის თანახმად, "საიმპლემენტაციო ძალებს" ნატოს "სტაბილიზაციის ძალები" (Stabilization Force – SFOR) ჩაენაცვლა.

რეგიონში უსაფრთოების და მშვიდობის გამყარების გარდა "სტაბილიზაციის ძალებმა" იტვირთა "დეიტონის სამშვიდობო ხელშეკრულების" სამოქალაქო ასპექტების განხორციელების ხელშეწყობა. კერძოდ, ბოსნია-ჰერცეგოვინაში ახალი საერთო სახელისუფლებო ორგანოების ჩამოყალიბების, სხვადასხვა სფეროში რეფორმების განხორციელების, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების, ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებულთა სახლებში დაბრუნების ხელშეწყობა. ასევე, "სტაბილიზაციის ძალებს" დაევალა, სამხედრო დანაშაულში ბრალდებულთა დაკავება და ყოფილ იუგოსლავიაში საერთაშორისო სისხლის სამართლის ჰაგის ტრიბუნალისთვის (International Criminal Tribunal for the former Yugoslavia) გადაცემა.

ბოსნია-ჰერცეგოვინაში უსაფრთხოების და სტაბილური გარემოს აღდგენის შემდეგ ნატოს სამშვიდობო მისიის პირადი შემადგენლობა თანდათანობით მცირდება, ვიდრე 2004 წლის ბოლოს "სტაბილიზაციის ძალებმა" თავისი მისია არ დაასრულა. 2004 წლის 2 დეკემბერს ძირითადი პასუხისმგებლობა მშვიდობის შესანარჩუნებლად ევროკავშირის (European Union) სამხედრო მისიამ – "ალთეამ" (Althea) აიღო.

ბოსნია-ჰერცეგოვინაში გარდამავალი დემოკრატიული პროცესების მხარდაჭერის და ევროკავშირთან მჭიდრო კოორდინაციის მიზნით ნატომ სარაევოში (ბოსნია-ჰერცეგოვინის დედაქალაქი) თავისი წარმომადგენლობის (ნატოს შტაბი სარაევოში) სახით ქვეყანაში ყოფნა შეინარჩუნა.

ამჟამად ბოსნია-ჰერცეგოვინა ნატოს პროგრამა "პარტნიორობა მშვიდობისათვის", ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმისა (IPAP) და ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს წევრია. ასევე, სარაევოში ნატოს შტაბის წარმომადგენლები ხელს უწყობენ ბოსნია-ჰერცეგოვინის მთავრობას რეფორმების განხორციელებაში ქვეყნის სამხედრო და უსაფრთხოების სფეროში.

კოსოვოს კონფლიქტი და ნატო

1999 წლის ივნისიდან, საერთაშორისო საზოგადოების ძალისხმევის მხარდასაჭერად – დაამყაროს სტაბილურობა და მშვიდობა, ნატო ახორციელებს სამშვიდობო მისიას კოსოვოში.

კოსოვოში ჰუმანიტარული კატასტროფის აღსაკვეთად და მშვიდობის დასამყარებლად ნატომ სამხედრო-საჰაერო კამპანია განახორციელა. ეს იყო საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან კოსოვოში სერბი სამხედროების და კოსოვოელ ალბანელებს შორის ერთწლიანი შეუჩერებელი ძალადობის და საომარი მოქმედებების შეწყვეტის უკანასკნელი საშუალება. აღნიშნული კამპანიის საფუძველს წარმოადგენდა სლობოდან მილოშევიჩის მხრიდან გაეროს რეზოლუციების მუდმივი უგულვებელყოფა. ყველა ხელმისაწვდომი დიპლომატიური საშუალების ამოწურვისა და სამშვიდობო მოლაპარაკებათა წარუმატებლობის შემდეგ ალიანსმა გადაწყვიტა დაეწყო საჰაერო იერიშები იუგოსლავიის ხელისუფლების სამხედრო და გასამხედროებული სტრუქტურების წინააღმდეგ. ალიანსის სამხედრო საჰაერო კამპანია 1999 წლის 24 მარტს დაიწყო და 78 დღეს გაგრძელდა.

1999 წლის 23 აპრილს, ვაშინგტონში, ნატოს წევრ სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებმა კოსოვოს კონფლიქტთან მიმართებაში დაამტკიცეს ალიანსის მიზნები:

- საომარი მოქმედებების, ძალადობისა და რეპრესიების შეჩერება რეგიონში
- კოსოვოს პროვინციის დემილიტარიზაცია
- საერთაშორისო სამხედრო/სამშვიდობო მისიის ჩამოყალიბება კოსოვოში
- ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებული პირების დაუყოვნებლივი და უსაფრთხო დაბრუნება სახლებში
- ჰუმანიტარული დახმარების დაუბრკოლებელი მიწოდება ლტოლვილთათვის
- პოლიტიკური შეთანხმების შემუშავება კოსოვოსთან დაკავშირებით გაეროს ქარტიისა და საერთაშორისო სამართლის შესაბამისად



კოსოვოს ძალები

ნატოსა და ყოფილი იუგოსლავიის სარდლობას შორის სამხედრო შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, 1999 წლის 12 ივნისს, გაეროს მანდატის საფუძველზე*, ნატომ რეგიონში ე.წ. "კოსოვოს ძალები" (Kosovo Force – KFOR) გაგზავნა. "კოსოვოს ძალებს" დაევალათ:

- არ დაუშვათ საომარი მოქმედებების განახლება, განეიარაღებინათ კოსოვოს გამათავისუფლებელი არმია;
- სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება, განნაღმვა, სამედიცინო დახმარების გაწევა;
- საზოგადოებრივი წესრიგის, ეთნიკური უმცირესობების, უძველესი ძეგლებისა და საზღვრების დაცვა;
- კონტრაბანდის აღკვეთა;
- სამოქალაქო ინსტიტუტების, სასამართლო და პენიტენციარული სისტემის, კანონის უზენაესობის ჩამოყალიბების მხარდაჭერა;
- რეგიონის განნაღმვა და უკანონო იარაღის განადგურება;
- საარჩევნო პროცესების და სხვა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური ასპექტების განვითარების ხელშეწყობა;
- კოსოვოში გაეროს მისიისა (United Nations Mission in Kosovo – UNMIK) და სხვა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების ჰუმანიტარული ოპერაციების მხარდაჭერა.

სამშვიდობო მისიის დასაწყისში ერთიანი სარდლობისა და კონტროლის ქვეშ მყოფი "კოსოვოს ძალების" შემადგენლობაში 50.000 სამხედრო მოსამსახურე გაერთიანდა. მისია მოიცავს როგორც ჩრდილოატალანტიკური ორგანიზაციის წევრი-სახელმწიფოების, ასევე პარტნიორი ქვეყნების მშვიდობისმყოფელებს. კოსოვოს სამშვიდობო ოპერაციაში პირველი ქართული სამშვიდობო ოცეული (34 სამხედრო მოსამსახურე) 1999 წლიდან მონაწილეობს ქ. მამუშაში განლაგებული თურქული ბატალიონის შემადგენლობაში, 2003 წლიდან კი დამატებით 150 სამხედრო მოსამსახურე ქ. პრიზრენში გერმანული ბრიგადის შემადგენლობაში მსახურობს.

2003 წელს, რეგიონში უსაფრთხოების გარემოს გაუმჯობესებამ ალიანსს საშუალება მისცა შეემცირებინა სამშვიდობო კონტინგენტი დაახლოებით 15.000 კაცამდე.

2008 წლის 17 თებერვალს კოსოვოს მთავრობამ გამოაცხადა დამოუკიდებლობა. ამ ფაქტს საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების დაძაბვა მოჰყვა. ამასთან დაკავშირებით, 2008 წლის 18 თებერვალს, ნატოს ჩრდილოატლანტიკურმა საბჭომ გამოაქვეყნა განცხადება, სადაც ნათქვამია: "... გაეროს უშიშროების საბჭოს № 1244 რეზოლუციის საფუძველზე, ნატო აღასტურებს, რომ გააგრძელებს "კოსოვოს ძალების" მისიას კოსოვოში მანამ, სანამ გაეროს უშიშროების საბჭო არ მიიღებს სხვა გადაწყვეტილებას". განცხადებაში ასევე აღნიშნულია: "ნატოს პასუხისმგებლობა, კოსოვოში განავითაროს უსაფრთხო და მშვიდობიანი გარემო, უცვლელია."

"კოსოვოს ძალები", წვრთნების პროცესი

ნატოს ოპერაცია კოსოვოში ამჟამადაც გრძელდება. ალიანსი გაეროს მისიასთან (UNMIK) მჭიდრო თანამშრომლობით ხელს უწყობს უფრო უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებას, რომელშიც ყველა მოქალაქეს, მიუხედავად ეთნიკური წარმომავლობისა, შეეძლება მშვიდობიანი თანაცხოვრება.

* იხ. გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია № 1244.

ნატო მაკედონიის რესპუბლიკაში

მაკედონიის რესპუბლიკის მთავრობის თხოვნის საფუძველზე, გაენეიტრალებინა სკოპიეს (მაკედონიის დედაქალაქი) მთავრობასა და ეთნიკურ ალბანელთა მეამბოხეებს შორის კონფლიქტის ესკალაცია, ნატო მონაწილეობას იღებს რეგიონში მიმდინარე პროცესებში.

2001 წლის ივნისში, მაკედონიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა – ბორის ტროიკოვსკიმ თხოვნით მიმართა ნატოს, აღმოეჩინა დახმარება ქვეყნის ტერიტორიაზე ეროვნულ-გამათავისუფლებელი არმიისა და ეთნიკურ ალბანელთა მეამბოხე ჯგუფების განიარაღების პროცესში.

ნატოს ძალისხმევის შედეგად შედგა პოლიტიკური დიალოგი დაპირისპირებულ მხარეებს შორის, რომელსაც მოჰყვა სამშვიდობო ჩარჩო-გეგმის შემუშავება და რეგიონში საომარი მოქმედებების შეწყვეტა. ოჰრიდის ჩარჩო-ხელშეკრულების (Ohrid Framework Agreement) საფუძველზე, 2001 წლის 27 აგვისტოს, ოპერაციის კოდური სახელწოდებით "მთავარი მოსავალი" (Operation Essential Harvest), ნატომ მაკედონიაში სამხედრო მოსამსახურეთა პერსონალი შეიყვანა. ნატოს მისიას ეროვნულ-გამათავისუფლებელი არმიის ჯარისკაცების მიერ ნებაყოფლობით ჩაბარებული იარაღის შეგროვება და განადგურება დაეკალა. ოცდაათდღიანი ოპერაციის შედეგად ნატოს 3.500-მა სამხედრო მოსამსახურემ შეძლო დაახლოებით 3.875 ერთეული იარაღისა და 397.600-მდე სხვადასხვა ფეთქებადი ნივთის ამოღება. ოპერაციამ ხელი შეუწყო სამოქალაქო კონფლიქტის ესკალაციის თავიდან აცილებას. მოგვიანებით, სკოპიეს მთავრობამ თხოვნით მიმართა ნატოს მაკედონიის რესპუბლიკაში დესტაბილიზაციის თავიდან აცილების, ევროკავშირისა და ეუთოს დამკვირვებელთა* უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, შეენარჩუნებინათ მცირერიცხოვანი სამხედრო კონტინგენტი.

2003 წლის მარტიდან ნატოს მისია მაკედონიაში ევროკავშირს (European Union, EU) გადაებარა.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მიესალმება მაკედონიის რესპუბლიკის ძალისხმევას და მისწრაფებას გახდეს ნატოს სრულფასოვანი წევრი.



2003 წლის 31 მარტი, მაკედონიაში ნატოს სამშვიდობო მისიის დასრულების ცერემონია

---

* ევროკავშირის და ეუთოს დამკვირვებლები მეთვალყურეობდნენ ეთნიკური ალბანელი თემისა და ქვეყნის მთავრობას შორის მიღწეული ჩარჩო-სამშვიდობო გეგმის შესრულებას.

** თურქეთი აღიარებს მაკედონიის რესპუბლიკას მისი კონსტიტუციური სახელით.

ნატოს როლი ავღანეთში

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ისტორიის განმავლობაში ორგანიზაციის მისია ავღანეთში არის პირველი და ყველაზე მასშტაბური სამხედრო ოპერაცია, რომელიც ხორციელდება ევროატლანტიკური სივრცის გარეთ.

2001 წლის დეკემბერში, ავღანეთიდან ტერორისტული დაჯგუფების "ალ-ქაიდას" და თალიბების გაძევების შემდეგ, ავღანეთის ოპოზიციის ლიდერებმა ბონში (გერმანია), მოაწყეს კონფერენცია, სადაც განიხილეს ქვეყნის აღდგენის და სამომავლო განვითარების პროცესი. შეხვედრაზე გადაწყდა ახალი სახელმწიფო სტრუქტურის – ავღანეთის დროებითი ხელისუფლების ჩამოყალიბება და ქვეყანაში უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, გაეროს № 1386, 1413, 1444 რეზოლუციების შესაბამისად, საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალების (International Security Assistance Force – ISAF) ფორმირება. 2002 წლის იანვარში, ავღანეთის დროებითმა ხელისუფლებამ და საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალების სარდლობამ ხელი მოაწერეს "სამხედრო-ტექნიკურ ხელშეკრულებას" (Military Technical Agreement), რომელშიც განისაზღვრა ISAF-ის ამოცანები.

თავდაპირველად, ISAF-ის მისიას 6-თვიანი ვადით ცალკეული ქვეყნები ხელმძღვანელობდნენ და პასუხს აგებდნენ ოპერაციების განხორციელებაზე. 2003 წლის აგვისტოდან საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალებზე სრული ხელმძღვანელობა ნატოს გადაებარა.

ISAF წარმოადგენს გაეროს მანდატით* მოქმედ საერთაშორისო ძალებს, რომელიც აერთიანებს სამხედრო მოსამსახურეებს 40 ქვეყნიდან. მისიის მიზანია ავღანეთის მთავრობისათვის დახმარების გაწევა უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებაში, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის განვითარებას. საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალებს ევალება:

- ავღანეთის ეროვნული უსაფრთხოების ძალებთან თანამშრომლობით ერთობლივი სამხედრო ოპერაციების ჩატარება;
- ავღანეთის ეროვნული უსაფრთხოების ძალების, ავღანეთის ეროვნული არმიის, პოლიციის და სხვა სტრუქტურების განვითარების მხარდაჭერა;
- ავღანეთის მთავრობის მხარდაჭერა უკანონო შეიარაღებული ფორმირებების განიარაღების პროცესში;
- ჰუმანიტარული ოპერაციების მხარდაჭერა;
- ავღანეთის ეროვნული უსაფრთხოების ძალების მხარდაჭერა ნარკოტიკების წინააღმდეგ მიმართულ ოპერაციებში;
- ნარკოტიკების წინააღმდეგ მიმართული საჯარო საინფორმაციო კამპანიის მხარდაჭერა;
- ავღანეთის მიერ სამოქალაქო და სამხედრო პროექტების განხორციელების ხელშეწყობა.

ISAF-ის მისია,
წყლის მილების გაყვანის პროცესი
ბახლანის სოფლებისკენ

* იხილეთ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები: № 1386; 1413; 1444; 1510; 1563; 1623; 1707; 1776.

ISAF-ის თავდაპირველი მანდატი ქაბულითა (ავღანეთის დედაქალაქი) და მისი შემოგარენით შემოიფარგლებოდა. 2003 წლის ოქტომბრიდან, გაეროს უშიშროების საბჭოს № 1510 რეზოლუციით, ის გაფართოვდა ავღანეთის მთელ ტერიტორიაზე.

ოპერაციის გაფართოებასთან ერთად, საერთაშორისო უსაფრთხოების ძალების გაძლიერების მიზნით, ნატომ შექმნა ISAF-ის სარდლობის დაქვემდებარებაში მყოფი სამოქალაქო-სამხედრო "პროვინ- ციების სარეკონსტრუქციო ჯგუფები" (Provincial Reconstruction Teams – PRT).

"პროვინციების სარეკონსტრუქციო ჯგუფები" არის სამოქალაქო და სამხედრო მოსამსახურეებისაგან დაკომპლექტებული ჯგუფები, რომლებიც მოქმედებენ ავღანეთის პროვინციებში და ხელს უწყობენ ქვეყნის ხელისუფლებას, გააძლიეროს თავისი ძალაუფლება და უზრუნველყოს უსაფრთხოება ავღანეთის რეგიონებში. ასევე, პროვინციების სარეკონსტრუქციო ჯგუფები ხელს უწყობენ ქვეყნის ტერიტორიაზე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების უსაფრთხო ფუნქციონირებას; ახორციელებენ სკოლების, სამედიცინო დაწესებულებებისა და წყლის მიწოდების აღდგენით სამუშაოებს; მხარს უჭერენ სამოქალაქო და სამხედრო პროექტების განხორციელებას; ეხმარებიან ავღანეთის მთავრობას, განავითაროს ინიციატივები უსაფრთხოების სფეროში; აქტიურად თანამშრომლობენ ავღანეთის პროვინციების ადგილობრივ ხელისუფლებასთან.

ამჟამად ავღანეთის ტერიტორიაზე მოქმედებს პროვინციების 25 სარეკონსტრუქციო ჯგუფი.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ხელმძღვანელობით მოქმედი მისიის შემადგენლობაში 35 ათასამდე სამხედრო მოსამსახურეა გაერთიანებული.

ნატოს ჩრდილოატლანტიკური საბჭო ახორციელებს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას და კოორდინირებას უწევს საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალების მისიას ავღანეთში, ხოლო ნატოს მოკავშირეთა მთავარსარდალი სარდლობის მეთაური ოპერაციებისათვის – მისიის სტრატეგიულ მართვას.

ნატოსა და რუსეთის თანამშრომლობის ფარგლებში მუშავდება ერთობლივი საცდელი პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს ავღანეთის რეგიონიდან ნარკოტიკების გავრცელების წინააღმდეგ მოქმედი მექანიზმების გაძლიერებას და ხელშეწყობას.

ნატოს 2008 წლის ბუქარესტის სამიტის შემაჯამებელ დეკლარაციაში (კომუნიკე) ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა კიდევ ერთხელ გააჟღერა, რომ ნატოს ერთ-ერთ უმთავრესს პრიორიტეტს ISAF-ის მისია წარმოადგენს. ასევე, კომუნიკეში აღნიშნულია, რომ მიუხედავად არსებული წარმატებებისა, ალიანსის წევრები აცნობიერებენ, რომ მეტი ძალების მობილიზებაა საჭირო ოპერაციის უფრო ეფექტური წარმართვისათვის.

საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალების ოპერაციაში მონაწილეობას იღებს:

- ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ყველა წევრი-სახელმწიფო
- ალბანეთი, ავსტრია, აზერბაიჯანი, ხორვატია, ფინეთი, საქართველო*, ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონია, ირლანდია, შვედეთი, უკრაინა
- ავსტრალია, იორდანია, ახალი ზელანდია, სინგაპური



* 2004 წელს ავღანეთში საპრეზიდენტო არჩევნების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით 50 სამხედრო მოსამსახურე სამშვიდობო მისიას ქალაქ ქაბულში ასრულებდა. 2008 წლის ბოლომდე საქართველოს გადაწყვეტილი აქვს ორი გაძლიერებული ასეული გააგზავნოს ავღანეთში ნატოს ISAF-ის მისიაში მონაწილეობისათვის. სავარაუდოდ, საქართველოს სამხედროთა საერთო რაოდენობა ავღანეთში ოთხასამდე ჯარისკაცი იქნება.

** თურქეთი აღიარებს მაკედონიის რესპუბლიკას მისი კონსტიტუციური სახელით.



ნატოს როლი ერაყში

ნატო როგორც ორგანიზაცია, არ მონაწილეობს ერაყში აშშ-ის ხელმძღვანელობით წარმოებული მრავალეროვნული კოალიციური ჯარების სამხედრო ოპერაციაში. ალიანსის როლი ერაყში შემოიფარგლება ერაყელი სამხედრო მოსამსახურეების განვრთნით. ამით ნატო ხელს უწყობს ერაყის მთავრობას ეფექტური შეიარაღებული ძალების ფორმირებაში და მხარს უჭერს თავდაცვითი შესაძლებლობის ამაღლებას.

2004 წლის 22 ივნისს, ერაყის გარდამავალი მთავრობის პრემიერ-მინისტრმა თხოვნით მიმართა ნატოს გენერალურ მდივანს, დახმარება აღმოეჩინა ერაყელი სამხედრო მოსამსახურეების განვრთნაში და სხვა ტექნიკურ საკითხებში.

2004 წლის 28 ივნისს, ნატოს სტამბოლის სამიტზე შეხვედრის მონაწილეებმა გადაწყვეტილება მიიღეს დახმარება აღმოეჩინათ ერაყის მთავრობისთვის სამხედრო პერსონალის განვრთნაში. იმავე წლის 30 ივლისს ჩამოყალიბდა ნატოს "წვრთნების საიმპლემენტაციო მისია" (Training Implementation Mission) ერაყში.

2004 წლის 7 აგვისტოდან, ნატოს მისია ახორციელებს ერაყელი სამხედრო მოსამსახურეების წვრთნას როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ნატოს წევრი-ქვეყნების ტერიტორიაზე. თავდაპირველად, წვრთნების საიმპლემენტაციო მისია 50 ოფიცერს აერთიანებდა.

2004 წლის 22 სექტემბერს, "წვრთნების საიმპლემენტაციო მისიის" რეკომენდაციების საფუძველზე, ჩრდილოატლანტიკურმა საბჭომ გადაწყვიტა მისიის პირადი შემადგენლობის გაზრდა და ასევე, ერაყში "წვრთნების, განათლებისა და დოქტრინების ცენტრის" ჩამოყალიბება. მისიაში მომსახურე პერსონალის რიცხვი სამას კაცამდე გაიზარდა, რომლებსაც ერაყის საშუალო და მაღალი რანგის სამხედრო მოსამსახურეების განვრთნა დაევალათ. ამასთანავე, შეიცვალა მისიის სახელწოდება – "ნატოს საწვრთნელი მისია ერაყში" (NATO Training Mission-Iraq).

შინაარსობრივად "ნატოს საწვრთნელი მისია ერაყში" არასაომარი ხასიათისაა, მისი მიზანია ერაყელი სამხედროების განვრთნა, აღჭურვა და ტექნიკური დახმარების აღმოჩენა.

2004-2006 წლების განმავლობაში ნატოს მისიის ფარგლებში კვალიფიკაცია 5.000-მდე ოფიცერმა აიმაღლა.

მისიის დაწყებიდან დღემდე ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა ერაყის მთავრობა სხვადასხვა სამხედრო-ტექნიკური საშუალებით (ტყვია-წამალი, ჯავშან-ჟილეტები, სამხედრო მანქანები, ტანკები და სხვა აღჭურვილობა) მოამარაგა, რომლის საერთო ღირებულება 110 მილიონ ევროს შეადგენს.

ნატოს როლი დარფურში (აფრიკა, სუდანის რესპუბლიკა)

2005 წელს, "აფრიკის კავშირმა" გაზარდა თავისი სამშვიდობო კონტინგენტი, რომელიც განლაგებულია დარფურში (სუდანი). ეს ნაბიჯი მიზნად ისახავდა რეგიონში ძალადობის შეწყვეტას.

2005 წლის 26 აპრილს, "აფრიკის კავშირის" (AFRICAN UNION, AU) თავმჯდომარემ თხოვნით მიმართა ნატოს გენერალურ მდივანს ლოგისტიკის საკითხებში პრაქტიკული დახმარება აღმოეჩინა კავშირის გაფართოებული სამშვიდობო მისიისთვის.

ევროკავშირთან, "აფრიკის კავშირსა" და გაეროსთან კონსულტაციების შემდეგ ნატოს ჩრდილოატლანტიკურმა საბჭომ "აფრიკის კავშირის" თხოვნა დააკმაყოფილა. 2005 წლის ივნისში, ნატომ ოფიციალურად გამოაცხადა მზადყოფნა დახმარება აღმოეჩინა დარფურში მოქმედ სამშვიდობო მისიისთვის სტრატეგიული გადაადგილების, მისიის პერსონალის სწავლების და სამოქალაქო პოლიციელების გადაადგილების საკითხებში.

2005 წლის ივლისიდან 2006 წლის თებერვლამდე ნატომ "აფრიკის კავშირის" სამშვიდობო მისიის 24.000 მოსამსახურის საჰაერო ტრანსპორტირება განახორციელა. ამასთანავე, ნატო ახორციელებდა, "აფრიკის კავშირის" ოფიცერთა სწავლებას მრავალეროვნული სამხედრო შტაბებისა და ინფორმაციის ეფექტური მართვის საკითხებში. ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მჭიდროდ თანამშრომლობს ევროკავშირთან, რომელიც მხარს უჭერს "აფრიკის კავშირის" სამშვიდობო ოპერაციას.



2005 წლის 17 მაისი,
"აფრიკის კავშირის" თავმჯდომარე –
ალფა ოუმარ კონარეს ვიზიტი ნატოში



ნატოს მისია დარფურში,
"აფრიკის კავშირის" მშვიდობისმყოფელების
ტრანსპორტირება

ოპერაცია „აქტიური ძალისხმევა"

"აქტიურ ძალისხმევას" ("Active Endeavor") წინ უძღოდა ნატოს ისტორიაში უპრეცედენტო მოვლენა – ჩრდილო-ატლანტიკური (ვაშინგტონის) ხელშეკრულების მე-5 მუხლის ამოქმედება, რაც ითვალისწინებს კოლექტიურ თავდაცვას. ოპერაციის საფუძველს წარმოადგენს 2001 წლის 11 სექტემბერს აშშ-ის წინააღმდეგ განხორციელებული ტერორისტული აქტების საპასუხოდ ნატოს მიერ მიღებულ ერთ-ერთ ზომას*.

2001 წლის ოქტომბრიდან, ოპერაცია "აქტიური ძალისხმევის" ფარგლებში ნატოს სამხედრო-საზღვაო ძალები, რომლებიც აერთიანებენ სამხედრო გემებს, წყალქვეშა ნავებს, თვითმფრინავებს და შვეულმფრენებს, ხმელთაშუა ზღვის წყლების პატრულირებას ახორციელებენ. ისინი აკონტროლებენ გემების მიმოსვლას და გიბრალტარის სრუტეში თანხლებას უწევენ სავაჭრო გემებს. "აქტიური ძალისხმევის" მიზანია ხმელთაშუა ზღვის წყლებში ტერორისტული საქმიანობის აღკვეთა, მისი გამოვლენა და დროული განეიტრალება. ეს ოპერაცია მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის განვითარებაში.

ხმელთაშუა ზღვაში, გემების ინტენსიური სავაჭრო მიმოსვლის რეგიონში, სტაბილური და მშვიდი გარემოს ჩამოყალიბება ძალიან მნიშვნელოვანია ალიანსის უსაფრთხოებისათვის. დასავლეთ ევროპაში გამოყენებული ნავთობისა და ბუნებრივი აირის 65%-ის ტრანსპორტირება ხმელთაშუა ზღვის გავლით ხდება. მსხვილი მილსადენები აერთიანებენ ლიბიას იტალიასთან, მაროკოს – ესპანეთთან. ამის გათვალისწინებით, ხმელთაშუა ზღვის აუზში ალიანსის სამხედრო ძალები მილსადენების სისტემატურ კონტროლს ახორციელებენ.

2003 წლის მარტიდან "აქტიური ძალისხმევის" ფარგლებში გიბრალტარის სრუტეში ხორციელდება ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი-ქვეყნების დროშით მცურავი არასამხედრო გემების თანხლება. ამ გადაწყვეტილების მიზანს წარმოადგენს ტერორისტული თავდასხმების აღკვეთა, რომლებსაც ადგილი ჰქონდა 2000 წელს, იემენში აშშ-ის და 2002 წელს საფრანგეთის დროშით მცურავი ხომალდების წინააღმდეგ. 2003 წლის აპრილიდან ნატო ახორციელებს საეჭვო ხომალდების სისტემატურ შემოწმებას.

ოპერაცია "აქტიური ძალისხმევის" ფარგლებში ალიანსის გემებმა და შვეულმფრენებმა განახორციელეს რამდენიმე სამაშველო ოპერაცია, მათ შორის, ნავთობჭაბურღილის პლატფორმიდან მუშებისა და მძირავი გემებიდან ეკიპაჟის ევაკუაცია.

ნატოს სამხედრო ყოფნამ ხმელთაშუა ზღვის წყლებში ხელი შეუწყო ნატოსა და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების (ალჟირი, ეგვიპტე, ისრაელი, იორდანია, მავრიტანია, მაროკო, ტუნისი) მჭიდრო თანამშრომლობას უსაფრთხოების სფეროში, რადგან აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში ეს ქვეყნები აწვდიან ალიანსის ძალებს სადაზვერვო მონაცემებს რეგიონულ წყლებში მცურავი გემების შესახებ.

ოპერაციის დაწყების დღიდან ალიანსის სამხედრო ძალებმა გააკონტროლეს 75.000-ზე მეტი გემის მიმოსვლა, შეამოწმეს 100-მდე საეჭვო ხომალდი, ასევე გიბრალტარის სრუტის გადაკვეთის დროს გასწიეს 480-მდე კომერციული გემის თანხლება. ნატოს გაძლიერებული ყოფნა ხმელთაშუა ზღვის აუზში წარმოადგენს უსაფრთხოების გარანტს და დადებითად აისახება გემების მიმოსვლაზე. "აქტიური ძალისხმევა" ხელს უწყობს სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას რეგიონში.

აღსანიშნავია, რომ ოპერაცია "აქტიურ ძალისხმევაში", გარდა ნატოს წევრი-სახელმწიფოებისა, ჩართულია ალიანსის პარტნიორი ქვეყნები. ასე, მაგალითად, რუსეთისა და უკრაინის მთავრობა მხარს უჭერს "აქტიური ძალისხმევის" ოპერაციის განხორციელებას. ამ ორი ქვეყნის სამხედრო ხომალდები მონაწილეობენ აღნიშნულ ოპერაციაში.



*იხ.: 11 სექტემბერს აშშ-ის წინააღმდეგ განხორციელებული ტერორისტული აქტების საპასუხოდ ნატოს მიერ აშშ-ის მხარდასაჭერად მიღებული 8 ზომა (8 measures to support US post September 11).

ნატო და სამოქალაქო უსაფრთხოება

კატასტროფებზე რეაგირების ევროატლანტიკური საკოორდინაციო ცენტრი (Euro-Atlantic Disaster Response Coordination Centre – EADRCC)

ნატოს კატასტროფებზე რეაგირების ევროატლანტიკური საკოორდინაციო ცენტრი (EADRCC) შეტყობინების მიღებიდან 24 საათის განმავლობაში სტიქიური უბედურებების და სხვა კატასტროფის დროს დახმარებას უწევს ალიანსის წევრ და პარტნიორ ქვეყნებს. დახმარება ნატოს წევრი ქვეყნებიდან სამაშველო ჯგუფების, ტექნიკის, სურსათის, პირველადი მოხმარების საგნების, აგრეთვე ფინანსური სახსრების გამოყოფას ითვალისწინებს.

ცენტრი დღე-ღამის განმავლობაში მზადაა რეაგირება მოახდინოს ევროატლანტიკურ სივრცეში სამოქალაქო საგანგებო სიტუაციებზე. ნატოს ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს ან პარტნიორ ქვეყანას, რომელიც გახდება კატასტროფის მსხვერპლი, შეუძლია მიმართოს EADRCC-ს დახმარების მოთხოვნით. ცენტრი უგზავნის მიღებულ მოთხოვნას ნატოს წევრებს და პარტნიორ ქვეყნებს, რომლებიც თავის მხრივ დახმარებას სთავაზობენ EADRCC-ს ან/და უშუალოდ დაზარალებულ ქვეყანას.

ნატომ სხვადასხვა კატასტროფის დროს დახმარება აღმოუჩინა ალბანეთს, ბოსნია-ჰერცეგოვინას, მაკედონიას, ბულგარეთს, სლოვაკეთის რესპუბლიკას, ყირგიზეთს, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ალჟირს.

2005 წლის გაზაფხულზე მომხდარი წყალდიდობის დროს ნატომ საქართველოსათვის მნიშვნელოვანი თანხა გამოყო, რომელიც ერთ მილიონ ევროს შეადგენდა. დახმარება მოიცავდა სამაშველო აღჭურვილობას, წყალსაქაჩებს, გენერატორებს, კარვებს, საბნებს, საძილე ტომრებს, სურსათს და სხვა პირველადი მოხმარების საგნებს.

ახალი ევროატლანტიკური სტრატეგია შავი ზღვის რეგიონისათვის

შავი ზღვის რეგიონს, რომელიც მდებარეობს ევროპის, ევრაზიისა და ცენტრალური აზიის უსაფრთხოების სივრცეების გადაკვეთაზე, დიდი ხნის მანძილზე არ აქცევდნენ შესაბამის ყურადღებას, რაც გამოწვეული იყო სხვადასხვა ფაქტორით. ერთი მხრივ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გარკვეული პერიოდის განმავლობაში ევროატლანტიკური გაერთიანების პოლიტიკური ენერგია მთლიანად მიმართული იყო შემდეგი პრობლემების მოგვარებისაკენ: ბალკანეთის ომის შეწყვეტა, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ინტეგრაცია და ა.შ., მეორე მხრივ, თავად შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებსაც ნაკლები შესაძლებლობა ჰქონდათ, რათა დაემყარებინათ მჭიდრო ურთიერთობები დასავლეთთან. ეს სახელმწიფოები ჩართულნი იყვნენ სამოქალაქო ომებსა და კონფლიქტებში. დასავლეთთან ინტეგრაციის ნებისმიერი სურვილი თავად ამ ქვეყნებშიც კი არარეალურად და უტოპიურად აღიქმებოდა.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ფართომასშტაბიანი გაფართოების შემდეგ დასავლეთმა გაიაზრა, თუ რამდენად პრიორიტეტულია მისთვის შავი ზღვის რეგიონი და რომ საჭიროა მასთან დაკავშირებით ახალი სტრატეგიული ხედვის შემუშავება.

საქართველო და ნატო

ნატომ ხელი შეუწყო აღმოსავლეთ ევროპის უმეტეს ნაწილში სტაბილურობის განმტკიცებას და დემოკრატიის დამკვიდრებას.

შედეგად, ევროპა დღეს ყველაზე დემოკრატიული, წარმატებული და უსაფრთხო რეგიონია, ვიდრე ოდესმე ყოფილა. თუმცა კონტინენტზე არსებობს ისეთი ადგილები, სადაც მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა აუცილებელია, მაგ. ბალკანეთი, შავი ზღვის რეგიონი. შავი ზღვის რეგიონის ევროატლანტიკურ სივრცეში ჩართვა ნიშნავს ამ რეგიონის დაცვას მომავალი საფრთხეებისაგან. როდესაც საუბარია იმ ახალ ძირითად პრობლემებზე, რომლებიც დღეს დგას ევროპის წინაშე, იქნება ეს ტერორიზმი, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება, არალეგალური იმიგრანტები თუ ტრეფიკინგი, უნდა გავითვალისწინოთ, რომ შავი ზღვის რეგიონი წარმოადგენს ამ პრობლემებთან ბრძოლის ახალ არეალს.

შეიძლება ითქვას, რომ საზღვარი ევროატლანტიკურ სივრცესა და ახლო აღმოსავლეთს შორის გადის შავი ზღვის რეგიონზე. ამდენად, მისი უსაფრთხოება საბოლოოდ უზრუნველყოფს ახლო აღმოსავლეთში სტაბილურობის დამყარებას. თუ ამ რეგიონის ქვეყნები წარმატებით განახორციელებენ რეფორმებს და დაამკვიდრებენ დემოკრატიულ, სტაბილურ გარემოს თავიანთ ქვეყნებში, შავი ზღვის რეგიონი შეიძლება გახდეს დემოკრატიის დამყარების მაგალითი ახლო აღმოსავლეთში.

აღმოსავლეთ ევროპაში დემოკრატიზაციის პროცესისათვის ხელშეწყობა დასავლეთს თავის მორალურ ვალდებულებად მიაჩნდა, რაც განხორციელდა კიდეც და დღეს აღმოსავლეთ ევროპა არის ისეთივე თავისუფალი უსაფრთხო და დემოკრატიული, როგორც ევროპის დასავლეთი ნაწილი. შავი ზღვის ქვეყნების გაერთიანება ევროატლანტიკურ სივრცეში გულისხმობს თავისუფალი და ერთიანი ევროპის უსაფრთხოების საბოლოო სისტემის ჩამოყალიბებას. დღეს ამ რეგიონში უკვე საკმაოდ აქტუალურია ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის თემა.

საქართველოს სტრატეგიული იდენტურობისაკენ გადამწყვეტი ნაბიჯი იყო პრაღის სამიტზე ქვეყნის ისტორიული განაცხადი ევროატლანტიკურ სივრცეში გაწევრიანების სურვილის შესახებ.

ექსპერტებს შორის არსებობს შეხედულება, რომ მომავალში აღმოსავლეთ ევროპის უსაფრთხოების სისტემა დამოკიდებული იქნება სამი ზღვის გარშემო უსაფრთხოების სისტემის შექმნაზე. ბალტიის ზღვის ქვეყნებმა უკვე დაასრულეს ახალი ბალტიის უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბება. ამჟამად მიმდინარეობს ადრიატიკის უსაფრთხოების სისტემის ფორმირება და როგორც ვარაუდობენ, შემდეგი ნაბიჯი იქნება შავი ზღვის უსაფრთხოების სისტემის შექმნა, რომელიც დაუკავშირდება ბალტიის უსაფრთხოების სისტემას უკრაინისა და პოლონეთის მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს ევროპის უსაფრთხოებას ბალტიიდან შავ ზღვამდე.

ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს აქვს შესაძლებლობა, გააფართოვოს თავისი საზღვრები და გახდეს შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების გარანტი. 90-იან წლებში იუგოსლავიაში ნატოს მისიის მიზანი იყო ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სუსტი დემოკრატიული ქვეყნების სტაბილურობის დაცვა. ამჟამად ალიანსს შეუძლია შავი ზღვის რეგიონს დაეხმაროს დემოკრატიული მექანიზმების შემუშავების პროცესში, რომელიც, პირველ რიგში, გულისხმობს ადამიანის უფლებების დაცვას, მართლმსაჯულების დამოუკიდებელი სისტემის არსებობას და დემოკრატიული სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას. ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს გააჩნია მნიშვნელოვანი სამხედრო და პოლიტიკური შესაძლებლობები, რაც ნატომ არაერთხელ დაამტკიცა სამშვიდო ოპერაციების მეშვეობით.

დაბოლოს, ახალი ევროატლანტიკური სტრატეგია, რომელიც, პირველ რიგში, გულისხმობს შავი ზღვის რეგიონში სტაბილურობისა და უსაფრთხოების განმტკიცებას, იძლევა მომავალში იმის შესაძლებლობას, რომ კასპიის აუზისა და ცენტრალური აზიის უზარმაზარი ენერგეტიკული რესურსები მოხვდეს ევროპულ ბაზარზე უსაფრთხო საშუალებებით, რაც შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებს მისცემს ეკონომიკური განვითარების ახალ შესაძლებლობას.

საქართველოს ევროატლანტიკური არჩევანი

საქართველომ, მისი რთული გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, გააკეთა ერთადერთი სწორი არჩევანი – ინტეგრაცია ევროატლანტიკურ სივრცეში. ქვეყანა თავისი ისტორიის მანძილზე უნიკალურ და გადამწყვეტ მომენტში იმყოფება. საქართველომ არა მარტო მოიპოვა დამოუკიდებლობა, არამედ მიზნად დაისახა ქართული საზოგადოების თვისობრივი ტრანსფორმაცია. ქართველმა ხალხმა ერთმნიშვნელოვნად აირჩია ისეთ სახელმწიფოთა გაერთიანების სრულუფლებიან წევრად გახდომა, რომელშიც დემოკრატიული ფასეულობები და, შესაბამისად, კანონის უზენაესობა უმთავრესია.

საქართველოს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში გაწევრიანება გულისხმობს ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების წარმატებით დასრულებას, ისეთი თავდაცვითი სისტემის შექმნას, რომელიც იქნება შესაბამისობაში ალიანსის სტანდარტებთან და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, საქართველოს ეყოლება ყველაზე ეფექტური და საიმედო მოკავშირეები ნატოს წევრი ქვეყნების სახით.

ამ თვალსაზრისით, საქართველომ სხვადასხვა პერიოდში გადადგა გარკვეული ნაბიჯები. კერძოდ, 1999 წელს საქართველომ სტამბოლის სამიტზე მიაღწია პრინციპულ შეთანხმებას საქართველოდან რუსეთის ბაზების გაყვანის შესახებ; 1999 წელს სტამბოლში მოეწერა ხელი მემორანდუმს "კასპიის ზღვის აუზიდან აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგეტიკული დერეფნის მშენებლობის შესახებ"; 1999 წელს საქართველო გახდა ევროსაბჭოს წევრი; 2000 წელს მიღებულ იქნა სტრატეგიული დოკუმენტი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის შესახებ – "საქართველო და მსოფლიო: მომავლის ხედვა და სტრატეგია", რომელშიც აღინიშნა, რომ საქართველო მხარს უჭერს ტრანსატლანტიკური კავშირის შენარჩუნება-განმტკიცებას, რაც ევროპის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია.

2002 წლის 1 ოქტომბერი, ნატოს შტაბ-ბინა. ურთიერთგაგების მემორანდუმის ხელმოწერა. ნატოს უზრუნველყოფისა და მომარაგების სააგენტოს გენერალური მენეჯერი პიტერ მარკეი და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი

2005 წლის 8 ივლისს კი მიღებულ იქნა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, რომელიც არის ფუძემდებლური დოკუმენტი და ასახავს ქვეყნის უსაფრთხო განვითარების ხედვას, ფუნდამენტურ ეროვნულ ღირებულებებს, ეროვნულ ინტერესებს, აღწერს ეროვნული უსაფრთხოების წინაშე მდგარ საფრთხეებს, რისკებს, გამოწვევებს და განსაზღვრავს უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს. სწორედ ეს დოკუმენტი უსვამს ხაზს საქართველოს მოსახლეობის სწრაფვას, მოახდინოს ქვეყნის სრული ინტეგრაცია ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში და თავისი წვლილი შეიტანოს შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების, როგორც ევროატლანტიკური უსაფრთხოების სისტემის შემადგენელი ნაწილის, განმტკიცებაში.

რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის შედეგად 2008 წლის 14 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება "დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შექმნის შესახებ 1991 წლის 8 დეკემბრის შეთანხმების" მოქმედების შეწყვეტის თაობაზე, რაც ნიშნავს საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობიდან გამოსვლას. ეს გადაწყვეტილება კიდევ უფრო აძლიერებს ქვეყნის სწაფვას ნატოსკენ და მიანიშნებს იმაზე, რომ საქართველოს ევროატლანტიკური არჩევანი შეუქცევადი პროცესია. მიუხედავად რუსეთის აგრესიისა საქართველო არ დათმობს ყველაზე მთავარს – თავად განსაზღვროს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები და მოწინააღმდეგს არ მისცეს საშუალებას ხელი შეუშალოს ქვეყნის სწაფვას ევროპული და ევროატლანტიკური სტრუქტურებისაკენ.

ამჟამად, საქართველოს ნატოში გაწევრიანება წარმოადგენს ქვეყნის მიზანს, რომელსაც საქართველოს მოსახლეობის 77,5% მხარს უჭერს. მაგრამ აქვე ისმის კითხვა: რატომ სურს ქართულ საზოგადოებას ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანება? პასუხი ნათელია – საქართველოს მოსახლეობა ნატოს განიხილავს, როგორც ევროატლანტიკურ სივრცეში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის ალიანსს, რომელიც ხელს უწყობს საქართველოში დემოკრატიული რეფორმების განხორციელებას, ასევე უსაფრთხო და სტაბილური გარემოს ჩამოყალიბებას. ნატოში გაწევრიანებით საქართველო არა მარტო სამხედრო და პოლიტიკური უსაფრთხოების უპრეცედენტო გარანტიებს მიიღებს, არამედ თავის წვლილს შეიტანს ევროპის, განსაკუთრებით შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების განმტკიცებაში. თავისი მზადყოფნა, გაიზიაროს კოლექტიური უსაფრთხოების პასუხისმგებლობა, საქართველომ უკვე დაამტკიცა ერაყში, ავღანეთსა და კოსოვოში (სამშვიდობო ოპერაციებს კოსოვოსა და ავღანეთში უშუალოდ ალიანსი ახორციელებს) სამხედრო კონტინგენტის გაგზავნით.

ამდენად, საქართველოს, როგორც დასავლეთის უსაფრთხოების ქოლგის ქვეშ მყოფ სახელმწიფოს, აქვს იმის შესაძლებლობა, გახდეს ქვეყანა-მოდელი, რომელიც ხელს შეუწყობს შავი ზღვის რეგიონში დემოკრატიის განმტკიცებას.

2004 წლის 7 აპრილი, საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტი ნატოში



საქართველოს მე-5 და მე-6 მოწვევის პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე

ნატო-საქართველოს ურთიერთობა 1992 წლიდან 2004 წლამდე

1992 წელს საქართველო გახდა ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს წევრი. მიუხედავად ამისა, 1994 წლამდე ნატოსა და საქართველოს შორის თანამშრომლობას განსაკუთრებული შედეგი არ მოჰყოლია, თუ არ ჩავთლით 1993 წელს ბრიუსელში (ბელგია) საქართველოს დიპლომატიური მისიის დაფუძნებას, რომელმაც იმავდროულად დაიწყო "ნატოსთან დიპლომატიური მეკავშირის ოფისის" ფუნქციების შესრულება და სხვადასხვა დონეზე მიმდინარე პოლიტიკურ კონსულტაციებში მონაწილეობის მიღება.

საქართველო-ნატოს თანამშრომლობა თავიდანვე დაკავშირებული იყო ჩვენი ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ფუნდამენტურ ინტერესებთან. გარდამავალ პერიოდში საქართველო იმყოფებოდა გაურკვეველ მდგომარეობაში. ერთი მხრივ, საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად რუსეთმა დაკარგა გავლენა რეგიონზე და, მეორე მხრივ, ამ დროისთვის დასავლეთის მხარდაჭერა არ იყო საკმაოდ ძლიერი იმისათვის, რომ პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების დემოკრატიზაციის პროცესი წარმატებით დაწყებულიყო. სწორედ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან ურთიერთობის დაწყება საქართველოს აძლევდა საშუალებას, განემტკიცებინა ქვეყნის უსაფრთხოება სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით.

1994 წლის 23 მარტს საქართველო შეუერთდა ნატოს "პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამას (PfP). ალიანსის პრინციპებიდან გამომდინარე, პროგრამის – "პარტნიორობა მშვიდობისათვის" საფუძველია პრაქტიკული თანამშრომლობა და დემოკრატიული პრინციპების ერთგულება.

პროგრამის – "პარტნიორობა მშვიდობისათვის" (PfP) თანახმად, პარტნიორული ურთიერთობები მყარდება ნატოსა და ყოველ ცალკეულ პარტნიორ ქვეყანას შორის. ყოველი პარტნიორი ქვეყანა იღებს რამდენიმე სერიოზულ პოლიტიკურ ვალდებულებას დემოკრატიული საზოგადოების მხარდაჭერის, არსებული საზღვრების დაცვისა და სადავო საკითხების მშვიდობიანი გადაჭრის, სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ ძალის გამოყენების მუქარისაგან თავის შეკავების, საერთაშორისო სამართლის პრინციპების დაცვის თვალსაზრისით. არსებობს კონკრეტული ვალდებულებებიც, რომლებიც გულისხმობს გამჭვირვალობის პრინციპის დაცვას ეროვნული თავდაცვის სისტემის დაგეგმვისა და ბიუჯეტის გამოყოფისას, რაც ხელს უწყობს შეიარაღებული ძალების პოტენციალის ამაღლებას და მათზე სამოქალაქო კონტროლის დაწესებას. ჩარჩო-დოკუმენტში საუბარია ასევე მოკავშირეების ვალდებულებაზე, კონსულტაციები გამართონ ნებისმიერ პარტნიორ ქვეყანასთან, რომელიც თავისი ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის, პოლიტიკური დამოუკიდებლობის ან უსაფრთხოების დაკარგვის პირდაპირი საფრთხის წინაშე დგას.

ამდენად, პროგრამაში – "პარტნიორობა მშვიდობისათვის" ჩართვას საქართველოსათვის გარდამავალ პერიოდში ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა. კერძოდ, ამ დოკუმენტის თანახმად, საქართველოს მიეცა შესაძლებლობა, დაეწყო თანამშრომლობა ნატოსთან ეროვნული თავდაცვის დაგეგმვის, ბიუჯეტის ფორმირების და შეიარაღებულ ძალებზე სამოქალაქო კონტროლის უზრუნველყოფის პროცესში, ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან ერთად განეხორციელებინა წვრთნები და მონაწილეობა მიეღო სამშვიდობო, ჰუმანიტარულ, სამაშველო და შემდგომი შეთანხმებებით გათვალისწინებულ ოპერაციებში, რაც ხელს უწყობს საქართველოს თავდაცვის სისტემის თანდათანობით განვითარებას.

1995 წლიდან იწყება ნატოსა და საქართველოს შორის სხვადასხვა სახის ურთიერთობების გაღრმავება. ამ პერიოდიდან ალიანსის წარმომადგენლები რეგულარულად ჩამოდიან საქართველოში. 1995 წლის თებერვალში საქართველოს ეწვია ნატოს "საინფორმაციო ჯგუფი", რომლის წარმომადგენლებმა პროგრამის – "პარტნიორობა მშვიდობისათვის" გაცნობის მიზნით მოაწყვეს პრეზენტაცია პარლამენტში, გენერალურ შტაბში, საგარეო და თავდაცვის სამინისტროებში. ამასათანავე, საქართველოში იმყოფებოდნენ ევროპაში მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების სარდლობის დელეგაციები, პოლიტიკური და სამხედრო სამსახურის წარმომადგენლები, რომლებმაც საქართველოს შესაბამის უწყებებთან დაიწყეს პირველი "ინდივიდუალური პარტნიორობის" პროგრამის (IPP) მომზადება, რომელშიც გაიწერა თანამშრომლობის სხვადასხვა სფეროში ჩასატარებელი ღონისძიებები (სასწავლო კურსები, სამხედრო წვრთნები).

1997 წლის 11-12 თებერვალს საქართველოში ვიზიტით იმყოფებოდა ალიანსის გენერალური მდივანი ჰავიერ სოლანა. ეს ნატოს გენერალური მდივნის პირველი სტუმრობა იყო კავკასიის რეგიონში, რაც ადასტურებდა ნატოს დაინტერესებას კავკასიის მიმართ და სურვილს ახალი ევროპული უსაფრთხოების სისტემის შექმნის შესახებ. ვიზიტის დროს განხილულ იქნა საქართველოში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაცია და ზოგადად კავკასიაში შექმნილი ვითარება.

1997 წლის 8-9 ივლისს მადრიდში ჩატარდა ნატოს სამიტი, სადაც მიიღეს გადაწყვეტილება ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან პარტნიორი ქვეყნების პოლიტიკური და სამხედრო წარმომადგენლობების დონის ამაღლების თაობაზე. კერძოდ, 1997 წლის 28 მარტს დადებული ბრიუსელის ხელშეკრულების თანახმად, პარტნიორებს მიეცათ შესაძლებლობა, ალიანსთან სრულფასოვანი დიპლომატიური წარმომადგენლობები შეექმნათ.

1994 წლის 23 მარტი, ბრიუსელი, ნატოს შტაბ-ბინა. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჩიკვაიძე ხელს აწერს "პარტნიორობა მშვიდობისათვის" დოკუმენტს

ახალმა ფორუმმა ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს სახით ხელი შეუწყო "პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამის ფარგლებში პარტნიორებთან ურთიერთობების გაღრმავებას, მათ შორის, სამშვიდობო ოპერაციების მიმდინარეობისას; ამასთანავე, გაიზარდა პარტნიორი ქვეყნების როლი გადაწყვეტილებების მიღებისა და დაგეგმვის პროცესში.

ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს ფარგლებში ტარდება მოკლევადიანი და გრძელვადიანი კონსულტაციები მიმდინარე პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებზე. კერძოდ, მხარეები მართავენ კონსულტაციებს თავდაცვის სფეროს დაგეგმვის, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების პრობლემის, საერთაშორისო ტერორიზმის, კრიზისების მართვისა და მშვიდობის მხარდამჭერი ოპერაციების, ბირთვული უსაფრთხოებისა და სხვა სფეროებში.

1998 წლის 29-30 სექტემბერს საქართველოში განხორციელდა ალიანსის გენერალური მდივნის მეორე ვიზიტი. ვიზიტის დროს განხილულ იქნა ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოსა და პროგრამა "პარტნიორობა მშვიდობისათვის" ფარგლებში საქართველო-ნატოს მრავალმხრივი თანამშრომლობის საკითხები. გენერალურმა მდივანმა მხარი დაუჭირა გადაწყვეტილებას, 1999 წლიდან ალიანსის სამხედრო კომიტეტში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის მივლინების შესახებ და წინადადებას 2001 წელს პროგრამა "პარტნიორობა მშვიდობისათვის" ფარგლებში სამხედრო წვრთნის ჩატარებას.

1999 წლიდან საქართველო მიუერთდა დაგეგმვის და მიმოხილვის პროცესს (Planning and Review Process, PARP), რომელიც წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ელემენტს პარტნიორ ქვეყნებში სამხედრო შესაძლებლობების გაზრდისა და მათი სამხედრო სისტემის ნატოსთან თავსებადობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

2000 წელს საქართველოში ჩამოვიდა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალური მდივანი ჯორჯ რობერტსონი, 2003 წლის 14 მაისს კი იგი კვლავ ეწვია ოფიციალური ვიზიტით საქართველოს. თბილისში სტუმრობისას რობერტსონმა ხაზი გაუსვა საქართველო-ნატოს თანამშრომლობის მნიშვნელობას და კავკასიის როლს ევრაზიის სტაბილურობის უზრუნველყოფის პროცესში. მან განაცხადა, რომ კავკასია რჩებოდა უმნიშვნელოვანეს რეგიონად, ხოლო საქართველო – ნატოსა და დასავლეთის მთავარ პარტნიორად.

2004-2005 წლებში საქართველოს
პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია

2001 წლის ზაფხულში საქართველოში ყველაზე ფართომასშტაბიანი წვრთნები – "Cooperative Partner – 2001" ჩატარდა. მომდევნო წელს საქართველომ უმასპინძლა სამხედრო წვრთნებს – "Cooperative Best Effort – 2002" და ამავე წელს ინდივიდუალური პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში ქვეყანამ მონაწილეობა მიიღო 83-ზე მეტ სწავლებაში, ხოლო 167 ოფიცერი გაიგზავნა საზღვარგარეთ სხვადასხვა კურსებსა და ტრენინგებზე.

2002 წლის 22 ნოემბერს პრაღის სამიტზე საქართველომ ოფიციალურად განაცხადა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების სურვილის შესახებ.

2003 წელს უფრო გაღრმავდა თანამშრომლობა ნატოსთან და საქართველომ მონაწილეობა მიიღო 119 წვრთნაში, ხელი მოეწერა ფინანსურ შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებდა ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგებული ყოფილი სამხედრო ბაზების განიარაღებისთვის თანხის გამოყოფის საკითხს.

2003 წლის ნოემბერს საქართველოში განვითარებული მოვლენების შემდეგ მოსულმა ახალმა ხელისუფლებამ ნატოში გაწევრიანება გამოაცხადა ქყეყნის საგარეო პოლიტიკის უმთავრეს პრიორიტეტად.

2004 წლის 7 აპრილს ბრიუსელში გაიმართა საქართველო-ნატოს მაღალი დონის წარმომადგენელთა შეხვედრა ფორმატით "26+1" (ეს ფორმატი გულისხმობს შეხვედრას ალიანსის 26 წევრ ქვეყანასა და საქართველოს შორის), სადაც საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ნატოს გენერალურ მდივანს იაპ დე ჰოოპ სხეფერს გადასცა ქვეყნის "ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის" პირველადი დოკუმენტი.

ამავე წლის 28-29 ივნისს სტამბოლის სამიტზე კიდევ ერთხელ აღინიშნა, რომ რუსეთმა აუცილებლად უნდა შეასრულოს 1999 წლის ეუთოს სტამბოლის სამიტის შეთანხმება საქართველოდან შეიარაღებული ძალების გაყვანის შესახებ. ამასთანავე, სტამბოლის კომუნიკეში მითითებულ იქნა კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონში ნატოს სპეციალური წარმომადგენლისა და ამ რეგიონებში "შეკავშირე ოფიცრების" დანიშვნის შესახებ.

2004 წლის აგვისტოში ნატოში ოფიციალურად გაიგზავნა საქართველოს "ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა" (IPAP) და 2004 წლის 29 ოქტომბერს ალიანსის უმაღლესმა ორგანომ ჩრდილოატლანტიკურმა საბჭომ (NAC) დაამტკიცა IPAP, რაც ნიშნავდა საქართველოს გადასვლას ევროატლანტიკური ინტეგრაციის ახალ ეტაპზე.

საქართველოს დელეგაციის
ოფიციალური ვიზიტი ნატოში



საქართველოს სახელმწიფო მინისტრის –
გიორგი ბარამიძის შეხვედრა
ნატოს გენერალურ მდივანთან

საქართველო-ნატოს თანამშრომლობა 2004 წლიდან დღემდე

ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს გააჩნია თანამშრომლობის ის ძირითადი მექანიზმები, რომელთა მეშვეობითაც ყოველ პარტნიორს შეუძლია დაამყაროს ნატოსთან ინდივიდუალური ურთიერთობა, რომლის ფარგლებშიც პარტნიორებს შეუძლიათ შეიმუშაონ თავიანთი პრიორიტეტები, რაც ევროატლანტიკური უსაფრთხოების არქიტექტურის ძირითადი ელემენტია.

ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის დაწყებით საქართველო გადავიდა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან ინტეგრაციის ახალ ეტაპზე. IPAP-ი წარმოადგენს თანამშრომლობის ახალ მექანიზმს და იგი ღიაა ყველა იმ ქვეყნისთვის, რომელსაც აქვს სურვილი და შესაძლებლობა, გააღრმავოს ურთიერთობა ალიანსთან. ეს გეგმა მიზნად ისახავს თანამშრომლობის ყველა მნიშვნელოვანი საკითხის განსაზღვრას, შესაბამისი რეფორმების განხორციელებას კონკრეტულ ქვეყნებში.

ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის მეშვეობით ნატო და პარტნიორი ქვეყნები მკაფიოდ აყალიბებენ თანამშრომლობის პრიორიტეტებს და მიზნებს.

საქართველო არის პირველი ქვეყანა, რომელიც ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმას 2004 წლიდან ახორციელებს. IPAP-ი ოთხი ნაწილისაგან შედგება:

- პოლიტიკური და უსაფრთხოების საკითხები
- თავდაცვის, უსაფრთხოებისა და სამხედრო საკითხები
- საჯარო ინფორმაცია, სამეცნიერო და გარემოს დაცვის საკითხები, სამოქალაქო საგანგებო სიტუაციების მართვა
- ადმინისტრაციული, საინფორმაციო უსაფრთხოებისა და რესურსებთან დაკავშირებული საკითხები

აღნიშნული სფეროები ზოგადად არის განხილული გეგმის პირველ ნაწილში, ხოლო მეორე ნაწილი შეიცავს დასმული საკითხებისა და მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი ღონისძიებების კონკრეტულ დროში გაწერილ გეგმას. ეს გეგმა შეეხება თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებულ ფართო სფეროებს, როგორებიცაა: თავდაცვის პოლიტიკა, ტერორიზმთან ბრძოლა, მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობა, თავდაცვის დაგეგმვა, თავდაცვის სისტემის დაფინანსება, კრიზისული სიტუაციები და სამოქალაქო თავდაცვა.



საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით 2005 წელს შეიქმნა ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის განმახორციელებელი სახელმწიფო კომისია, რომელიც წარმოადგენს უწყებათაშორის ჯგუფს პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით. კომისიას დაევალა IPAP-ის განხორციელების კოორდინირება და კონტროლი.

ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა, თავდაცვის სისტემის გარდაქმნის გარდა, ითვალისწინებს რეფორმების განხორციელებას ადამიანის უფლებების დაცვის, კანონის უზენაესობის განმტკიცებისა და კორუფციასთან ბრძოლის სფეროებში, რაც ადასტურებს იმას, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი, უპირველეს ყოვლისა, არის პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელსაც აქვს დემოკრატიული ღირებულებები და მათი დაცვა აუცილებელია ყველა იმ ქვეყნისათვის, რომელსაც სურს გახდეს ნატოს მომავალი წევრი ქვეყანა.

ალიანსი IPAP-ის შესრულების პროცესს წელიწადში ერთხელ აფასებს. ამასთან დაკავშირებით, 2005 წლის 7-11 მარტს თბილისში იმყოფებოდა ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის შუალედური შეფასების ჯგუფი. 2005 წლის 18 მაისს ბრიუსელში შედგა IPAP-ის იმპლემენტაციის შეფასების განხილვა. გარდა ამისა, გაიმართა კონსულტაციები ნატოს საერთაშორისო სამსახურის წარმომადგენლებთან.

ამ პერიოდში, 2005 წელს სამხრეთ კავკასიაში ალიანსმა მეკავშირე ოფიცერი მოავლინა, რაც ხელს უწყობს ნატოსთან თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავებას. ამავე წელსვე ხელი მოეწერა შეთანხმებას "საქართველოსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციას შორის ნატოს ძალებისა და პერსონალისთვის მასპინძელი ქვეყნის მხარდაჭერისა და ტრანზიტის უზრუნველყოფის შესახებ".

2006 წლის 13 აპრილს ალიანსის შტაბ-ბინაში "26+1" ფორმატში განხილულ იქნა ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის შეფასების ანგარიში. ნატოს ექსპერტთა მისიამ დადებითად შეაფასა IPAP-ის ფარგლებში განხორციელებული რეფორმები და აღნიშნა, რომ ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის წარმატებით შესრულების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს სამთავრობო უწყებებს შორის კოორდინირებული თანამშრომლობა.

IPAP-ის წარმატებით განხორციელებამ განაპირობა საქართველოს ალიანსთან ინტეგრაციის ახალ ეტაპზე გადასვლა. კერძოდ, 2006 წლის 21 სექტემბერს ნიუ-იორკში გამართულ ნატოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრთა არაფორმალურ შეხვედრაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საქართველოსთან "ინტენსიური დიალოგის" დაწყების შესახებ.

"ინტენსიური დიალოგის" ფორმატში საქართველო განაგრძობს რეფორმებს, ითვალისწინებს ნატოს რეკომენდაციებს და ალიანსთან მართავს სისტემატურ შეხვედრებს.

თავდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავდა თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის დოკუმენტი (SDR), რომელიც ასახავს სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მთელ რესურსებს, შესაძლებლობებს და წარმოადგენს ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ვალდებულებას. ძირითადი პოლიტიკური და სამხედრო ვარაუდების გათვალისწინებით, თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის დოკუმენტი მოიცავს შეიარაღებული ძალების სტრუქტურული ცვლილებების ეტაპებს მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი პერიოდისათვის (2007-2015 წლის ჩათვლით).

SDR-ის ფარგლებში მოხდა მნიშვნელოვანი კონცეპტუალური დოკუმენტების შემუშავება, როგორებიცაა: "ეროვნული სამხედრო სტრატეგია", "მინისტრის ხედვა (ყოველწლიური)", "საფრთხეების შეფასების დოკუმენტი", "თავდაცვის პოლიტიკის პრიორიტეტები" და სხვა უწყებრივი დონის დოკუმენტები, რომლებიც წარმოადგენს კონცეპტუალურ ბაზისს ძალთა სამომავლო სტრუქტურის შემუშავებისათვის.

საქართველოს სხვადასხვა უწყებების ერთობლივი მუშაობის შედეგად მომზადდა პირველადი სადისკუსიო დოკუმენტი (Initial Discussion Paper, IDP), რომელიც 5 თავისგან შედგება და მოიცავს პოლიტიკურ, თავდაცვის, რესურსების, ინფორმაციის უსაფრთხოების და სამართლებრივ საკითხებს. ალიანსში არსებული პროცედურების თანახმად ნატოს საერთაშორისო სამსახურსა და საქართველოს მთავრობას შორის პერიოდულად იმართება კონსულტაციები პირველად სადისკუსიო დოკუმენტთან დაკავშირებით.

"ინტენსიური დიალოგის" ფორმატში მიმდინარე პოლიტიკური კონსულტაციების პარალელურად ალიანსთან პრაქტიკული თანამშრომლობის მექანიზმად კვლავ რჩება "ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა".

2007 წლის მაისს ნატოს საერთაშორისო სამსახურმა (International Staff – IS) IPAP-ის განხორციელების შეფასების ოფიციალური ვერსია წარმოადგინა და აღნიშნა, რომ ყველა სფეროში მნიშვნელოვანი პროგრესია მიღწეული. ასევე, ხაზი გაესვა ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის განახლების აუცილებლობას.



2008 წლის 28 აპრილი,
საქართველოს სპეციალური წარმომადგენლის
დავით ბაქრაძის ვიზიტი ნატოს შტაბ-ბინაში



2006 წლის ნოემბრიდან საქართველოს
თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი



2007 წლის 12 მარტი, თბილისი.
საქართველოს საპარლამენტო ფრაქციებისა და პოლიტიკური პარტიების ნატოში განვრიანების შესახებ მემორანდუმის ხელმონერა.
ზურაბ ტყემალაძე, საპარლამენტო ფრაქცია "მრეწველები"

2007 წლის ივლისში მიღწეულ იქნა შეთანხმება დოკუმენტის საბოლოო პროექტთან დაკავშირებით. IPAP-ის განახლებული დოკუმენტი მოწონებულ იქნა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის საერთაშორისო სამსახურის მიერ, რაც ასევე აღნიშნა ნატოს გენერალურმა მდივანმა იაპ დე ჰოოპ სხეფერმა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრთან შეხვედრისას. IPAP-ის განახლებული დოკუმენტი საბოლოოდ 2007 წლის 2 ნოემბერს დამტკიცდა ჩრდილოატლანტიკური საბჭოს მიერ.

2008 წლის 28-31 იანვარს საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ნატოს ექსპერტები ეწვივნენ. ვიზიტის მიზანი იყო საქართველოს მიერ ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმითა და დაგეგმვისა და მიმოხილვის პროცესით (IPAP/PARP) ნაკისრი ვალდებულებების მიმდინარეობის შეფასება.

25 თებერვალს ბრიუსელში ნატოს შტაბ-ბინაში საქართველოს თავდაცვის სფეროში მიმდინარე რეფორმები განიხილეს და დაგეგმვისა და მიმოხილვის ყოველწლიური შეფასების დოკუმენტი დადებითად შეაფასეს.

ამასთანავე, ხელი მოეწერა მემორანდუმს ნატოს საჰაერო ვითარების მონაცემთა გაცვლის სისტემაში (ASDE) საქართველოს ჩართვის შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს საჰაერო სივრცეში მიმდინარე გადაადგილებების დაფიქსირდებას და ნატოსთვის მიწოდებას.

2008 წლის 15-16 სექტემბერს საქართველოს ნატოს გენერალური მდივანი და ჩრდილოატლანტიკური საბჭოს (NAC) 26 წევრი ქვეყნის მუდმივი წარმომადგენელი ოფიციალური ვიზიტით ეწვია. 2008 წლის 15 სექტემბერს, ასევე, ნატო-საქართველოს კომისიის პირველი სხდომა ჩატარდა და მხარეებმა დამფუძნებელ ჩარჩო დოკუმეტს ხელი მოაწერეს. მოკავშირეთა ელჩებმა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი მხარდაჭერა კვლავ დაადასტურეს. მათ გამოხატეს ნატოს მტკიცე ნება გააგრძელოს საქართველოს დახმარება მისი დემოკრატიული განვითარებისა და ალიანსთან ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული რეფორმების განხორციელებაში.

ბუქარესტის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, საქართველო და უკრაინა აუცილებლად გახდებიან ნატოს წევრი ქვეყნები, რაც ნიშნავს პოლიტიკურ თანხმობას ლიდერებს შორის იმაზე, რომ საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესი შეუქცევადია და ნატოს გაფართოება კვლავ გაგრძელდება.

2008 წლის 19 აგვისტოს ჩრდილოატლანტიკური საბჭოს საგარეო საქმეთა მინისტერიალზე საგანგებო სხდომის მონაწილეებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს მათი ვალდებულებები იმ გადაწყვეტილებებთან მიმართებაში, რომლებიც აიღეს ალიანსის სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებმა ბუქარესტის სამიტზე, მათ შორის საქართველოს ევროატლანტიკურ მისწრაფებებთან დაკავშირებით, კერძოდ, ალიანსი აგრძელებს "ინტენსიურ ჩართულობას" საქართველოსთან.

რას მოუტანს საქართველო ნატოს და ნატო საქართველოს?

ბათუ ქუთელია

საქართველოს თავდაცვის მინისტრის
პირველი მოადგილე

პირველ რიგში დავიწყოთ იმით, თუ რას მოუტანს ნატო საქართველოს. ალიანსი საქართველოს მოუტანს უსაფრთხოებას ძალზე დიდი ხნით, გარანტირებულს მსოფლიოში წამყვანი დემოკრატიული, განვითარებული, ეკონომიკურად და სამხედრო თვალსაზრისით ძლიერი სახელმწიფოების მიერ. ეს საშუალებას მისცემს საქართველოს, რომ მიმართოს უფრო მეტი რესურსები ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისაკენ და მოკლე დროში გადაიქცეს წარმატებული ეკონომიკის, განვითარებული სოციალური ინფრასტრუქტურის და ზოგადად წარმატებულ სახელმწიფოდ.

რაც შეეხება იმას, თუ რას მოუტანს საქართველო ნატოს, საქართველო იქნება არა მარტო მომხმარებელი იმ უსაფრთხოებისა, რომელსაც ალიანსი სთავაზობს, არამედ შეიტანს თავის წვლილს ამ უსაფრთხოების განმტკიცებაში. პირველ რიგში, თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე ჩრდილოატლანტიკური ალიანსის არეალი კიდევ ერთი დემოკრატიული ქვეყნით გაიზრდება, რომელსაც აქვს სტრატეგიული მნიშვნელობა ამ რეგიონში და საშუალებას მისცემს ნატოს, როგორც დემოკრატიულ ფასეულობებზე დაფუძნებულ ორგანიზაციას კიდევ უფრო განამტკიცოს ევროატლანტიკური უსაფრთხოება. გარდა ამისა, საქართველო უკვე აქტიურად თანამშრომლობს ამ მიმართულებით ალიანსთან და ქართული სამხედრო შენაერთები იმყოფებიან სხვადასხვა ცხელ წერტილში, საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ მშვიდობის დაცვის პროცესში. ეს არის ის, რასაც უკვე ვახორციელებთ, როგორც დე-ფაქტო მოკავშირე, მომავალში კი ეს მონაწილეობა კიდევ უფრო გაიზრდება. გარდა ამისა, თავისი გეოგრაფიული მდებარეობითაც საქართველოს ინფრასტრუქტურა, მათ შორის სამხედრო-სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა იქნება ხელმისაწვდომი ნატოს ნევრი ქვეყნებისთვის. ოპერაციებში ალიანსს შეუძლია გამოიყენოს ეს აბსოლუტურად თავსებადი ინფრასტრუქტურა მისი ინტერესებიდან გამომდინარე.

რას მოუტანს საქართველო ნატოს და ნატო საქართველოს?

გიორგი ბარამიძე

საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში

ჩრდილოატლანტიკური ალიანსი, უპირველეს ყოვლისა, უსაფრთხოების ორგანიზაციაა. ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების დამცველნი ვიქნებით არა მხოლოდ ჩვენ, არამედ ის 26 ქვეყანა (მალე 28), რომელიც გაერთიანებულია ამ ორგანიზაციაში.

გარდა ამისა, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი იქნება ჩვენი დემოკრატიული განვითარების გარანტი, რადგანაც ნატო არის ორგანიზაცია, სადაც წევრი ქვეყნები გაერთიანებულნი არიან გარკვეული ფასეულობების გარშემო და ეყრდნობიან დემოკრატიულ პრინციპებს.

ნატოს წევრობა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, ინვესტიციების მოზიდვას, რადგან ალიანსის წევრობა ინვესტორებისათვის წარმოადგენს დიდი ნდობისა და სტაბილურობის გარანტს.

რაც შეეხება ნატოსთვის ჩვენი ქვეყნის მნიშვნელობას, საქართველოს დემოკრატიულ ფასეულობათა გუნდში გაერთიანება ალიანსისთვის ევროატლანტიკურ სივრცეში საფრთხეების შემცირებაა, რადგანაც ნატოს მიზანია უზრუნველყოს უსაფრთხო გარემოს შექმნა და ხელი შეუწყოს დემოკრატიის გავრცელებას.

გარდა ამისა, ჩვენ უკვე შეგვაქვს მნიშვნელოვანი წვლილი ალიანსის სამშვიდობო ოპერაციებში.

ამასთანავე, თუ გავითვალისწინებთ თანამედროვე საფრთხეებს: ტერორიზმს, ტრეფიკინგს, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებას და ა.შ. ჩვენ გვაქვს ძალიან მნიშვნელოვანი გეოსტრატეგიული მდებარეობა.

ჩვენი ძალიან მნიშვნელოვანი გეოსტრატეგიული მდებარეობის გათვალისწინებით საქართველო წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ენერგო დერეფანს. ენერგო უსაფრთხოება უკვე არ არის ეკონომიკური საკითხი, ეს არის საერთაშორისო უსაფრთხოების ნაწილი და შესაბამისად ისეთი ქვეყნები, რომლებსაც ეს პოტენციალი გააჩნიათ, ძალიან მნიშვნელოვანია ისეთი გაერთიანებისთვის, როგორიც ნატოა.

რას მოუტანს საქართველო ნატოს და ნატო საქართველოს?

თემურ იაკობაშვილი

საქართველოს სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში

საქართველოს ნატოში გაწევრიანება ჩვენ ალბათ უნდა განვიხილოთ ძირითადად სამი კუთხით: პირველი ეს არის უშუალოდ ნატოში გაწევრიანების პროცესთან დაკავშირებით მიმდინარე რეფორმები, რომლებიც უზრუნველყოფს ქვეყნისა და მისი უსაფრთხოების სისტემის ტრანსფორმაციას, სამოქალაქო კონტროლზე გადასვლას. ჩვენ ამას ახლაც ვხედავთ, ამ შედეგს ახლაც ვიმკით და ეს არ არის მარტო უსაფრთხოების სფეროს რეფორმა. ეს არის რეფორმა, რომელიც მიმდინარეობს მთელ რიგ დემოკრატიულ ინსტიტუტებში, რამეთუ ნატოს გააჩნია მკვეთრად განსაზღვრული სტანდარტები, რაც უნდა შესრულდეს. ამ სტანდარტებით სვლა ხელს უწყობს ქვეყნის მმართველობითი სისტემის გაუმჯობესებას. ამასთანავე, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი არის სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია და შესაბამისად კოლექტიური უსაფრთხოების ქოლგის ქვეშ საქართველოს მიერ უსაფრთხოებისათვის განეული ხარჯები იქნება გაცილებით მცირე და ეფექტური, რასაც უზრუნველყოფს არა მარტო შენი შეიარაღებული ძალები, არამედ კოლექტიური უსაფრთხოების ძალები. ჩვენს რეალობაში ამას აქვს მესამე განზომილებაც, რაც ნიშნავს იმას, რომ რეფორმირებული და დაცული საქართველო იქნება გაცილებით ეფექტური და სერიოზული ქვეყანა სეპარატისტული რეჟიმებისათვის, ვიდრე გაურკვევლობაში მყოფი საქართველო, რომელიც არანაირად არ იქნება აფხაზებისათვის მიმზიდველი. ეს არის სამი ძირითადი მომენტი.

რაც შეეხება უშუალოდ ნატოს, ჩრდილოატლანტიკური ალიანსისთვის საქართველოს წევრობა მნიშვნელოვანია იმდენად რამდენადაც დღეს ალიანსი ახორციელებს არა მარტო შიდა ევროპულ ოპერაციებს, არამედ მისი ძირითადი ოპერაციებია ე.წ. ნატოს არეალის გარე ოპერაციები. იქნება ეს ავღანეთი თუ სხვა ადგილები. შესაბამისად, საქართველოს სტრატეგიული განლაგება, სიახლოვე კონფლიქტურ ზონებთან, ენერგეტიკული დერეფანი, რომელიც საქართველოზე გადის – მნიშვნელოვანი საკითხებია, რაც ევროპისა და საერთოდ დასავლეთის ენერგო უსაფრთხოებასთანაა დაკავშირებული. შესაბამისად, ალიანსი დაინტერესებულია, რომ განვითარებული და დემოკრატიული საქართველო იყოს მისი წევრი ამ რეგიონში.

რას მოუტანს საქართველო ნატოს და ნატო საქართველოს?

ალექსანდრე რონდელი

საქართველოს სტრატეგიისა
და საერთაშორისო
ურთიერთობების კვლევის
ფონდის პრეზიდენტი

ნატო საქართველოს მოუტანს უფრო მეტ სტაბილურობას, უფრო მეტ უსაფრთხოებას. ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მოგვცემს იმას, რასაც საუკუნეების განმავლობაში ვერც ჩვენი მეფეები, ვერც ჩვენი შემდგომი ხელმძღვანელები ვერ ინატრებდნენ: სტაბილურობასა და უსაფრთხოებას.

რაც შეეხება საქართველო რას მოუტანს ნატოს, ეს არის უპირველეს ყოვლისა საშუალება იმისა, რომ იყოს წარმოდგენილი ზონაში, რომლის ორივე მხარეს არის საშიშროების კერები: ტერორიზმის, რადიკალიზმის სახით და ასევე სხვა პოტენციური საფრთხეები ევროატლანტიკური თანამეგობრობისათვის. ეს არის საშუალება იმისა, რომ ყველაზე მოკლე გზა ცენტრალური აზიისკენ იყოს კონტროლის ქვეშ და აქ, პირველ რიგში, იგულისხმება ენერგეტიკულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები. გარდა ამისა, ეს ხელს უწყობს ნარკოტრეფიკინგის, ადამიანების ტრეფიკინგის, იარაღით უკანონო ვაჭრობის გაკონტროლებას და მათ თავიდან აცილებას. მით უფრო, როცა ეს საზღვარი სწორედ რომ სამხრეთ კავკასიაზე გადის. რა თქმა უნდა, აზერბაიჯანიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სომხეთი ამ შემთხვევაში შეიძლება შემდგომ ეტაპზე იყოს საინტერესო. სწორედ საქართველო-აზერბაიჯანის მეშვეობით შესაძლებელია დაკავშირება ცენტრალური აზიისა და მთლიანად კასპიის აუზის ქვეყნებთან. ამასთანავე, ეს პროცესი ხელს შეუწყობს უსაფრთხოების საკითხებზე ინფორმაციის გაცვლას უფრო სწრაფად და ოპერატიულად, რაც ნატოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია. დასაწყისში, ალბათ ჩვენ უფრო მეტს მივიღებთ იმ შემთხვევაში, თუ მართლაც მათ სტრატეგიული და სამხედრო-პოლიტიკური ინტერესები აქვთ. როგორც ჩანს, აქვთ და ამიტომაც აქტიურად მუშაობენ ჩვენთან. ჩვენში დემოკრატიული საზოგადოების და ქვეყნის განვითარების მტკიცე გარანტიები იქნება, რაც ნიშნავს იმას, რომ დემოკრატიული პროცესები შეუქცევადი გახდება და სტაბილური, მდგრადი სახელმწიფო გვექნება.

რას მოუტანს საქართველო ნატოს და ნატო საქართველოს?

კობა ლიკლიკაძე

სამხედრო ექსპერტი,
რადიო "თავისუფლების"
ჟურნალისტი

ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს უკვე მოაქვს საქართველოსთვის ძალიან ბევრი სიკეთე, განსაკუთრებით, უსაფრთხოების სფეროში. ეს არის მრავალეროვნული სწავლებანი, რომლებიც "პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამის ეგიდით განხორციელდა და მათ საქართველო მარტო ვერასოდეს ჩაატარებდა. ამასთანავე, ყველაფერი მომზადებულია იმისათვის, რომ საქართველო უკვე ჩაერთოს ალიანსთან საჰაერო ვითარების მონაცემთა ურთიერთგაცვლის სისტემაში, რაც ნიშნავს იმას, რომ ნატოს საჰაერო სივრცის პლანშეტზე იზმირსა და ბულგარეთში განლაგებული საკომანდო პუნქტების საშუალებით საქართველოს საჰაერო სივრცეში მიმდინარე გადაადგილებები დაფიქსირდება. ასევე ბევრმა არ იცის, რომ დაახლოებით 40-მდე სამეცნიერო გრანტი დაფინანსებულია ალიანსის მიერ, რომლებიც ძირითადად ეხება ეკოლოგიას, გარემოს დაცვას, გლობალური პრობლემების შესწავლას. ნატო საქართველოს უსაფრთხოების უფრო მყარ გარანტიებს მისცემს. საქართველოს საზღვარი სრული ინტეგრაციის შემდეგ გახდება ნატოს საზღვარი. ქართული ეკონომიკა, მეცნიერება, კულტურა იქნება უფრო ღრმად ინტეგრირებული ალიანსის ქვეყნებთან. ნატოს წევრობა, ეს არის გარკვეულწილად ეფექტური გზა ევროკავშირისკენ. ეს არის უფრო მეტი ინვესტიციები, უსაფრთხოება, სასაზღვრო რეჟიმის შემსუბუქება ალიანსის წევრ ქვეყნებთან, ეს სია შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს.

რაც შეეხება საქართველო რას მოუტანს ნატოს, ამ შემთხვევაშიც მე მომავალში არ ვისაუბრებ, საქართველო არ არის ალიანსის წევრი და საქართველო იქცევა, როგორც ალიანსის წევრი. ეს არ არის ხატოვანი გამოთქმა, რომლის საავტორო უფლება მე მეკუთვნის. აქ იგულისხმება ის, რომ საქართველო ნატოს ოპერაციებში აქტიურად მონაწილეობს. 1999 წლიდან მოყოლებული 9 წლის განმავლობაში ქართული ბატალიონი იცავდა მშვიდობას კოსოვოში, ბალკანეთზე. 2004 წელს ქართული სამშვიდობო ასეული მრავალეროვნულ კონტიგენტთან ერთად უზრუნველყოფდა საპრეზიდენტო არჩევნების უსაფრთხოებას ავღანეთში. მაგალითად, უკვე მზადდება ორი ასეული ავღანეთის ცხელ წერტილებში გასაგზავნად. ერთი იქნება ჰოლანდიელების, ხოლო მეორე – ფრანგების ბატალიონის შემადგენლობაში. გარდა ამისა, მე მარტო სამხედრო და უსაფრთხოების დონეზე არ დავიყვანდი საქართველოს მომავალ წვლილს, ვინაიდან საქართველო თავისი კულტურით გაამდიდრებს ნატოს ქვეყნებს და მთლიანად ამ გაერთიანებას.

რას მოუტანს საქართველო ნატოს და ნატო საქართველოს?

დავით უსუფაშვილი

რესპუბლიკური პარტიის
თავმჯდომარე

საქართველოს ნატოში გაწევრიანება არ არის მიმართული ვინმეს წინააღმდეგ, არავის უქმნის საფრთხეს, არამედ მიზნად ისახავს ქვეყნისა და მთელი მისი მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფას, რაც, იმავდროულად, გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვან კავკასიის რეგიონში სტაბილურობისა და უსაფრთხოების მიღწევასაც შეუწყობს ხელს. ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებით საქართველო სამხრეთ კავკასიის რეგიონში თავისი უშუალო მეზობლებისათვის კიდევ უფრო საიმედო, პროგნოზირებადი და პერსპექტიული პარტნიორი უნდა გახდეს.

საქართველოს ნატოში ინტეგრაციის უმთავრესი მიზანია ქვეყნის უსაფრთხოებისა და ერთიანობის უზრუნველყოფა და საერთაშორისო დონეზე აღიარებულ საზღვრებში მისი ტერიტორიული მთლიანობის დაცვა.

ნატოში გაწევრიანებით საქართველომ უნდა მიაღწიოს თავისი ტერიტორიის ნაწილზე დე-ფაქტო დაკარგული სუვერენიტეტის აღდგენას და არა რუსეთის მიერ მიტაცებული სუვერენიტეტის ნაწილის სხვა სუბიექტისათვის გადაბარებას.

საქართველოს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სივრცეში მოქცევა ორმხრივად ხელსაყრელი მოვლენაა და იგი მიიღწევა ორმხრივად ხელსაყრელი გზებითა და საშუალებებით. ნატოსთან ინტეგრაციით საქართველო ხდება ძლიერი; ძლიერს კი მეტი პასუხიმგებლობა, მეტი ღირსება, მეტი სოლიდურობა და მეტი საიმედოობა მართებს.

ესაუბრა ხათუნა ბურკაძე

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულება

ვაშინგტონი, 4 აპრილი, 1949 წელი

ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ადასტურებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანებისადმი ერთგულებას და თანხმდებიან, დაამყარონ საერთაშორისო მშვიდობა მსოფლიოს ხალხებთან და სახელმწიფოებთან ერთად.

მხარეები მზად არიან, დაიცვან თავისუფლება, საკუთარი ხალხის საერთო მემკვიდრეობა და ცივილიზაცია, რაც ეფუძნება დემოკრატიულ ღირებულებებს, ინდივიდუალურ თავისუფლებასა და კანონის უზენაესობას.

ხელშეკრულების მონაწილე მხარეები მზად არიან ხელი შეუწყონ სტაბილურობისა და კეთილდღეობის დამყარებას ჩრდილოატლანტიკურ რეგიონში.

მხარეებმა საერთო ძალიხმევით უნდა უზრუნველყონ კოლექტიური თავდაცვა მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის. ამდენად, ისინი თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1

ხელშეკრულების მონაწილე მხარეები, გაერთიანებული ერების წესდების შესაბამისად, ვალდებულნი არიან, დაარეგულირონ საერთაშორისო კონფლიქტები მშვიდობიანი გზით, რათა საფრთხე არ შეექმნას საერთაშორისო მშვიდობას, უსაფრთხოებასა და სამართლიანობას და თავი შეიკავონ საერთაშორისო ურთიერთობებში მუქარისა და ძალისმიერი მეთოდების გამოყენებისაგან, რაც ეწინააღმდეგება გაეროს მიზნებს.

მუხლი 2

ხელშეკრულების მონაწილე მხარეებმა, დამოუკიდებელი ინსტიტუტების გაძლიერების, სტაბილურობისა და კეთილდღეობის დამყარების მიზნით, ხელი უნდა შეუწყონ საერთაშორისო სამშვიდობო და მეგობრული ურთიერთობების განვითარებას, შეამცირონ კონფლიქტები საერთაშორისო ეკონომიკურ პოლიტიკაში და გააძლიერონ ეკონომიკური თანამშრომლობა.

მუხლი 3

ხელშეკრულების ამოცანების ეფექტური განხორციელებისათვის, ხელშეკრულების მონაწილე მხარეებმა საკუთარი ძალებითა და ურთიერთდახმარებით უნდა შეინარჩუნონ და გააძლიერონ შეიარაღებულ თავდასხმასთან ბრძოლის ინდივიდუალური და კოლექტიური სამხედრო პოტენციალი.

მუხლი 4

ხელშეკრულების მონაწილე მხარეებმა მუდმივად უნდა გაუწიონ ერთმანეთს კონსულტაციები, თუკი, რომელიმე მათგანის აზრით, ხელშეკრულების მონაწილე რომელიმე მხარის ტერიტორიულ მთლიანობას, პოლიტიკურ დამოუკიდებლობას თუ უსაფრთხოებას საფრთხე დაემუქრა.

მუხლი 5

ხელშეკრულების მონაწილე მხარეები თანხმდებიან, რომ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში ერთ-ერთ ან რამდენიმე მხარეზე განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმა მიიჩნევა როგორც

თავდასხმა ყველას წინააღმდეგ და არსებულ შემთხვევაში, გაერთიანებული ერების წესდების 51-ე მუხლის შესაბამისად, ინდივიდუალური თუ კოლექტიური თავდაცვის უფლების გამოყენებით და, საჭიროების შემთხვევაში, სამხედრო ძალის გამოყენებით ისინი დახმარებას გაუწევენ საფრთხეში მყოფ მხარეს ან მხარეებს, რათა შეინარჩუნონ ჩრდილოატლანტიკური რეგიონის უსაფრთხოება. ნებისმიერი ამგვარი სახის შეიარაღებული თავდასხმისა და მის მიმართ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უშიშროების საბჭოს. ამგვარი ღონისძიებები დასრულდება მაშინ, როცა უშიშროების საბჭო მიიღებს ზომებს, რაც აუცილებელი იქნება საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და აღდგენისათვის.

მუხლი 6

ხელშეკრულების მე-5 მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეზე ან მხარეებზე განხორციელებულ შეიარაღებულ თავდასხმად მიიჩნევა თავდასხმა ხელშეკრულების მონაწილე ევროპისა თუ ჩრდილოეთ ამერიკის ნებისმიერი ქვეყნის ტერიტორიაზე, საფრანგეთის ალჟირის დეპარტამენტებზე, თურქეთის ტერიტორიასა თუ ჩრდილოატლანტიკურ რეგიონში კიბოს ტროპიკის ჩრდილოეთით ან ნებისმიერი მონაწილე მხარის იურისდიქციაში მყოფ კუნძულებზე, ხელშეკრულებაში მონაწილე ნებისმიერი მხარის შეიარაღებულ ძალებზე, სამხედრო გემებსა და ავიაციაზე, რომლებიც განთავსებულია იმ დროისთვის ხელშეკრულების მონაწილე მხარეების ტერიტორიაზე, ან ევროპის იმ რეგიონებზე, რომლებზეც ვრცელდება ხელშეკრულების იურიდიული სტატუსი, ან ხმელთაშუა ზღვისა და ჩრდილოატლანტიკურ რეგიონში კიბოს ტროპიკის ჩრდილოეთის ტერიტორიებზე.

მუხლი 7

გაეროს წესდებისა და უშიშროების საბჭოს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შეთანხმების თანახმად, ხელშეკრულება არანაირად არ შეეხება ხელშეკრულებაში მონაწილე იმ ქვეყნების უფლება-მოვალეობებს, რომლებიც აგრეთვე გაეროს წევრი ქვეყნები არიან.

მუხლი 8

ხელშეკრულების მონაწილე თითოეული მხარე აცხადებს, რომ მისი მოქმედი საერთაშორისო გარიგება რომელიმე სხვა მხარესთან ან სხვა სახელმწიფოსთან ვერ დაარღვევს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და ვალდებულია არ მიიღოს მონაწილეობა არც ერთ საერთაშორისო გარიგებაში, რომელიც ხელშეკრულების საწინააღმდეგო იქნება.

მუხლი 9

ხელშეკრულების მონაწილე მხარეები აყალიბებენ საბჭოს, რომელსაც ესწრება უკლებლივ ყველა მათი წარმომადგენელი, რათა განიხილონ ხელშეკრულების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები. საბჭო მზად უნდა იყოს შეიკრიბოს ნებისმიერ დროს. მან, რამდენადაც შესაძლებელია, უნდა შექმნას დამხმარე ორგანოები, კერძოდ, თავდაცვის კომიტეტი, რომელიც გასცემს რეკომენდაციებს იმ ღონისძიებების გატარებაზე, რაც ხელშეკრულების მე-3 და მე-5 მუხლის განხორციელებისკენ იქნება მიმართული.

მუხლი 10

ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს, ხელშეკრულებაში გაწევრიანების მიზნით, საერთო გადაწყვეტილების საფუძველზე, შეუძლიათ მოიწვიონ ევროპის ნებისმიერი სახელმწიფო, რომელსაც გააჩნია შესაბამისი შესაძლებლობა შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები და

თავისი წვლილი შეიტანოს ჩრდილოატლანტიკური რეგიონის უსაფრთხოებაში.

მუხლი 11

ხელშეკრულების მონაწილე მხარეებმა უნდა მოახდინონ ამ ხელშეკრულების რატიფიკაცია და განახორციელონ მისი დებულებები კონსტიტუციური პროცედურის შესაბამისად. სარატიფიკაციო სიგელები დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას, რომელიც აღნიშნულის შესახებ აცნობებს ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს. იმ სახელმწიფოსთვის, რომელმაც უკვე მოახდინა ხელშეკრულების რატიფიკაცია, ხელშეკრულება ძალაში შედის ხელისმომწერ სახელმწიფოთა სარატიფიკაციო სიგელების გადაცემისთანავე, ბელგიის, კანადის, საფრანგეთის, ლუქსემბურგის, ნიდერლანდების, გაერთიანებული სამეფოსა და ამერიკის შეერთებული შტატების სარატიფიკაციო სიგელების ჩათვლით.

მუხლი 12

ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 10 წლის შემდეგ (ან ნებისმიერ შემდეგ წლებში) მხარეებმა, თუკი რომელიმე მხარე ამას მოითხოვს, უნდა აწარმოონ ერთობლივი კონსულტაციები ხელშეკრულების გადასინჯვასთან დაკავშირებით, მხედველობაში მიიღონ ის ფაქტორები, რომლებიც იმ პერიოდში გავლენას ახდენენ ჩრდილოატლანტიკის უსაფრთხოებაზე და, საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნების მიზნით, გაატარონ გაეროს წესდებით გათვალისწინებული ღონისძიებები გლობალურ და რეგიონალურ დონეზე.

მუხლი 13

ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 20 წლის შემდეგ ნებისმიერ მონაწილე მხარეს შეუძლია გააუქმოს საკუთარი წევრობა ხელშეკრულებაში მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას ოფიციალურად აცნობებს ხელშეკრულების წევრობის გაუქმების თაობაზე.

მუხლი 14

ხელშეკრულება, რომლის ინგლისურ და ფრანგულ ორიგინალებს ერთნაირი იურიდიული ძალა გააჩნიათ, შეინახება ამერიკის შეერთებული შტატების არქივში. დამოწმებული ასლები აშშ-ის მთავრობის მიერ გადაეცემათ ხელშეკრულებაზე ხელისმომწერი მხარეების მეთაურებს.

ტერმინთა განმარტება

აგრესია – ძალის გამოყენების უკიდურესი გამოვლინება, რომელიც მძიმე საერთაშორისო დანაშაულს წარმოადგენს. გაეროს გენერალური ასამბლეის 1974 წლის 14 დეკემბრის რეზოლუციის თანახმად აგრესიად ჩაითვლება სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების გამოყენება სხვა სახელმწოფოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობის და პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ან გაეროს წესდებით დაუშვებელი სხვა რომელიმე სახით.

ალიანსი, კავშირი – ორი ან მეტი სახელმწიფოს გაერთიანება, კავშირი. საკმაოდ ხშირად ნატოს სწორედ ამ ტერმინით – "ალიანსით" მოიხსენიებენ.

ალიანსის სტრატეგიული კონცეფცია – პირველად გამოქვეყნდა 1991 წელს და გადაისინჯა 1999 წელს. დოკუმენტში დაფიქსირებულია ნატოს მიზნები და ამოცანები ევროატლანტიკურ სივრცეში და მის ფარგლებს გარეთ.

ალ-ქაიდა (არაბ. საფუძველი) – ისლამური ტერორისტული ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა 1988 წელს ოსამა ბინ ლადენის მიერ ავღანეთში მებრძოლი არაბების გასაერთიანებლად საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ. ტერორისტული დაჯგუფების ამჟამინდელი მიზანია განდევნოს დასავლელი და არა-მუსლიმური ცივილიზაცია თავიანთი წმინდა მიწიდან და შექმნას გლობალური ისლამური სამყარო. იგი აშშ-ს განიხილავს მუსლიმანების მთავარ მტრად. ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ ტერორისტულ აქტებს შორის ყველაზე ტრაგიკული 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტია, რის შედეგადაც აშშ-მა ავღანეთში მათ წინააღმდეგ სამხედრო ოპერაცია დაიწყო.

აქტიური ძალისხმევა (Active Endeavour) – 2001 წლის ოქტომბერში დაწყებული საზღვაო ოპერაცია, რომელიც მიზნად ისახავს ტერორისტული აქტივობის გამოვლენას და გაუვნებელყოფას ხმელთაშუა ზღვის აუზში. ნატოს სამხედრო ხომალდები ახდენენ საზღვაო სივრცის პატრულირებას, მეთ-ვალყურეობენ სავაჭრო საზღვაო მიმოსვლას, ახდენენ სამოქალაქო გემების ესკორტირებას გიბრალტარის სრუტეში, ამოწმებენ საეჭვო ხომალდებს.

აფრიკის კავშირი (African Union, AU) – რეგიონალური სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს აფრიკის 52 სახელმწიფოს. ორგანიზაციის ამოცანაა წევრ-ქვეყნებს შორის სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის გაღრმავება, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა, კონტინენტზე მშვიდობის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების ხელშეწყობა, რეგიონალური კონფლიქტების მოგვარება.

აქტი – დადგენილება ან სხვა დოკუმენტი, რომელსაც გააჩნია იურიდიული ძალა.

გაერო (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია – United Nations) – უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში და მისი მიზანია დაიცვას მშვიდობა მსოფლიოში.

გაეროს წესდება – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამფუძნებელი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელშიც ჩამოყალიბებულია გაეროს მიზნები და პრინციპები.

გაეროს უშიშროების საბჭო – გაეროს მუდმივმოქმედი უმაღლესი პოლიტიკური ორგანო, რომელსაც ძირითადი პასუხისმგებლობა ეკისრება მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში. იგი შედგება 15 წევრისაგან, რომელთაგან 5 სახელმწიფოს (რუსეთი, აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ჩინეთი) წარმომადგენლობა არის მუდმივი, ხოლო დანარჩენი 10 – არამუდმივი. უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები იურიდიულად სავალდებულოა გაეროს ყველა წევრისთვის.

უშიშროების საბჭოში გადაწყვეტილებები 9 ხმით მიიღება, აქედან არც ერთმა მუდმივმა წევრმა არ უნდა მისცეს ხმა გადაწყვეტილების წინააღდეგ.

განევრიანების საქმოქმედო გეგმა (Membership Action Plan, MAP) – ალიანსში განევრიანების მსურველი ქვეყნებისათვის მიზნებისა და პრიორიტეტების ერთობლიობა ისეთ საკითხებში, როგორებიცაა: პოლიტიკა, ეკონომიკა, თავდაცვა, რესურსების მართვა, უსაფრთხოება და სამართალი. ამ პრიორიტეტების სწორად აღქმა და შესრულება ეხმარება კანდიდატ სახელმწიფოს გახდეს ნატოს წევრი.

გეოპოლიტიკა – პოლიტიკური მეცნიერება, რომელიც ლოკალური, რეგიონალური და გლობალური მასშტაბით იკვლევს სახელმწიფოს გეოგრაფიული ადგილმდებარეობის გავლენას საერთაშორისო ურთიერთობებსა და პოლიტიკურ პროცესებზე.

დაგეგმვის და მიმოხილვის პროცესი (Planning and Review Process, PARP) – თანამშრომლობის ფორმა, რომელსაც ნატო სთავაზობს პარტნიორ ქვეყნებს, ალიანსში განევრიანების პოტენციურ კანდიდატებს. ის წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ელემენტს პარტნიორ ქვეყნებში სამხედრო შესაძლებლობების გაზრდისა და მათი სამხედრო სისტემის ნატოსთან თავსებადობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. PARP-ის შეთავაზება ხდება ქვეყნებისათვის მათი სურვილიდან გამომდინარე. ის გათვლილია 2 წლიან ციკლზე. თანამშრომლობის მიმართულებების განხილვისა და დაგეგმვის შემდეგ ნატო ახორციელებს კონტროლს მიღებული შედეგის შესამოწმებლად.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ) – სახელმწიფოთაშორისი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც 1991 წლის 8 დეკემბერს შეიქმნა. მის შემადგენლობაში შედიან: რუსეთი, ბელორუსია, უკრაინა, სომხეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, მოლდავეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი. 2008 წლის 14 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს დსთ-დან გამოსვლის თაობაზე. 2005 წლის 26 აგვისტოს თურქმენეთმა უარი განაცხადა დსთ-ს სრულუფლებიან წევრობაზე და დღეს ასოცირებული წევრის სტატუსი აქვს.

დემილიტარიზაცია – საერთაშორისო ხელშეკრულების/შეთანხმების საფუძველზე განსაზღვრული ტერიტორიიდან შეიარაღებული სამხედრო ძალების, სამხედრო აღჭურვილობის გაყვანა და ამ ტერიტორიაზე სამხედრო ბაზებისა და შენაერთების ყოფნის აკრძალვა.

დემობილიზაცია – შეიარაღებული ძალების და ყველა სხვა სამეურნეო დარგის საომარი, სამხედრო მდგომარეობიდან სამშვიდობოზე გადაყვანა.

დირექტივა – საერთო სახელმძღვანელო დადგენილება, რომელსაც გამოსცემს უმაღლესი ორგანო მის დაქვემდებარებაში მყოფი ორგანოებისათვის.

დოქტრინა – სახელმძღვანელო თეორიული ან პოლიტიკური პრინციპი (მაგ. სამხედრო დოქტრინა); სწავლება, მეცნიერული თეორია.

ევროატლანტიკური სივრცე – "პირობითი" რეგიონი, რომელშიც ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნები შედიან.

ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭო (Euro-Atlantic Partnership Council) – 1997 წელს შექმნილი საბჭო, რომლის მიზანია რეგულარული დიალოგის, კონსულტაციების წარმართვა პოლიტიკისა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. მასში გაერთიანებული არიან ალიანსის წევრები და პარტნიორები.

ევროკავშირი (European Union, EU) – ევროპის გაერთიანების დაარსების ფორმალური თარიღია 1951 წლის 18 აპრილი. მაშინ პარიზში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა

ევროპის ქვანახშირის მომპოვებელი და ფოლადის მწარმოებელი ქვეყნების გაერთიანებას (ECSC). ევროპული გაერთიანება, ევროპის გაერთიანება, ევროპული კავშირი – ყველა ეს სახელწოდება აერთიანებს ევროპული სახელმწიფოების კავშირს, რომლის ისტორიაც 50 წელზე მეტს მოიცავს. ახლანდელი სახელწოდებით ის არსებობს 1993 წლის ნოემბრის დასაწყისიდან, როდესაც ძალაში შევიდა მაასტრიხტის ხელშეკრულება. ამჟამად, ევროკავშირში 27 ქვეყანაა გაწევრიანებული. ის მოისწრაფვის წევრი ქვეყნების მჭიდრო ეკონომიკური, ფინანსური და სოციალური ინტეგრაციისკენ. ასევე, ავითარებს საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას.

ევროპის საბჭო (Council of Europe, CoE) – დაფუძნდა 1949 წელს, აერთიანებს 47 სახელმწიფოს. ორიენტირებულია ადამიანის უფლებების, კანონის უზენაესობისა და დემოკრატიული პრინციპების დაცვაზე. თავისი საქმიანობით მოიცავს ყველა მნიშვნელოვან სფეროს, თავდაცვის გარდა.

ეროვნული უსაფრთხოება – ფაქტორების ერთობლიობა, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობებში უზრუნველყოფს სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობას, მის შესაძლებლობებს გაუმკლავდეს გარე გამოწვევებს და იმოქმედოს თავისი ეროვნული ინტერესების შესაბამისად.

ეუთო, ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ინგ. **Organization for Security and Cooperation in Europe, OSCE**) – რეგიონალური ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს ევროპის, ცენტრალური აზიისა და ჩრდილოეთ ამერიკის 56 სახელმწიფოს. ეუთოს ამოცანა არის დიპლომატიური ძალისხმევით კონფლიქტების თავიდან აცილება ან მათი დროული აღმოფხვრა; კრიზისული სიტუაციების მოგვარება; იარაღის გავრცელებაზე კონტროლი; ადამიანის უფლებების დაცვა; დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება; სხვადასხვა ქვეყანაში არჩევნებზე დაკვირვება; ეკონომიკური და ეკოლოგიური უსაფრთხოება. ეუთოს ყველა წევრი სახელმწიფო ფლობს თანაბარ სტატუსს და გადაწყვეტილების მიღება ხდება კონსენსუსის საფუძველზე.

ექსპანსია – დაპყრობების გზით სახელმწიფო საზღვრების გაფართოება; ერთი სახელმწიფოს ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენის გავრცელება სხვა სახელმწიფოზე.

ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია – რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა 1955 წელს და უპირისპირდებოდა ნატოს. მასში შედიოდნენ: საბჭოთა კავშირი, ბულგარეთი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, უნგრეთი, პოლონეთი, რუმინეთი, ალბანეთი და ჩეხოსლოვაკია.

ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-5 მუხლი (Article 5) – გულისხმობს იმას, რომ თუ ალიანსის ერთ ან რამდენიმე წევრზე ხორციელდება შეიარაღებული თავდასხვა, დანარჩენი მოკავშირეები ამას განიხილავენ, როგორც თავდასხმას ყველა მათგანზე და იმოქმედებენ შესაბამისად, ინდივიდუალურად ან კოლექტიურად, იმ მოკავშირის თუ მოკავშირეების დასახმარებლად, რომლებიც თავდასხმის მსხვერპლნი გახდნენ. მე-5 მუხლი არის ნატოს ფუნდამენტური პრინციპის – კოლექტიური თავდაცვის ქვაკუთხედი.

თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა (თსმ) – დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს შეიარაღებული ძალების არსებული შესაძლებლობების შეფასების დეტალურ ანალიზს და მასში განსაზღვრულია ის ნაკლოვანებები, რომლებიც შიდა და საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად უნდა იქნეს გათვალისწინებული სამომავლო დაგეგმვის პროცესში. თსმ წარმოადგენს მნიშვნელოვან პროცესს, რომელიც არსებით გავლენას ახდენს საქართველოს თავდაცვის სისტემის სრულყოფაზე.

თალიბანი – ისლამური სამხედრო-პოლიტიკური დაჯგუფება, რომელიც ავღანეთის სათავეში იყო 1996-2001 წ.წ. სახელწოდება მიიღო სიტყვა "თალიბისგან", რაც სასულიერო დაწესებულების მოსწავლეს

ნიშნავს. 1994 წლიდან ამ მოძრაობამ ფაქტობრივად მთელი ავღანეთი საკუთარი გავლენის ქვეშ მოაქცია. თალიბანმა, მულა ომარის მეთაურობით, ღია ტერორის რეჟიმი დაამყარა, ძალადობრივი მეთოდებით ცდილობდა შუასაუკუნეობრივი ნორმებისა და წესების შემოღებას. სწორედ თალიბანის რეჟიმის დროს ავღანეთში თავშესაფარი ნახეს ალ-ქაიდამ და ოსამა ბინ ლადენმა. 11 სექტემბრის ტერორისტული აქტების შემდეგ თალიბებმა უარი განუცხადეს აშშ-ს გაეცათ ოსამა ბინ ლადენი, რამაც ავღანეთში ანტიტერორისტული ოპერაციის ჩატარება განაპირობა.

იმპლემენტაცია – განხორციელება.

ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა (Individual Partnership Action Plan, IPAP) – მოიცავს თანამშრომლობას ალიანსსა და პარტნიორს შორის ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: პოლიტიკური და უსაფრთხოების საკითხები; თავდაცვისა და სამხედრო საკითხები; საზოგადოების ინფორმირების, მეცნიერების, გარემოს დაცვისა და სამოქალაქო კრიზისების მართვის საკითხები; ადმინისტრაციული, საინფორმაციო უსაფრთხოებისა და რესურსების მართვის საკითხები. საქართველო პირველი ქვეყანაა, რომელიც ამ გეგმას 2004 წლიდან ახორციელებს.

ინტეგრაცია – რომელიმე პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო ან სხვა გაერთიანებაში, კავშირში, ალიანსში გაწევრიანება.

ინტენსიური დიალოგი (Itensified Dialogue, ID) – ნატოსა და პარტნიორი ქვეყნის ორმხრივი თანამშრომლობის მექანიზმია და მიზნად ისახავს მოამზადოს საფუძველი ქვეყნის ნატოსთან გაწევრიანების სამოქმედო გეგმაზე (MAP) გადასასვლელად.

იურისდიქცია (ლათ. jurisdictio სასამართლო წარმოება) – სასამართლო საქმის წარმოების უფლება; სფერო, რომელზედაც ვრცელდება ეს უფლება.

კარზაი, ჰამიდი (დაიბადა 1957წ.) – 2001 წლიდან ავღანეთის გარდამავალი მთავრობის პრეზიდენტი. ამავე წლის შემოდგომაზე, ავღანეთში ანტიტერორისტული ოპერაციის დაწყებისთანავე პირადად ხელმძღვანელობდა თალიბების წინააღმდეგ განხორციელებულ სამხედრო ოპერაციებს. 2004 წლის 9 ოქტომბერს აირჩიეს პრეზიდენტად მეორე ვადით.

კატასტროფა – მოულოდნელი უბედურება, მოვლენა, რომელსაც თან სდევს სავალალო (ტრაგიკული) შედეგები.

კოლექტიური თავდაცვა – სახელმწიფოთა ერთობლივი ვალდებულება, უზრუნველყონ ნატოს ფარგლებში წევრ-სახელმწიფოთა უსაფრთხოება.

კოლექტიური უსაფრთხოება – ურთიერთშეთანხმება სახელმწიფოებს შორის გამოიყენონ საერთაშორისო ნორმები მსოფლიოში უსაფრთხოებისა და სტაბილურობისათვის.

კომუნიკე – ოფიციალური განცხადება საერთაშორისო მოლაპარაკებების, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და სხვა მნიშვნელოვანი მოვლენების (სამიტები, კონფერენციები და სხვ.) შედეგების შესახებ.

კონსენსუსი (ლათ. consensus თანხმობა, ერთსულოვნება) – პრინციპი, რომელიც ეფუძნება ერთხმად გადაწყვეტილების მიღებას.

კოსოვოს ძალები (Kosovo Force) – წარმოადგენს ნატოს ხელმძღვანელობის ქვეშ გაერთიანებულ მრავალეროვნულ სამშვიდობო კონტინგენტს, რომელიც შეიქმნა 1999 წლის 10 ივნისს გაეროს №1244 რეზოლუციის შესაბამისად.

კრიზისი – მდგომარეობა, როდესაც მიზნის მისაღწევად გამოყენებული საშუალებები ხდება არაადეკვატური, რის შედეგად ჩნდება გაუგებრობა, დაძაბულობა და პრობლემები.

ლოგისტიკა – გადაზიდვების, ტრანსპორტირების, გადაადგილების და სხვ. პროცესების მართვა/მენეჯმენტი; მომარაგება.

მანდატი – უფლებამოსილება.

მასობრივი განადგურების იარაღი – ბიოლოგიური, ქიმიური და ბირთვული იარაღი, რომელსაც შეუძლია გაანადგუროს ათასობით და მილიონობით ადამიანი დიდ ტერიტორიებზე, აგრეთვე გამოიწვიოს სხვა სახის ფართომასშტაბიანი ნგრევები.

მთლიანი შიდა პროდუქტი – ქვეყანაში წარმოებული საქონელი და გაწეული მომსახურება ფულად გამოხატულებაში ან პროცენტულად.

მინისტერიალი – მაღალი დონის შეხვედრა მინისტრების მონაწილეობით.

მონიტორინგი – სპეციალურად ორგანიზებული დაკვირვება ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებსა და პროცესებზე მათი შეფასების, კონტროლისა და განსაზღვრის მიზნით.

ნატოს გაფართოების პროცესი – ალიანსში სახელმწიფოთა მიღება იმ მიზნით, რომ უფრო დაცული და უსაფრთხო იყოს ევროატლანტიკური სივრცე.

ნატოს პარტნიორი ქვეყანა – სახელმწიფო, რომელიც მონაწილეობს პროგრამაში "პარტნიორობა მშვიდობისათვის", "ხმელთაშუა ზღვის დიალოგში", "სტამბოლის თანამშრომლობის ინიციატივაში" და არის ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს წევრი.

ნატო-რუსეთის საბჭო (NATO-Russia Council, NRC) – მრავალმხრივი ფორუმი. ის შეიქმნა 2002 წლის მაისში ახალი პოლიტიკური დიალოგის განვითარებისათვის მოკავშირეებსა და რუსეთს შორის უსაფრთხოების საკითხთებთან დაკავშირებით.

ნატოს "სწრაფი რეაგირების ძალები" (NATO Response Force, NRF) – მაღალგანვითარებული შეიარაღებული ძალები ნატოს დაქვემდებარებაში, რომლის შექმნა დასრულდა 2006 წელს. NRF-ი შედგება სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო კომპონენტებისგან, ასევე სპეციალური დანაყოფებისგან. ამ ძალების მიზანია საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს მაქსიმალურად სწრაფი რეაგირება გამოწვევაზე მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში.

ნატო-საქართველოს კომისია (NATO-Georgia Commission, NGC) – 2008 წლის 19 აგვისტოს ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული კომისიის შექმნის შესახებ. 2008 წლის 15 სექტემბერს საქართველოში მისი პირველი დამფუძნებელი სხდომა გაიმართა. ახალი პოლიტიკური ორგანო ზედამხედველობას გაუწევს ბუქარესტის სამიტზე მიღებულ გადაწყვეტილებებს და ხელს შეუწყობს საქართველოსა და ნატოს შორის მჭიდრო თანამშრომლობას.

ნატო-უკრაინის კომისია (NATO-Ukraine Commission, NUC) – წელიწადში სულ მცირე ორჯერ იკრიბება და განიხილავს ნატო-უკრაინის ურთიერთობებს. ასევე, ამ ფორმატით მხარეები თათბირობენ პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებზე.

ნატოს "ღია კარის პოლიტიკა" – ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ღიაა ნებისმიერი სხვა ევროპული სახელმწიფოსთვის, რომელიც იზიარებს ვაშინგტონის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პრინციპებს და შეუძლია თავისი წვლილი შეიტანოს ევროატლანტიკური უსაფრთხოების განმტკიცების პროცესში.

ნატოს შტაბ-ბინა – ალიანსის მთავარი ადგილსამყოფელი, ოფისი.

ოსამა ბინ ლადენი – ისლამისტი სამხედრო ლიდერი, რომელიც ტერორისტული ორგანიზაცია "ალ-ქაიდას" დამაარსებლად ითვლება. იგი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ტერორისტია თანამედროვე მსოფლიოში. სწორედ მის სახელთან არის დაკავშირებული ყველაზე გახმაურებული 11 სექტემბრის ტერორისტული აქტი, რომლის შემდეგაც იგი აშშ-ის ნომერ პირველ მტრად იქცა. მიუხედავად ავღანეთში თალიბანის რეჟიმის დამხობისა, ბინ ლადენი დღემდე ძებნაშია და აგრძელებს ტერორისტულ საქმიანობას. მან გამოსცა რამდენიმე ისლამური სამართლებრივი დებულება, რომელიც მოუწოდებს მუსულმანებს ამერიკელებს წმინდა ომი, ანუ "ჯიჰადი" გამოუცხადოს.

"პარტნიორობა მშვიდობისათვის" – პროგრამა, რომელიც შეიქმნა 1994 წელს ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნების პრაქტიკული თანამშრომლობის მიზნით უსაფრთხოების, თავდაცვისა და მშვიდობის საკითხებში.

პაქტი – არსებითი პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე საერთაშორისო შეთანხმება.

პოსტსაბჭოთა კავშირის სივრცე – ყოფილ სსრკ-ში შემავალი რესპუბლიკების დღევანდელი ტერიტორიები.

პოტენციალი – რომელიმე სფეროში (მაგ. სამხედრო, ეკონომიკა და სხვ.) არსებული საშუალებებისა და შესაძლებლობების ერთობლიობა.

პრაღის ვალდებულება პოტენციალის შესახებ (Prague Capabilities Commitment, PCC) – 2002 წელს ნატოს წევრებმა აიღეს მტკიცე ინდივიდუალური ვალდებულება გააუმჯობესონ საკუთარი სამხედრო შესაძლებლობები PCC-ის მეშვეობით. PCC-ის მიზანია ნატოს წევრების უზრუნველყოფა თანამედროვე სამხედრო აღჭურვილობით.

რატიფიკაცია – სახელმწიფოს საკანონმდებლო ორგანოს (პარლამენტი, სენატი და სხვ.) მიერ საერთაშორისო ხელშეკრულების ან შეთანხმების დამტკიცება; რატიფიკაცია საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას აძლევს იურიდიულ ძალას.

რაციონალიზაცია (ლათ. rationalis – საღი) – გაუმჯობესება, დახვეწა.

რეზოლუცია (ლათ. resolutio – გადაწყვეტილება) – ოფიციალური გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულია სხდომაზე, კონფერენციაზე, სესიაზე და სხვ. საკითხის განხილვის შემდეგ.

რეფორმა – სახელმწიფო მმართველობის რომელიმე სფეროს გაუმჯობესების მიზნით განხორციელებული გარდაქმნა, ცვლილება, შეცვლა.

სადამ ჰუსეინი (1937-2006) – სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, ერაყის პრეზიდენტი 1979-2003 წლებში. ცდილობდა გამხდარიყო არაბეთის სამყაროს აღმოსავლეთ ნაწილის არაოფიციალური ლიდერი და სპარსეთის ყურის მმართველი. 1980 წელს გააჩაღა ომი ირანთან, რომელიც 1988 წლამდე გაგრძელდა. ომის დროს სადამ ჰუსეინის არმიამ ქურთების წინააღმდეგ ქიმიური იარაღი გამოიყენა. 2003 წელს აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის ხელმძღვანელობით მოქმედმა მრავალეროვნულმა კოალიციურმა ჯარებმა დაამხეს სადამ ჰუსეინის რეჟიმი. ერაყის სასამართლოს განაჩენის საფუძველზე 2006 წელს იგი სიკვდილით დასაჯეს.

საქართველოს ეროვნული სამხედრო სტრატეგია – 2005 წლის ნოემბერში საქართველოს პრეზიდენტმა საქართველოს პირველი ეროვნული სამხედრო სტრატეგია დაამტკიცა. ეს სახელმძღვანელო შექმნილია თავდაცვისუნარიანობისა და ბრძოლისუნარიანობის ამაღლების მიზნით, აგრეთვე, თავდაცვის მართვის სისტემის გასაუმჯობესებლად, რათა საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა შეძლოს ქვეყნის წინაშე არსებულ საფრთხეებზე ადეკვატური რეაგირება.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია – დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2005 წელს. იგი განსაზღვრავს საქართველოს ფუნდამენტურ ეროვნულ ღირებულებებსა და ინტერესებს; აღწერს სახელმწიფოს წინაშე მდგარ საფრთხეებს, რისკებს და გამოწვევებს; ადგენს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს; განსაზღვრავს ქვეყნის საგარეო, სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტებს.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის ხედვა – სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელიც ადგენს ყოველწლიურ მიზნებსა და ამოცანებს თავდაცვის სამინისტროში განსახორციელებელი მოქმედებებისათვის. მინისტრის ხედვაში ძირითადი აქცენტი კეთდება საქართველოს წინაშე არსებულ საშინაო და საგარეო საფრთხეებზე და მკაფიოდაა გამოხატული ნატოში გაწევრიანების აუცილებლობა იმ კოლექტიური უსაფრთხოების გარანტიებთან ერთად, რაც გაწევრიანებას მოჰყვება.

სამიტი – შეხვედრა უმაღლეს დონეზე, მოლაპარაკებები სახელმწიფოთა ან/და მთავრობათა მეთაურების მონაწილეობით.

საფრთხეების შეფასების დოკუმენტი – ასახავს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების წინაშე არსებულ – პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო და საინფორმაციო საფრთხეებს; განსაზღვრავს საშინაო და საგარეო საფრთხეებიდან მომდინარე სავარაუდო შედეგებს.

საჰაერო შეტყობინებისა და კონტროლის სისტემა (Airborne Warning and control System, AWACS) – AWACS-ი წარმოადგენს უაღრესად მობილურ საჰაერო დაზვერვის სისტემას და არის ნატოს საჰაერო თავდაცვითი სისტემის ქვაკუთხედი. ნატოს AWACS-ის საჰაერო ფლოტი შეადგენს 17 თვითმფრინავს, რომლებიც აღჭურვილნი არიან ნებისმიერი სიხშირის შეტყობინებისა და აღმოჩენის ხელსაწყოებით, გადასცემენ რა მონაცემებს უშუალოდ თვითმფრინავიდან ნატოს მართვისა და კონტროლის ცენტრებს ხმელეთზე, ზღვასა და ჰაერში.

სლობოდან მილოშევიჩი (1941-2006) – 1989-1997 წლებში სოციალისტურ ფედერალური იუგოსლავიის შემადგენლობაში შემავალი სერბეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი; 1997-2000 წლებში სოციალისტურ ფედერალური იუგოსლავიის რესპუბლიკის პრეზიდენტი. 1990-ანი წლების დასაწყისში ბალკანეთში გაჩაღებული კონფლიქტების მთავარი ფიგურა. 1999 წელს გაეროსა და ნატოს მიერ ბრალდებული სამხედრო დანაშაულებში, ჟენევის კონვენციის დარღვევასა და გენოციდში.

სოლიდარობა – აზრთა თანხმობა; ერთსულოვნად მიღებულ გადაწყვეტილებებსა და მოქმედებებზე პასუხისმგებლობის გაზიარების მზადყოფნა.

სტაბილიზაციის ძალები (Stabilisation Force, SFOR) – ნატოს ხელმძღვანელობით, გაეროს უშიშროების საბჭოს №1088 რეზოლუციის საფუძველზე მოქმედი ძალები. ისინი განლაგდა ბოსნია-ჰერცეგოვინაში 1996 წელს დეიტონის სამშვიდობო შეთანხმების განხორციელების ხელშესაწყობად. SFOR-მა შეცვალა იმპლემენტაციის ძალები (IFOR), რომელიც პასუხისმგებელი იყო შეთანხმების სამხედრო ასპექტების შესრულებაზე. 2004 წელს ის შეცვალა ევროკავშირის მისიამ.

სტამბოლის თანამშრომლობის ინიციატივა (Istanbul Cooperation Initiative, ICI) – ინიციატივას დასაბამი მიეცა 2004 წლის ივნისში ნატოს სტამბოლის სამიტზე და ითვალისწინებს თანამშრომლობას ახლო აღმოსავლეთის რეგიონის, პირველ რიგში კი სპარსეთის ყურის თანამშრომლობის საბჭოს (არაბეთის გაერთიანებული საამიროები, ბაჰრეინი, კატარი, კუვეიტი, ომანი, საუდის არაბეთი) ქვეყნებთან.

სუვერენიტეტი (ფრან. souverainete – უზენაესობა, უმაღლესი ხელისუფლება) – სახელმწიფო ხელისუფლების უზენაესობა და დამოუკიდებლობა, რომელიც სახელმწიფოს საშუალებას აძლევს თავად

განსაზღვროს მისი ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული ყველა წესი, საშინაო და საგარეო პოლიტიკა.

ტერორიზმი – ტერორისტულ დაჯგუფებათა ძალადობრივი ქმედებები ან მუქარა, რომელიც მიმართულია ქვეყნებისა და ადამიანების წინააღმდეგ.

ტრანსატლანტიკური (ჩრდილოატლანტიკური) სივრცე – ნატოს წევრი სახელმწიფოების ტერიტორიები.

ტრანსფორმაცია – გარდაქმნა, სახეცვლილება.

უსაფრთხოების მხარდამჭერი საერთაშორისო ძალები (International Security Assistance Force, ISAF) – 2003 წლიდან ნატოს ხელმძღვანელობით მოქმედი სამშვიდობო ოპერაცია ავღანეთში. მისი მიზანია ავღანეთის მთავრობისათვის დახმარების გაწევა უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებაში, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის განვითარებას. მისია აერთიანებს სამხედრო მოსამსახურეებს 40 ქვეყნიდან. ISAF-ი ნატოს ისტორიაში პირველი ოპერაციაა, რომელსაც ალიანსი ევროპის ფარგლებს გარეთ ახორციელებს.

ქარტია – სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე დოკუმენტის სახელწოდება.

ჩრდილოატლანტიკური (ვაშინგტონის) ხელშეკრულება – მიღებულ იქნა ვაშინგტონში 1949 წლის 4 აპრილს და წარმოადგენს ნატოს დამფუძნებელ დოკუმენტს. ვაშინგტონის ხელშეკრულება განსაზღვრავს ალიანსის მიზნებს და ფუნდამენტურ პრინციპებს.

ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო (North-Atlantic Cooperation Council) – ალიანსის სისტემაში 1991 წელს შექმნილი სტრუქტურა, რომლის მიზანი იყო ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების, აგრეთვე ახალი დამოუკიდებელი ქვეყნების, რომლებიც ყოფილი სსრ კავშირის ტერიტორიაზე შეიქმნა, ჩართვა პოლიტიკურ კონსულტაციებში. 1997 წელს ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭომ განიცადა რეორგანიზაცია ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს სახით.

ჩრდილოატლანტიკური საბჭო (North Atlantic Council) – ნატოში გადაწყვეტილებების მიმღები უმაღლესი პოლიტიკური ორგანო, რომელიც დაარსდა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე.

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (North Atlantic Treaty Organization, NATO) – შეიქმნა 1949 წლის 4 აპრილს ვაშინგტონში (აშშ), დანიის, ბელგიის, საფრანგეთის, ისლანდიის, იტალიის, კანადის, დიდი ბრიტანეთის, ლუქსემბურგის, ჰოლანდიის, ნორვეგიის, აშშ-ის და პორტუგალიის მიერ. ამჟამად აერთიანებს ჩრდილოეთ ამერიკის და ევროპის 26 სახელმწიფოს. ნატოს მიზანია მის წევრ-სახელმწიფოებში მშვიდობის, დემოკრატიული განვითარების, სტაბილურობის, უსაფრთხოებისა და თავდაცვის უზრუნველყოფა. ორგანიზაციის მთავარი პრინციპია – ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის.

"ცივი ომი" – ტერმინი გამოხატავს დაპირისპირებას, რომელიც არსებობდა ერთი მხრივ, აშშ-სა და დასავლეთის სხვა წამყვან სახელმწიფოებს, ხოლო მეორე მხრივ, საბჭოთა კავშირსა და მის მოკავშირეებს შორის მეოცე საუკუნის 40-იანი წლების შუა პერიოდიდან 90-იანი წლების დასაწყისამდე.

ხელშეკრულება ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ (Conventional Forces in Europe Treaty, CFE Treaty) – ცივი ომის დამთავრებისას, ნატოს მოკავშირეებმა და ყოფილი ვარშავის პაქტის წევრებმა გადადგეს სერიოზული ნაბიჯი შეიარაღებაზე კონტროლისა და განიარაღების საკითხებში. 1990 წელს ხელმოწერილი ხელშეკრულება ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ემსახურება ევროპაში არსებულ სამხედრო საკითხეში ყოფილ მონინააღმდეგეებს შორის დაპირისპირების

შემცირებას, ასევე, ნდობისა და გამჭვირვალობის გარემოს შექმნას. ხელშეკრულება, რომელიც ადაპტირებულია 1999 წელს, მიზნად ისახავს დიდი რაოდენობით სამხედრო აღჭურვილობის განადგურებას და ითვალისწინებს ინფორმაციის რეგულარულ გაცვლას.

ხმელთაშუა ზღვის დიალოგი (Mediterranean Dialogue) – 1994 წელს ნატომ წარადგინა ინიციატივა ხმელთაშუა ზღვის რეგიონის ქვეყნებთან უსაფრთხოების საკითხებზე დიალოგის დაწყების შესახებ. ამჟამად, ამ პროცესში შვიდი სახელმწიფოა ჩართული: ალჟირი, ეგვიპტე, ისრაელი, იორდანია, მავრიტანია, მაროკო და ტუნისი. ხმელთაშუა ზღვის დიალოგის ფორმატში იმართება დისკუსიები თავდაცვის, უსაფრთხოების, ტერორიზმთან ბრძოლის, მეცნიერებისა და ინფორმაციის ურთიერთგაცვლის სფეროებში.

ჰუმანიტარული კატასტროფა – სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებების მასობრივად უგულებელყოფა, უხეში დარღვევა.

2001 წლის 11 სექტემბერი – ამ დღეს "ალ-ქაიდას" დაჯგუფების წევრებმა განახორციელეს ტერორისტული აქტები ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომელმაც 3 000-მდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

აკრონიმები

ACO (Allied Command Operations) – ნატოს მოკავშირეთა სარდლობა ოპერაციებისთვის.

ACT (Allied Command Transformation) – ნატოს მოკავშირეთა სარდლობა ტრანსფორმაციის დარგში.

AGS (Alliance Ground Surveillance) – ნატოს სარადარო დაზვერვის სახმელეთო სისტემა.

AOR (Area of Responsibility) – პასუხისმგებლობის არეალი.

ASDE (Air Situation Data Exchange) – საჰაერო სივრცის ვითარების მონაცემთა ურთიერთგაცვლის სისტემა.

ASG (Assistant Secretary General) – ნატოს გენერალური მდივნის თანაშემწე.

ASZ (Air Safety Zone) – საავიაციო უსაფრთხოების ზონა.

AWACS (Airbone Warning and Control System) – ნატოს საჰაერო შეტყობინებისა და კონტროლის სისტემა.

BMEWS (Ballistic Missile Early Warning System) – ბალისტიკური რაკეტების ადრეული აღმოჩენის სისტემა.

CBRN BATTALION (Chemical, Biological, Radiological, and Nuclear Battalion) – ნატოს ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაქტიური და ბირთვული თავდაცვის ბატალიონი.

CESDP (Common European Security and Defence Policy) – საერთო ევროპული პოლიტიკა უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში.

CFE Treaty, 1990 (Conventional Armed Forces in Europe) – ევროპაში ჩვეულებრივ შეიარაღებაზე შეთანხმება.

CIS (Commonwealth of Independent States) – დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, დსთ.

CMC (Chairman of the Military Committee) – ნატოს სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარე.

CPC (Civil Protection Committee) – ნატოს სამოქალაქო თავდაცვის კომიტეტი.

CTBT (Comprehensive Nuclear Test-Ban Treaty) – ბირთვული იარაღის ცდების ჩატარების საყოველთაო აკრძალვის ხელშეკრულება.

CWC (Chemical Weapons Convention) – ქიმიური იარაღის გამოყენების აკრძალვის კონვენცია, 1993.

DCMC (Deputy Chairman of the Military Committee) – ნატოს სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

DPC (The Defence Planning Committee) – ნატოს თავდაცვის დაგეგმვის კომიტეტი.

DRC (Defence Review Committee) – ნატოს თავდაცვის მიმოხილვის კომიტეტი.

EADRCC (Euro-Atlantic Disaster Response Coordination Centre) – ნატოს კატასტროფებზე რეაგირების ევროატლანტიკური საკოორდინაციო ცენტრი.

EAPC (Euro-Atlantic Partnership Council) – ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭო.

EU (European Union) – ევროკავშირი.

GSZ (Ground Safety Zone) – უსაფრთხოების ზონა ხმელეთზე.

GTEP (Georgian Train and Equip Program) – საქართველოს წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა.

HLG (High Level Group) – ნატოს მაღალი დონის ჯგუფი.

ICBM (Intercontinental Ballistic Missile) – საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტები.

ICI (Istanbul Cooperation Initiative) – სტამბოლის ინიციატივა თანამშრომლობის შესახებ.

ICTY (International Criminal Tribunal for the former Yugoslavia) – საერთაშორისო სისხლის სამართლის ჰააგის ტრიბუნალი.

ID (Intensified Dialogue) – "ინტენსიური დიალოგი".

IDP (Initial Discussion Paper) – წინასწარი სადისკუსიო დოკუმენტი.

IFOR (Implementation Force) – საიმპლემენტაციო ძალები.

IMET (International Military Education and Training) – სამხედრო საერთაშორისო ნვრთნისა და განათლების პროგრამა.

IMS (International Military Staff) – ნატოს საერთაშორისო სამხედრო სამსახური.

IPAP (Individual Partnership Action Plan) – ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა.

IPP (Individual Partnership Program) – ინდივიდუალური პარტნიორობის პროგრამა.

IS (International Staff) – ნატოს საერთაშორისო სამსახური.

ISAF (International Security Assistance Force) – საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდამჭერი ძალები.

KFOR (Kosovo Force) – კოსოვოს ძალები.

MAP (Membership Action Plan) – გაწევრიანების სამოქმედო გეგმა.

MARAIRMED (Maritime Air Forces Mediterranean) – ნატოს საზღვაო ავიაციის ძალები ხმელთაშუა ზღვაში.

MBC (Military Budget Committee) – ნატოს სამხედრო ბიუჯეტის კომიტეტი.

MC (Military Committee) – ნატოს სამხედრო კომიტეტი.

MIL REP (Military Representative (to the MC)) – სამხედრო წარმომადგენელი (ნატოს სამხედრო კომიტეტში).

MND (Multinational Division) – მრავალეროვნული დივიზია.

NAC (North Atlantic Council) – ნატოს ჩრდილოატლანტიკური საბჭო.

NACC (North Atlantic Cooperation Council) – ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო.

NADC (NATO Air Defence Committee) – ნატოს საჰაერო თავდაცვის კომიტეტი.

NAMSA (NATO Maintenance and Supply Agency) – ნატოს უზრუნველყოფისა და მომარაგების სააგენტო.

NAMSO (NATO Maintenance and Supply Organization) – ნატოს უზრუნველყოფისა და მომარაგების ორგანიზაცია.

NARP (NATO Armaments Periodic Review) – ნატოს შეიარაღების პერიოდული ანალიზი.

NATINADS (NATO Integrated Air Defence System) – ნატოს საჰაერო თავდაცვის გაერთიანებული სისტემა.

NATO (North Atlantic Treaty Organization) – ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია, ნატო.

NATO PA (NATO Parliamentary Assembly) – ნატოს საპარლამენტო ასამბლეა.

NDC (NATO Defense College) – ნატოს თავდაცვის კოლეჯი.

NTM-I (NATO Training Mission-Iraq) – "ნატოს საწვრთნელი მისია ერაყში".

NGO (Non-Governmental Organization) – არასამთავრობო ორგანიზაცია.

NOS (NATO Office of Security) – ნატოს უშიშროების სამსახური.

NPT (Treaty on the Non-Proliferation of Nuclear Weapons) – ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულება, 1968.

NRC (NATO-Russian Council) – ნატო-რუსეთის საბჭო.

NRF (NATO Response Force) – "ნატოს სწრაფი რეაგირების ძალები".

NGC (NATO-Georgia Commission) – ნატო-საქართველოს კომისია.

NUC (NATO-Ukraine Commission) – ნატო-უკრაინის კომისია.

NPG (The Nuclear Planning Group) – ნატოს ბირთვული დაგეგმვის ჯგუფი.

OMIK (OSCE Mission in Kosovo) – ეუთოს მისია კოსოვოში.

OSCE (Organization for Security and Co-operation in Europe) – ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია, ეუთო.

PAP-T (Partnership Action Plan against Terrorism) – ნატოს პარტნიორობის სამოქმედო გეგმა ტერორიზმის წინააღმდეგ.

PARP (Planning and Review Process) – დაგეგმვისა და მიმოხილვის პროცესი.

PERM REP (Permanent Representative to the NAC) – მუდმივი წარმომადგენელი ნატოს ჩრდილოატლანტიკურ საბჭოში.

PfP (Partnership for Peace) – "პარტნიორობა მშვიდობისათვის".

PNET (Peaceful Nuclear Explosions Treaty, 1976) – მშვიდობიანი მიზნებისათვის ბირთვული აფეთქებების შესახებ შეთანხმება, 1976.

PPBS (Planning, Programming and Budgeting System) – თავდაცვის დაგეგმვის, პროგრამირებისა და ბიუჯეტირების სისტემა.

PRT (Provincial Reconstruction Teams) – პროვინციების სარეკონსტრუქციო ჯგუფები.

PSO (Peace Support Operation) – მშვიდობის მხარდამჭერი ოპერაცია.

SACEUR (Supreme Allied Commander Europe) – ნატოს მოკავშირეთა სარდლობის მეთაური ოპერაციებზე.

SACT (Supreme Allied Commander Transformation) – ნატოს მოკავშირეთა სარდლობის მეთაური ტრანსფორმაციის დარგში.

SC (Strategic Commander) – ნატოს სტრატეგიული სარდლობის მეთაური.

SCP (Security Cooperation Program) – უსაფრთხოების საკითხებში თანამშრომლობის პროგრამა.

SCR (Senior Civilian Representative) – ნატოს უმაღლესი სამოქალაქო წარმომადგენელი.

SDR (Strategic Defense Review) – სტრატეგიული მიმოხილვის დოკუმენტი.

SFOR (Stabilization Force) – "სტაბილიზაციის ძალები".

SfP (Science for Peace) – "მეცნიერება მშვიდობისათვის".

SG (Secretary General) – ნატოს გენერალური მდივანი.

SHAPE (Supreme Headquarters Allied Powers Europe) – ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების შტაბი ევროპაში.

SOFA (Status of Forces Agreements) – სამხედრო ძალების სტატუსის შესახებ შეთანხმება.

SSOP (Sustainment and Stability Operations Program) – სტაბილურობისა და შენარჩუნების პროგრამა.

UN (United Nations) – გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, გაერო.

UNAMA (United Nations Assistance Mission in Afghanistan) – გაეროს მისია ავღანეთისათვის დახმარების საკითხებში.

UNESCO (United Nations Educational, Scientific and Cultural Organization) – გაეროს ორგანიზაცია განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხებში.

UNHCR (United Nations High Commissioner for Refugees) – გაეროს უმაღლესი კომისარი ლტოლვილთა საკითხებში.

UNMIK (United Nations Mission in Kosovo) – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მისია კოსოვოში.

UNSC (United Nations Security Council) – გაეროს უშიშროების საბჭო.

WHO (World Health Organizations) – მსოფლიოს ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაცია.

ნატოს წევრი ქვეყნები

1949

ამერიკის შეერთებული შტატები

ბელგია


დანია

დიდი ბრიტანეთი

ისლანდია


იტალია

ლუქსემბურგი

კანადა


ნორვეგია

ჰოლანდია

პორტუგალია


საფრანგეთი

1952

თურქეთი

საბერძნეთი

1955

გერმანია

1982

ესპანეთი

ნატოს წევრი ქვეყნები

პოლონეთი

უნგრეთი

ჩეხეთი

ბულგარეთი

რუმინეთი

ესტონეთი

სლოვაკეთი

ლატვია

სლოვენია

ლიტვა

ალბანეთი

ხორვატია

4 აპრილს, ბუქარესტის სამიტზე ნატოს წევრმა სახელმწიფოებმა ალბანეთისა და ხორვატიის ალიანსში მიღება გადაწყვიტეს. გაწევრიანებასთან დაკავშირებული იურიდიული პროცედურების შემდეგ ბალკანეთის ეს ორი ქვეყანა ნატოს სრულუფლებიანი წევრი 2009 წელს გახდება.

ნატოს პარტნიორი ქვეყნები

ავსტრია

აზერბაიჯანი

ალბანეთი

ბელორუსია

ბოსნია-ჰერცეგოვინა

თურქმენეთი

ირლანდია

მაკედონია

მალტა

მოლდოვეთი

რუსეთი

საქართველო

სერბეთი

სომხეთი

ტაჯიკეთი

უზბეკეთი

უკრაინა

ფინეთი

ყაზახეთი

ყირგიზეთი

შვედეთი

შვეიცარია

ჩერნოგორია

ხორვატია

* თურქეთი აღიარებს მაკედონიის რესპუბლიკას მისი კონსტიტუციური სახელით

ხმელთაშუა ზღვის დიალოგის ქვეყნები

ალჟირი

ეგვიპტე

იორდანია

ისრაელი

მავრიტანია

მაროკო

ტუნისი